


ა კ ი კ ი ს

თ ვ ი შ 6 0



წელიწადი პირველი

№ V

ანგარი, 1898



Типографія М. Шарадзе и к°. ник. 21. || სტამბა ა. ვ. და ძმ., ნიკ. № 21.

1898

Дозволено цензурою. Тифлис, 20 Декабря 1897 г.

შინაარსი

განვითარება

I

	გვ.
I საახალობო ადგიზები.	1
II სამი ლექცია „ვეფევის ტყაოსაწვე“ — ლექცია I	11
III ისტორიული განეილება სახელ-წოდების: არენის, პაისტანის და სოჭეთის	32
IV ნაკვეთები	53
V უნივერსი	58

განვითარება

II

VI რამდენიმე სიტყვა პ-ნ ილია ჭავჭავაძის საკასებოთ „ვეფევის ტყაოსაწვე“ გამო. . .	1
VII სამჩვარი სიტყვარული	19 — 64

განვითარება

III

VIII აბრამის (აბხაზერი ლეგენდა, ჩაწერილი ნიკო ჯანამიასაგან)	1
IX ხალხური ლექციები (შეკრებილი სოსიკო მერკევილაძისაგან).	7
X სია იმ პირთა, რომელთაც ეგზავნება „პრეზული“.	17 — 59
XI გაცცალებანი	

სსახალწლო ანდაზები

ილიადა გადვიკითხე
ქართველების ჰომერისა,
სხვა მწერლებიც მივაყოლე
სულ სხვა და სხვა ნომერისა.

ჭკუა-გრძნობის ლამპარ-შუქი
შარავანდათ მომეფინა,
თვალი ვეღარ გავუმართე,
დავხუჭე და დამეძინა...

გულის-ძილში მომეჩვენა
უცნაური ბებრუცანა!..
მე ჩემ დღეში არ მინახავს
სულიერი იმისთანა:

თავ-შიშველი, ფეხ-შიშველი,
საზიზლარი ყოველი მხრით...
თავზე მაღვა დატვირთული
ზურგზე გულით, ხელში დავთრით.

შემეზიზლა!.. დავეკითხე:
ვინ ხარ და რა სულიერი,
საამქვეყნო რომ არ გაძევს
არც ხორცი და ოლარც ფერი?

მიპასუხა: „მე ისა ვარ,
შარშან ამღროს რომ მელოდი;
დღეს კი გინდა გამისტუმრო,
მომაყარო ქვა და ლოდი?!“

—
„შარშან მთხოვდი: „მოდი, მოდი!“
დღეს იძახი: „წადი, წადი!“
მაშინ ვიყავ მე „ახალი“,
ახლა — „ძველი წელიწადი“. —

„მე მივდივარ, სხვა მოგიდისთ
სანატრი და სასურველი,
მაგრამ ისიც შეგძულდებათ,
რომ გაივლის ერთი წელი“. —

„ქვეყნის სურვილს, ქვეყნის იმედს
ვერც „ახალი“ გაამართლებს!..
თქვენს ცოდვებს და თქვენს შეცდომას
რათ აბრალებთ მიმავალ-წლებს?!“

—
„თავ-მოყვარე ადამიანს
მოსწონს თვისი ჭუა-გრძნობა
და მიტომაც ეძნელება
თვის თავის გამოცნობა.“

—
*უსამართლო ქვეყანაში
დიდს, პატარას, კაცებს, ქალებს...
ვისაც-კი რამ წაუხდება,
მიზეზს ყველა მე მაბრალებს!..“

„იძახიან: „რაც გადაგვხდა,
მხოლოთ მოსაეალიაო,—
ბედისა და მარცხიანი
წელიწადის ბრალიაო!“

—
„ანდაზა-კი ავიწყდებათ:
„რაც მოგიგა, დავითაო,
სხვას ნერავის დააბრალებ,
უკეთა შენი თავითაო“.

—
„თქვენი ცოდვა-მაღლით მაღევს
ზურგზე გუდა გატენილი
და რაც ვნახე ამ წელიწადს,
დავთარში მაქვს ჩაწერილი“.

—
„ცოდვის გუდას მე წავიღებ,
შენ-კი გქონდეს ეს დავთარი;
გაღიყითხე, შენებურათ
გაჰკარი და გამოჰკარი!“

—
ეს მითხრა და უცბათ გაჰქრა,
თვალიც ვეღარ მოვასწარი!..
ხელში შემრჩა მხოლოთ მისი
უცნაური რამ დავთარი.

—
გადავშალე, გადვიყითხე,
გამაკვირვა... გამაშტერა!..
იმ გუდიანს, იმ კუდიანს
რაები არ ჩაეწერა?!..

ყველა რომ ვთქვა, არ იქნება,
არ მომცემენ ამის ნებას!..
და თუ არ ვთქვი, გავსკლი გულზე...
ამფერ ამ ჩემს მოთმინებას!...

—
მოდი, ისევ ჯობს მიგმართოთ
ანდაზებს და უმანკო ზმებს,
გზა და კვალი გავუკვლიოთ
უშურულო აფორიზმებს.

—
„მე რომ შემხვდა წელიწადი,
თქვენს მტერს კიდევ იმისთანა!“
ასე იწყებს ბებრის დავთრის
ზლაპრები და გამოცანა.

—
„ვენახები გახმა ყველგან,
გაწყვა ღვინის მოსავალი,
• მიზეზ-მიზეზ დოს შარილი
აკლიათ“ — დამდევს ბრალი!“

—
„ღმერთმა მტერსაც ააშოროს
ჩემისთანა ბედის წერა!..
„სად ერეკლე და სად თეკლე?“
ის რომ გახმეს, მერე მე რა?!“

—
„დამნაშავეს ვხედავ, ვიცი,
ვინც ქვეყანა დამამტერა:
„სადაც შეგა მეფილოჭისრე,
იქ გაჩნდება ფილოჭისერა!“

„მაგრამ რა ვქნა, ეს სიმართლე
რომ არავინ დამიჯერა?!.
გზა არ მქონდა, ამ დავთარში
მაინც უნდა ჩამეწერა“.

—
„კაცის კვლა და ძარცვა-გლეჯა
გაისმოდა ყოველ მხარეს,
ბევრი ცოდვა ჩაიღინეს
ყაჩალებმა, სისხლი ღვარეს!..“

—
„შეეშინდათ სოფლელებს და
უფროსებიც გაიმწყრალეს,
მაგრამ, დახეთ უგნურებას!
ეს ცოდვაც მე დამაბრალეს!..“

,,ახა, ღმერთო! აბა ბრძანონ:
ვინ ქურდობს და ვინ იტაცებს?
ვინ გამოდის შარა-გზაზე,
ვინა ჰელეჯს და ვინ ჰელავს კაცებს.—

—
თუ არ ის, ვინც კატორლიდან
გაქცევიათ? შეუტყვიათ,
მაგრამ, როცა უჯიბიათ,
თვითვე ხელი შეუწყვიათ!“

„თუ კარგია, რათ გზავნიან,
თუ არა—რათ გეიბრუნებენ,
რას გვერჩიან ან ხალხს, ან მე,
რომ საერთო გვიწუნებენ?!“

„ეჭ, ხომ ვიცით დამნაშავე,
მაგრამ ხმაც ვერ გაგვიცია:
აყაზაკებს იქ რა უნდათ,
სადაც არის პოლიცია?“

—
„ჭირი გაჩნდა საქონლისა,
მუსრი გაჰკრა იმისთანა,
რომ საბრალო პატრონებმა
ვერ მიასწრეს ველარც დანა!“

—
„აღრიალდენ სოფლელები
დამწყევლეს და დამდვეს ბრალი...
მე რა მექნა?! „ჭირი იქ სჭრის,
სადაც მიყა ბეითალი.“

—
„სიცივემ და სიღარიბემ
გაახურვა „მალარია“,
წარა-მარა ქინაქინამ!“
კიდევ უფრო გადარია!“

—
„ზოგი მოკვდა უპატრონოთ,
ზოგსა ჰკლავდა მხოლოთ შიში
და რომ ვთვლიდი ჭირისუფლებს,
აღარ იყო ანგარიში!..“

—
„მამტყუნებენ ამაშიაც,
მაგრამ, ლმერთო, ხომ ჭორია?
და სიკედილის თანაშემწე
ბევრჯელ თვითონ დოქტორია!“

„ვერ დაუდგა კარგი ალო
ზოგიერთ დიდ მოადგილეს:
მათი საქმე, მათი ღვაწლი
როცა კარგათ განიხილეს,

— „მოახსენეს: ბრძანებულხართ
სწორეთ კარგი მოღვაწეო,
მაგრამ ცოტა დალალულხართ
და მიბრძანდით, აწ „აცეო!“

— „გადამღვრები მე გამიშყრენ:
წელიწადის ბრალიაო!
ნათქვამია: შესტაფეს რა,
რომ ყაჩაღობს ალიათ?!!“

— „ზოგ-ზოგ მდიდარ მემკვიდრეებს
გამოუხტა უცბათ მტერი,
რომ წართვას მამა-პაპის
სამკვიდროდან ყოლიფერი!..“

— „მემკვიდრები დროს ჰყველრიან:
, შამფურსა სწვავს, არა მწვადსო,
ფუი, ამისთანა წეს-რიგს,
ამისთანა წელიწადსო!!“

— „წელიწადმა აბა რა ჰქნას,
საღაც ყველა მშიშარია?!
ვინც მოკვდება — პლუშეესკისთვის
ზეტტერი და რიშარია!..“

,,მემკვიდრობა იმას რჩება,
მემკვიდრეებს — მარტო დავა!..
ნათქვამია: ,,სადაც გავა,
უოლიფერი გავათ გავა“.

„მხოლოთ ახლა შეუშალეს
ნახტომი და ჰკუა-გრძნობა,
როცა თვითონ მოინდომა
დიდი მუხრან-ბატონობა!..“

,,ისიც თურმე მე მიწყრება,
მე მემდურის, მე მდებს ბრალსო!..
არ იცოდა, რომ „უოველთვისი-
გერ შიიტანს კოკა წევალსო.“

„ყველა კარგათ დროს ატარებს,
საუცხოვოთ გართულია,
მხოლოთ მაშინ დაამთქნარებს,
თუ კი რამე ქართულია!..“

„ოპერებს და ხახლურ-დრამებს
იძახიან — ვუყუროთო!
რას დავსდევთ ჩვენს აქტიორებს,
დეე, დარჩენ უპუროთო!“

„გული მოდისთ ჩვენ არტისტებს:
ეს რა სამართალია?
მაგრამ რა ვქნათ? ყოლიფერი
წელიწადის ბრალიაო!“

„აღარ ახსოვთ კი ანდაზა—
თითქო საღაც ჭორიაო:
,,შინაური მრედე არის,
გარეული სწორათ.“

—
„პატარძალი მეოჯახე
ჭორს წიწილას არ გაატანს,
ველიჩომაც „პაუ, პაუ!
მიაძახა პაიასტანს!“

—
„მიაძახა, მაგრამ რაღაც
იქით-აქეთ იღაციცა
და ორივე მოიმდურა:
ჭორიცა და წიწილიცა!“

—
„ბრალს მე მაღებს, მაგრამ ხალხში
ნათქვამია და მეც ვიცი:
„უსათუოდ მგელი შეჭამს,
დედის წინ რომ წაფა კვიცი!“. —

„ივერიას“, „ცნობის ფურცელს“, „
დასის „კვალს“ და „მოამბესა“
გარეშემ და შინაურმა
ყველამ თოკი მოაბესა!..“

—
„გასწიეს და გამოსწიეს
ზოგმა აღმა, ზოგმა დაღმა!..
ამისთანა მწერლობას-კი
მიაყეფოს შავმა ძალლმა!“

„და რომ ჰკითხოთ რელაქტორებს:
„ვერ ვთქვით, რაცა გვწადიაო!
ჩვენ არა ვართ დამნაშავე,—
ცუდი წელიწადიაო!“

—

„წელიწადმა აბა რა ჰქნას,
რომ ცბიერობს ეს ქვეყანა
და სუსველა მწერალია,
ვინც კი იცის ანა-ბანა?!”

—

„აკაკიუ-კი გამობძანდა,
საგულეზე ჰქონდა გული,
რომ სებისკვრათ გამოეცხო
ყოველ თვეში მას „კრებული“

—

„გამოვიდა და მერე რა?—
გარეთ დახვდა უგულობა
და შინ კიდევ უარესი
ცხვირში ეცა უფულობა!..“

—

„გაიცინა, თქვა: „ეს ჭირი
არ ახალი,—ძველიაო!..
დე, ფურმა სულ იწევდოს,
სანამ მასაწვევია“

—

„მაღლობა ღმერთსა.. იმან მხოლოდ
არაფერი დამაბრალა,
რაღან ისიც ბებერია,
ჩემისთანა მაჩანჩალა!..“



I

ბბ. ბოდიშს ვიხდით თქვენთან, რომ მე ჩემი პირველი საუბარი არაკით უნდა დავიწყო და ისეთი არაკითაც, რომელიც თუ არ თვითოვეულ თქვენგანს, უმეტესობას მაინც მოხსენებული ექნება.

ერთ ისპანიელ მონადირეს შემოაღამდა მთაში და გაუავდარდა; დალალული, დაქანცული და დასველებული ის მიადგა ტყის მცველის ქოხს, დაურევა კარებზე და სთხოვა ღამის გათვევინება. ტყის მცველმა ჰკითხა—ვინ ხარო? და მონადირემ უპასუხა: მე ვარ... დო-ნხო-სემარია-დე-ტრავანოს-დე-ცესპოდოს-დე-კორდო-

*) ეს ლექციები ჯერ არსად ყოფილა დაბეჭდილი, მხოლოთ საჯაროთ წავიკითხე თრჯელ: ერთხელ ქუთაისში და ერთხელაც თვილისში. თვილისში, როგორც საზოგადოთ მოსალოდნელი იყო ჩემგან. განვაში და მითქმა-მოთქმა ასტერა: გამოვიდენ მებუკე მეგანგაშები და ამტკიცებდენ, რომ მე რუსთაველი დავამცირე, შეურაცხყოფა მივაყენე, ქართლელებს სულელები დაუუძინე, იმერლებს—გაიძერა და სხვანი... ეს ხმები ბ. ილია ჭავჭავაძემ ბეჭდვითაც დაამოწმა. ჩემს ლექციებზე, რასაკვირველია, მხოლოთ ზოგიერთები დაესწრენ და უმეტესობა შეიძლებოდა ამ ცილის წამებით მართლა მოტყუებულიყო და ამიტომაც მეც პასუხი დავწერე. რაღანაც ის პასუხი მაშინ არ დაიბეჭდა „ივერიაში“, დღეს ვბეჭდვთ აქ მეორე განყოფილებაში.

ვა-მარკიზ-ლი-ტროს-მონტეს და სხვა.. ერთი სიტყვით, ორმოც სახელამდი ჩამოუთვალა. ტყის მცველი ვერ მიხვდა, რომ საზოგადოთ კათოლიკების და განსაკუთრებით, ისპანიელების ჩვეულებით ამდენი სახელი ერთსა და იმავე პირს ერქვა, ეგონა; თუ ჯარი მიადგა კარზე და ასე გადასწყვიტა: მე ერთი ქვეშსაგების მეტი არა მაქვს და კარზე-კი ამდენი კაცი მაღდიაო, თუ ერთი შემოვუშვი და ლამე გავათევინებიყ, სხვებმა რაღა ჰქნან? უმჯობესია, გულს არც ერთს არ დავწყვეტო, თქვა და მიაძახა მოგზაურს: არა მაქვს თქვენთვის ბინაო.

სწორეთ ამ ისპანიელ მონადირეს გვაგონებს საქართველო, როდესაც ის მსოფლიო ისტორიის კარებს ერეკება. ბევრი დარი უნახავს საქართველოს; უფრო მეტჯერ ავდარი დასდგომია... დედა-მიწის ზურგზე არ გვეგულება ჩვენ ქვეყანა იმდენათ თავ-გადასავლიანი და იმ გვარათ ქირ-ნახული, როგორც ჩვენი საქართველო. უძეველეს დროიდან აქამომდე არ დარჩენილა ხალხი, რომელსაც არ შეხლოდეს ძალა-უნებურათ და ან რამე დამოკიდებულობა არ ჰქონდეს. სპარსეთი, ასურეთი, არაბეთი, სომხეთი, რომი და საბერძნეთი მხარ აქცეულიათ არ დარჩენიათ. თურქი-სელჩუკი და თვით მონგოლნი არა ერთ გზის მოზეირთებულან საქართველოზე ჩინგის ყაენების, ლანგ-თემურების და მათი მძვინვარე ნიანების წინამძლოლობით და თუ ყოველთვის უკან-ქცევით არ გაბრუნებულან და უძლევიათ ქართველთ ერი, — მაშინ ისე მაინც დასუსტებულან და იმდენათ მოპკლებიათ ძალა, რომ მძვინვარებს სურვილი სხვა ტომების მოსრეისა დიდ-ხნობით შეჰქენებიათ. თვით ევროპის ხალხებიც, რომელთაც დღეს უპყრიათ ხელში მეცხრა-მეტე საუკუნის ლამპარი განათლებისა, — საშუალ აზიი-

დან გამოსულნი, შეა აპობდენ კავკასიას და საქართველოს გულზე გადადიოდენ.

ერთი მითოლოგიური სიბრძნე-სიცრუე, ანუ იგავარაკი, მოგვითხრობს, რომ პრომეთეოსი, იგივე ჩვენი ამირანი, ღმერთებისაგან შერისხული მისთვის, რომ იმან ოლიმპიულებს მოჰკარა საიდუმლო ცეცხლის ანთებისა და ბნელის განათლებისა და ჩამოუტანა და ასწავლა მიწის შეილთა,—მიჯაჭვული იყო კავკასიის ქედზე; თუმცა ტანჯულს შავი ყორანი გულ-ღვიძლს უგლეჯდა, იტანჯებოდა, მაგრამ პრომეთეოს, ისეთივე ზეიალი და შეუპოვარი, როგორც თვით კავკასიის ქედი, არ იდრეულა ქედს მრისხანე ღმერთების წინაშე და ამპარტავნებით ითმენდა დაუსრულებელ ტანჯვას. გლეჯდა შავი ყორანი გულ-ღვიძლსა, მაგრამ რამდენსაც უგლეჯდა, ნაგლეჯზე იმდენი ახალ-ახალი ამოდიოდა. არ ვიცით, ძველათაც ტანჯვაში ყოფილა საქართველო, თუ ეს არაკი იყო წინასწარმეტყველება საქართველოზე, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ამ პრომეთეოსს გვიხატავს კავკასიის ქედის ფეხთით გაშლილი, ტანჯული მრავალ-გვარათ, წამებული საქართველო. ვიმეორებ, არ დარჩენილა ხალხი, რომელსაც, როგორც შავ ყორანს პრომეთეოსისათვის, საქართველოსთვის არ ჩაევლოს გულ-ღვიძლში ხელი. მაშ, თუ ამდენი ჭირი უნახავს და ამდენი თაყ-გადასავალი ჰქონია, რა მიზეზია, რომ მსოფლიო ისტორიაში ვრცლათ და გამოკვლევით არ არის ნახსენებიო?—ეგება იკითხოს ეინმემ. ეს იმის ბრალია, სხვათა შორის, რომ, იმ ისპანიელი მონადირისა არ იყოს, ერთი სახელწოდება თავის დღეშიარა ჰქონია. ეძახდენ: მოსოხი, მესხი, იმერი, ამერი, ივერია, კოლხიდა, ალბანია, გეორგია, გრუზია, კარდოანი, თობალი, ხალიბი, მაკრონი,

ქართლი და სხვ. და სხვ. რა კუთხითაც მოადგებოდა რომელიმე ხალხი, იმ კუთხის სახელით იწოდებოდა მთელი საქართველო და ამ გვარათ, თუმცა მოხსენებული კი არის ისტორიაში, მაგრამ მეტათ გამოურკვევლათ და ნაკუწ-ნაკუწათ. მოვა დრო, როდესაც მომავალი ჩვენი ისტორიკოსები მოუყრიან თავს ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტებს, გამოარკვევენ და ისე, როგორც ხელოვან-მოსაქნარემ სხვა-და-სხვა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფერადებისაგან მოქარგოს ძვირფასი სამოსელი, შეაღგენენ ერთ ვრცელ ისტორიას ჩვენი სამშობლოისას, მაგრამ ეს იქნება საქართველოს საზოგადოთ ტრაგედია და კერძოთ მოწმობა ენის, რჯულის და ერობისათვის.

შეიძლება ვინმემ იყითხოს: მაშ, თუ ისტორიაში არ არის მოხსენებული ეს ამბები, საიდან ვიცით, წარმოდგენით ვიგულისხმებთ თუ კვალი რამე დაგვრჩენია? არის ნიშანი: ეს ის კვალია, რომელიც ყოველთვის ხალხში იბეჭდება აუხოცელათ, ეს ის კვალია, რომელიც არა თუ აღამიანის მოქმედებას, არამედ მის გულის მოძრაობასაც გამოგვიხატავს ხოლმე. ეს არის ენა, უტყუარი და ძვირფასი განძი ხალხისა. ძვირათ რომელიმე ხალხი გვეგულება, რომ ქართველებსავით მდიდარი ლექსიკონი ჰქონდეს. ვიცი ზოგიერთები ჩვენ სამშობლო ენის სიმდიდრეზე ლაპარაკს ოცნებათ ჩამომართმევენ; ბევრნი კიდევაც ამტკიცებენ, რომ ჩვენს ენაზე რთული აზრის გამოთქმაც არ შეიძლებაო, მაგრამ ეს რა საბუთია და რა ენის ბრალია? ის ვაჟ-ბატონები მოგვაგონებენ იმ კატას, რომელიც ძეხვს ვერ შეწვდა და ჰყაოდა „პარასკევიაო.“ არა, ჩვენი ენა მდიდარი არის. ძვირათ დარჩენილა ენა, რომელსაც არ შემოუწიროს ჩვენთვის რამდენიმე სიტყვა.

ჩვენს ენაში ვხედავთ სხვა-და-სხვა ენების სიტყვებს: სპარსულს, არაბულს, ებრაულს, სომხურს, ბერძნულს, თათრულს, რომაულს და სხვ. და ამ მიზეზით ხშირათ ერთისა და იმავე საგნის გამოსახატავთ ჩვენ გვაქვს რამოდენიმე სიტყვა. საკვირველი ეს არის, ამდენ ვაი-ვაგლაბში ჩვენი ქართული ენა არ გადასხვაფერებულა. ვერც ერთ ენის ძალას ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კა-ნონები, ვერ გადურევია, ვერ გადურჯულებია, დაუთ-მია ჩვენი ენისათვის და ჩვენკენ თვითონ გადმორჯულე-ბულა. სხვათა შორის, შესანიშნავი კიდევ ეს არის, რომ, როდესაც ერთისა და იმავე საგნის გამოსახატავთ სხვა-და-სხვა სიტყვები შემოსულა განსაკუთრებითი, ცოტა რამ განკერძოებითი ხასიათიც მისცემია. გნებავთ, მო-ვიყვანოთ მაგალითი. სიტყვა „უარის ყოფა“ ჩვენებუ-რათ, ძირეულ ქართულათ ნიშნავს რაიმეს გაღათქმას; ამ გვარივე მნიშვნელობა აქვს შემოღებულ სიტყვებსაც: „აშა“ და „ატკაზი“ და ამ სამსავე სიტყვასაც თავ-თავისი საკუთარი სახე აქვთ. მაგალითად, როდესაც კაცი რამეს გადათქვამს, მაგრამ იმედია, რომ შეინანებს და ხელ ახლა აღიარებს, მაშინ ამბობენ: „უარ-ჰყოვო“. მაგ. პეტრემ სამ გზის უარ-ჰყო ქრისტე, მაგრამ მამლის ყივილმა შეანანებიაო.

როდესაც ისეთ უარის გამოთქმაზე ამბობენ, რო-მლის შენანება ძალიან საეჭვოა, მაშინ იტყვიან: „აშა-ჰკრაო“ და როდესაც აღარაფერი იმედი აღარ არის გამოტეხისა, მაშინ ამბობენ: „ატკაზი“ თქვაო. ავილოთ მეორე მაგალითი. ჰკუა-ნაკლებ კაცს, საზოგადოთ ვე-ძახით სულელს, მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც შე-მოვიდა იმერეთში ერთი სიტყვა, რომელსაც ხმარობენ მაშინ, როდესაც ახარგბული სისულელის გამოხატვა უნ-

დათ: ეს კაცი სულელი კი არა, სულელზე უარესიც არის, წმინდა „დურაკი“ არისო, „გადურაკდაო“ და სხვ. ასე, ამ გვარათ, ბევრი სიტყვები გვაქვს შემოლებული სხვა-და-სხვა ენებიდან, მათი წყალობითაც შეგვიძლია შევიტყოთ, თუ რა დამოკიდებულობა ჰქონია ჩვენს ხალხს ამა თუ იმ ხალხთან. ამ გვარათ, მიგვიღია რამდენიმე ლექსები, მაგრამ ჩავიდგამს მათვის ქართული სული და შეგვისხამს ქართული ხორცი. იმ ძალაუნებურ შეტაკებაში მაინც ძლევა-მოსილი დარჩენილი დედა-ენა. ერთ სტაქან წყალში რამდენიმე წვეთი ღვინისა რომ ჩაურიოთ, უთუოდ ფერს უცვლის წყალს, მაგრამ რამდენიმე წვეთი წყალი რომ ერთ ყანწ ღვინოში ჩაურიოთ—ვერც ფერს დააკარგვინებს და ვერც ძალას. სწორეთ ასე წვეთ-წვეთებათ შემოსულან ზოგიერთი სიტყვები უცხო ენებიდან ჩვენს ენაში. მაგრამ დავანებოთ ამაებს თავი. ეს მივანდოთ მომავალს. დევ, ენის მეცნიერებმა, როგორც ისტორიკოსებმა, ეს აგვინ-სნან შემდევგში. ამ უამათ ჩვენი საუბრის საგანი სულ სხვა არის.

რასაკვირველია, კარგია, რომ ვიცოდეთ, თუ რა ვყოფილვართ ძველათ, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც გვეცოდინება, თუ რა ვართ ახლა. და ამაზე, უნდა მოგახსენოთ, მეტათ ხელცარიელათ გახლავართ. პირ-და-პირ, გამოტეხით მოგახსენებთ და ბოდიშსაც არ მოვითხოვ, რომ ჩვენი აწმოსი ჩვენ არა გაგვევება-რა. არ ვიცით, თუ დღეს რა არის ქართველობა, რა შეადგენს მის ზნეობითს და ფიზიკურს ან სისუსტესა და ან ძალას. თვითეულს ჩვენგანს მხოლოთ ის ადგილი და მისი ახლო მახლო გარემო მიაჩნია საქართველოთ, სადაც ისეითონა დგას. იმ ენას რაცხს წმინდა ქართულ ენათ, რომელ-

ზედაც თვითონ და მისი მეზობლები ლაპარაკობენ, და ქართველების საერთო საზოგადო ზნეთ, ხასიათათ და ჩვეულებათ—მათი კერძობითი ზნე და ჩვეულებანი მიაჩნიათ. ამ გვარათ, იმერიამერს ვერ იცნობს და ამერი იმერს და სხვა კუთხები საქართველოსი ხომ სულ უფრო უცნობი იქნებიან. ამის შემდეგ სრულიად გა-საკვირველათ არ მიგვაჩნია, რომ უცხო ქვნენ ლები ჩვენ ვერ გვიცნობდენ და არც უნდოდესთ ჩვენი ცნობა. დი-დი ღვთის წყალობაა, ხან-და-ხან გაკვრით თუ მოგვიხ-სენიებენ ხოლმე და ისიც ისე აგდებით და კილოვავათ, რომ უჯრებესია სულაც არაფერი თქვან. რას არ ადა-რებენ ჩვენს საქართველოს ის უმეტრები, რას არ ამ-ბობენ იმაზე და რას არა სწერენ?! ხან პატარა კრავათ თვლიან, რომელსაც ყოველი კუთხით მგლები ეხვეო-დენ და თუ მწყემსი კეთილი არ მისწრებოდა და არ დაეფარა, აქამდი ჩაინთქებოდათ; ხან წიწილას ადარე-ბენ, ხან რასა და ხან რას! საკვირველია ლმერთმანი, თუ ის მართლა ცხვარი იყო, რა ახირებული რქები უნდა ჰქონებოდა, რომ რამოდენიმე საუკუნოების განმავლობაში შემოსეულ მტრებს ისე ღონიერათ იგრებდა! ასე გასი-ნჯეთ, რომ ამ ოცი წლის წინეთ ერთმა ჩვენმა მწე-რალთაგანმაც-კი შეადარა პატარა მოლულუნე გვრიტს. ერთი სიტყვით, ვისთვის და რისთვის არ შეუდარებიათ აგდებით ჩვენი პატარა საქართველო!.. მათი მიბაძვით ნება მომეცით, რომ დღეს ავათამაშო ჩემი ოცნება და შევადარო საქართველო ჩანგურს, დიაღ, ჩანგურს! ვის არ მოგეხსენებათ, რომ ჩანგურს რამოდენიმე ძაფი აქვს აბმული, რომლებსაც სიმებს ეძახიან. თვითეულს ამ სიმ-თაგანს თავის საკუთარი ხმა აქვს და თავის შესაფერი ძალა. კერძოთ მათი ხმა უსიამო და უმნიშვნელოა. ერთ

ძაფათ რომ გადავგრიხოთ ყველა ეს სიმები, არც მაშინ
ივარებს; ხმა უფრო გაუმსხვილდება, მაგრამ მაგიერში
უსიამო და უმნიშვნელოც იქნება: მისი ხმა ეგვანება
ლარის ბაგა-ბუგს. მაგრამ, როდესაც-კი ეს სიმები ცალ-
ცალკე, თავ-თავის საკუთარი ხმითა უდერენ ერთსა და
იმავე დროს, შეერთებულათ, შეთანხმებულათ, მაშინ
მოისმის სასიამო გარმონიული, სამუსიკო ძლიერი რამ
ხმა. როგორც ჩონგურს სიმები, ისე საქართველოს სხვა-
და-სხვა მხარეები, სხვა-და-სხვა კუთხეები აქვს მობმული:
ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხა-
ზეთი, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, ლაზისტანი, ფშავი, ხე-
ვესური და სხვა და სხვა. თვითეულს ამ მხარეთაგანს, სხვა-
და-სხვა ბუნების გავლენით, თავის საკუთარი ხასიათი,
ჩვეულება, ზნე. და საკუთარი ცხოვრების პირობები
აქვს. კერძოთ, ცალ-ცალკე, ძალას და მნიშვნელობას
მოკლებულნი არიან, მაგრამ შეერთებულათ-კი შეადგენენ
ძლიერსა და ურცელ საქართველოს! არ შემიძლია გა-
კვრით არ მოვიხსენიო, რომ საქართველოს ძველათ ჭირ-
ში გამაგრება და სრულიად ამოუფხვრელობა ამ სხვა-და-
სხვა ფერობის ბრალი იყო. როდესაც მტერი საქართ-
ველოს ერთ რომელსამე კუთხეს მოადგებოდა და დაიპუ-
რობდა ერთ რომელსამე ნაწილს, მაშინ ქართველობა
მეორე კუთხეში, მეორე მხარეში გადადიოდა, იქ იფა-
რავდა თავს და იქ ძლიერდებოდა. მოსულ მტერს ერთი
რომელიმე ღროთაგანი წლისა უდგა, იმავე დროს ქარ-
თველებს ოთხივე დრო ხელთ ეჭირათ: დაბლა, ბარში,
სიცხე უდგათ, მალლა, მთაში, ყინვა იყო. ასე, ამ გვა-
რათ ბუნების წყალობით შეუნახავთ თავი, არასოდეს არ
ყოფილან ერთსა და იმავე დროს ერთიანათ დაპყრობი-
ლი და ამ საუკუნის დასაწყისამდე არც შეყენებულა მი-

სი პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობა. ამ უკანასკნელ საუკუნის დასაწყისს დაიძინა საქართველომ, მაგრამ ეს ძილი არის სამყურნალო, დროებითი შესვენება. პოეტი, ბარათაშვილი, ამბობს ერთ თავის თხზულებაში:

„მინდა, რომ მზე ვიყო ქვეყნის მნათობი და ქვეყნის განმაცხოველებელი; საღამოს მიტომ ჩავიდეო, რომ შევისვენო, შევასვენო ბუნება და მეორე დღეს უფრო ძლიერათ ამოვიდე და უკეთ გავანათო ქვეყანაო“. საკვირველია ბუნების განგება! ყოვლისფერი ისე დაუწყვია, რომ რაც კი მოძრაობს და სიცოცხლე აქვს, საჭირო არის მისთვის მოსვენება, რომ ხელა ახლა ძალ-ღონე მოიკრიფოს. დღიური მუშა, დაღალული და დაქანცული, თითქმის უსულოთ აგდია ღამე, სძინავს და იმ ძილში იქრებს ძალ-ღონეს სახეალიოთ. თუმცა ის ძილის ღროს მკვდარივითა ძევს, მაგრამ სიცოცხლე-სთან არა აქვს კავშირი გაწყვეტილი და უგნურის მეტი არავინ მიამსგავსებს იმას მკვდარს; გონიერი-კი ყურს დაუგდებს, შენიშნავს ძლიერს სუნთქვას, მოელის მის გამოღვიძებას. ამ მუშაკისა არ იყოს, ესევე ითქმის ჩევნს ხალხზედაც. დღემდის ეძინა, მოსვენებაში იყო; ზოგიერთებმა ეს ძილ სიკვდილათ მიიღეს, ხელი აიღეს იმისაგან, უარ-ჰყვეს არათუ მისი წარსული და მომავალი,— მისი ენაც-კი დაივიწყეს. მაგრამ დღეს, დროთა ვითარების შემწეობით, ახლათ იღვიძებს საქართველოს ყოველი კუთხე. როგორც საზოგადო წესია ახალ-გამოღვიძებულის, ის ჯერ კიდევ ბურანშია, ცოტას, იქნება, კიდევ ბოდავდეს, ეგება კიდევ ფეხი ეშლებოდეს, ბარბაცობდეს და ჩვენი ვალია, რომ ამ თავითვე მივაწვდინოთ ხელი, დავაყენოთ სწორ გზაზე ფეხ-მარჯვეთ და მოვუმზადოთ სამუშაოთ მათი გულის შესაფერი იარაღე-

ბი. მაგრამ ეს მხოლოთ მაშინ შეგვიძლია, როცა გვე-
კოდინება მათი ძალა, შევისწავლით მათ ხასიათებს.
და გამოვიყელეთ, თუ რა არის მათში ავი ან კარგი;
რა ზე და ჩვეულება უნდა გავაძლიეროთ მათში და
ან რომლის ამოფხვრას უნდა ვეცადოთ. აი, ამ გვარათ-
ჩვენ უნდა შევიტყოთ, თუ რა ვართ საზოგადოთ ქარ-
თველები, რა განსხვავებაა თვითოულ საქართველოს-
ერთობაზე, ან რა ერთობაა ახლანდელ დაცემულ
დროში და ან რა ყოფილა აღრე ძლიერების დროს.
მე ვეცადები, რომ პირველი ამ კითხვათაგანი შეძლე-
ბისა დაგვარათ, თუმცა სუსტათ, მაგრამ მაინც აგიხსნათ
დღეს, და მეორეს-კი შეგატყობინებთ დიდი რუსთვე-
ლის წყალობით, რომელსაც საქართველოს სხვა-და-სხვა
კუთხეების, სხვა-და-სხვა ხალხების ღირსებები და ნაკ-
ლულევანებაები პოეტურათ და ძლიერათ აქვს გამოხა-
ტული მის დაუვიწყარ „ვეფხვის-ტყაოსანში“.

ს ა ს ი ა თ ვ ბ ი

სურათი პირველი.

„იშერედა ვართ,
არას გარგიგართ;
შეგსდგმ, შეგჭარ,
ისევ წაგიგადთ!“

„უუუ, იმერელო! იიი, კორტეხელს!..“ და სხვა-
„ოქვენმა მზემან, საკვირველნი ხალხნი არიან ეს
იმერლები: ტიტლიკანათ გადმოეხეტებიან კორტოხსა,
ჩამოვლენ ჩვენს ქვეყანაში და იღვმენ ზურგზე კურტან-
სა. მათთვის არც ქეიფია, არც ტანი, არც ფეხი!.. აგრო-
ვებენ ფულებსა და მემრე, ჯიბეგასქელებულები, ბრუნ-
დებიან იმერეთისაკენ. შიმშილით რომ კვდებოდენ,

პურს არ იყიდიან, სანამ არავინ შეაძლევს; ყელამდი რომ ავსო ფულით, მაინც იღრიჭებიან, რომ საწყალი ვართო, არა გაგვაჩნია-რაო ერთი სიტყვით, მათგან სი-მართლის თქმა არ შეიძლება და ფხიკიანები-კი ისეთნი არიან, რომ, თითო რომ უჩვენოთ, კორტოს გადაევლე-ბიან!“

აი, რას ამბობენ რაღაც უმანკუ სიცილით ქართ-ლელები, როდესაც იმერლებზე სიტყვა ჩამოვარდება ხოლმე.

„შენ ნუ მოუკედები ჩემს თავს, ეს ქართლელები სწორეთ სიცრუის გუდები არიან! ასეთ-ასეთი სიცრუ-ვეების გაპენტვა იციან, რომ არც ღვთის იყოს და არც კაცის! ამ მთას იმ მთას მიახლიან, ცას დრეკენ, მასკვ-ლავებს მოჰკრეფენ და ზღვიდან თვეზებს გამორქენ მინდვრებში საბალახოთ. მისთანა უწმაწურიობის ლაპარა კი იციან, რომ კაცს, თუ მაგრათ თითებით არ დაიცევი, ყურები აგიწივლდება მისი გაგონებით. ენა-წაპილწულები არიან ერთი სიტყვით! ახლა, ბატონო, ტრაბახობას აღარ ბრძანებთ? თავი ყეენი ჰგონიათ და ერთი ჭიიანი მანეთის მეტი რომ არა უჭყაოდესთ-რა ჯიბეში, მაინც თავისას არ იშლიან და ირიხებიან. ერთი სიტყვით, სწორეთ ძანუალ უყვარსთ თავის გამოაჩენა და სულ მისი ბრალია, რომ სიცრუის გუდებათ გაღაქცეულანო!“ რაღაც მზა-კვრულის სიცილით მოჰკვებიან ხოლმე იმერლები ქა-რთლელებზე ამ სიტყვებს. ამნაირათვე გურულები მეგრელებს დასცინიან, მეგრელები ქორთუებს,—ერთი სიტყვით, თვითო ყველას და ყველა ერთს. არ მოსწონთ ერთმანეთის ქცევა, ერთი მეორეს ცრუს ეძახიან და რომელია მათში მართალი?

ყველა, როგორც ქართლელი, ისე იმერელი, ისე

შეგრელი და ისე გურული ერთიანათ დღეს ცრუები არიან, მაგრამ მათ სიცრუეში განსხვავება არის და რაღანაც იმ სიცრუეში გამოიხატება თვითოვეული მათგანის ხასიათი, ამისათვის ჩვენ გავარჩევთ და გამოვიყვლევთ იმ განსხვაებაებს.

ქართლური ან ამერიკული სიცრუე უმანკოა; იმაში, ბევრიც რომ ეცალოთ, ისეთ მზაკვრულ ნიშნებს ვერ იპოვით, როგორც იმერულ სიცრუეში. და მართლაც, აბა დაუკვირდით ქართლელს, როდესაც ის ტყუილებს ამბობს, თუ იმ სიცრუეში პატიოსნური სულის კვეთება არ დაინახოთ! ქართლელი მისთვის კი არა ცრუობს, რომ ვინმე მოატყუილოს; არა, როშავს, ისე თავისთვის, რასაც თავის გული ეუბნება... ის ტრაბახობს სულ კეთილ საქმეებზე: სკოლებს მართავს, ქვრივ-ოხრებს ეწევა, მტერს ამარცხებს, მოყვარეს ეხმარება,— ერთი სიტყით, რაც საპატიოსნოა ჰქ კაცის ღირსების გამომჩენი, სულ იმაებზე ბაქიობს.

რა არის ამის მიზეზი? ის არის, რომ ადრეც, როდესაც ქართველი ღონიერი იყო და, ამაების ასრულება შეეძლო, კიდეც ასრულებდა და დღეს, როდესაც დროთა-ვითარებამ დასხაგრა, დააღარიბა, თუმცა საქმით ასრულება მისი თანშობილათ გადაქცეული კეთილთვისებაების აღარ შეუძლია, მაგრამ სიტყვით მაინც-კი ისევ აცხადებს თავის სურვილს და დარწმუნებულიც უნდა ვიყოთ, რომ ხელში თუ მოჰყვა შეძლება, რასაც ტრაბახობს, იმას კიდევაც აასრულებს საქმით.

რა ვქნათ, რომ გაღარიბდენ და აღარა შეუძლიათ-რა? ჭება მისთვის, რომ ჯერ კიდევ გული არ გა-

ტეხია, შიგ კეთილი სურვილები ჩამარხული აქვს და, თუ დრო წალმა მოუბრუნდა, მაშინ-კი, უეჭველია, სიტყვას საქმეთაც გადააჭცევს. ხომ გინახავთ გაკოტრებული სოველაგარი, რომელსაც ჯიბეში გროშიც აღარ აქვს, მაგრამ სულ თუმნობით ანგარიშობს და ამ ოცნებით იტყუებს თავს? აი, სწორეთ ამ გალარიბებულ სოვლაგარს ჰგავს დღეს ქართლელი მისი ტრაბახობით. ვიმეორებ, ეს სიცრუე ქართლელებს, თუ კი შეიძლება, რომ ამას სიცრუე დაერქვას, ბიწიერებათ არ უნდა ეთვლებოდეს, რადგანაც პატიოსანი და საქები შიზების შედეგი არის!.. ამ ნაკლულევანებას გარდა, ვიმეორებ კიდევ, თუ კი ეს ნაკლულევანებათ შეიძლება ჩაითვალოს, ქართლელში სხვა საძრახ რამეს ვერა ვხედავთ. ის არის ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში პირდაპირი, ხერხიანობაზე ხელ-ალებულია და როგორც სიარულში, ისე სიტყვა-პასუხში და საქმეებში-აც პირდაპირობს და არ უყვარს მიხვეულ-მოხვეულობა; მაგრამ აწ ესეცა ვთქვათ, თუ ეს პირდაპირობა რისი ბრალია, სასიხარულო თუ სამწუხარო მიზეზების? რასაკვირველია—სამწუხაროსი.

პირდაპირობა წარმოდგება ორი სულ სხვა-და-სხვა მიზეზებისაგან:

1) როდესაც კაცი იმდენ ძალას გრძნობს, რომ საჭიროთ აღარ ხედავს ვისმეს ანუ რისმეს საწინააღმდეგოთ შემწეობას, მაშინ ის მოიწევს იმაზე პირ-და-პირ ლომურათ და არც გარეშე ხერხებს, იმ სისუსტის ნიშნებს, გამოუდგება, რომელსაც სუსტი საჭიროთ ხედავს, რომ მელური მოქმედებით მაინც გაიმარჯვოს.

2) როდესაც კაცს სასოება წარეკვეთება თავის დაცვისა და მოემზადება ძლიერების უსიტყვო დასამონებ-

ლათ, ის მაშინ ხერხზე, როგორც გამოუდევარ იარაღზე, ხელს იღებს და პირდაპირობს; ან რატომ არ იპირდა-პიროს, როდესაც იცის ხერხიც ველარას უშველის გულ-გატეხილს და თუ გაისრისოს, პირ-და-პირ ბრძოლაში მა-ინც გაისრისოს და გული მაინც მოიფხანოს — არ ემჯო-ბინება?

აი, ორი სულ სხვა-და-სხვა მიზეზი ერთი და იმავე ნაყოფის მომცემი! და ჩვენი აზრით, ქართლელების პირდაპირობა ამ მეორის ბრალია. სანამ შეიძლეს, ებ-რძოლეს ღროთა ვითარებას და ბოლოს, როდესაც გა-უტყდათ გული, გააჭინეს უიმედობის ნიშნათ ხელი, თქვეს „რაც იქნეს-იქნესო, იყავნ ნება შენიო“ და დაადგენ პირდაპირობას. ამ გვარათ, თავის ბეღნიერი ღროის თავისთავად, სხვის შეუწევნელათ, დაბრუნება ამ ხალხს აღარ შეუძლია და თუ ვინმე დაუბრუნებს კეთილდღეობას, — ქართლელები საქართველოს ყველა სხვა ხალხებზე უფრო წმინდათ და მტკიცეთ მიიღებენ და შეითვისებენ იმ ახლათ მოპოვებულს.

რაც აქ ქართლელებზე ვთქვით, სულ ამის წინააღ-მდეგებს ვხედავთ იმერლებში.

სულათი მოორე

იმერელი ცბიერია. და ეს ზე არა თუ მოქმედებაში და სიტყვა-პასუხში, სიარულშიაც-კი უცხადდება. მართლაც, აბა შეხედეთ იმერელს და დაკვირდით მის სიარულს: წინ, რაც უნდა სწორი გზა ედვას, მაინც იქით-აქეთ მიუხვ-მოუხ-ვევს და ისე მიდის!.. თუმცა იმან შორიდანვე შეგნიშნათ, მოგერათ თვალი, მაგრამ ისე კი გიხლოვდებათ, რომ

თითქოს არ დაენახოთ, მერე ერთი უეცრათ შეგვეფეთებათ, შეკრთება, რასაკვირველია, აქტიორულათ და ბოლდიშს მოიხდის ალერსიანი სიტყვებით. მთის ამბავი რომ უნდოდეს სათქმელათ, ჯერ ბარის ამბით დაგიწყებს, რაც გულში აქვს და რაც სურს გითხრას, იმას პირდაპირ არ მოგახლის და ამას იმიტომ შვრება, რომ ჯერ, სანამ მანევრობს, ე. ი. იმისთვის საგანზე გემუსაიფებათ, რომელსაც მისთვის მნიშვნელობა არა აქვს-რა—აგათვალიერ-ჩაგათვალიერებს, აგწონს, თქვენს სახეზე და სიტყვაში წაიკითხავს თუ რა გუნებაზე ბრძანდებით და მერე, თქვენი ხასიათის ანუ გუნების შესაფერათ, ბანგივით ნელ-ნელა შემოგაპარებს, რაც უნდა სათქმელათ. დარწმუნებული ხართ, რომ იმ დროს თქვენს მოტყუებას ცდილობს, მაგრამ ისე ხელოვნურათ-კი ასრულებს ამ თავის წინა-განზრახვას, რომ თქვენ რაღაც უცნაური ძალით მოტყუებული რჩებით და არა ნაღვლობთ იმ დროს თქვენს უნებურ მოტყუებას.

იმერელი პირ-და-პირ არც აქებს კაცა და არც აგინებს. ვისიც ქება უნდა, იმას აგინებს, მაგრამ იმ გინებაში ისეთი გამოანგარიშებული სიტყვებია, რომ ყოველ ქებაზე უკეთესია; და ვისიც გალანძღვა უნდა, იმას, აქებს, მაგრამ ისე მოხერხებულათ და სოფისტიურათ კი დაუწყებს ქებას, რომ ვაი იმ ქებას!.. მაგალითად, იმერელს უნდა ვინმე აქოს,—პირ-და-პირ რომ ქება დაიწყოს, ჰფიქრობს, ვაი, თუ მიღვომით ჩამომართვანო და ისეთ გვარათ დაიწყებს გმობას, რომ თვითონ თქვენ გამოგასარჩლებს და ისე ხელოვნურათ-კი გებაასებათ, რომ გაგიტყუებს და მომეტებულ სურვილს აღძრავს თქვენში მისი ქებისას, ვისიც ქება თითონ პსურს გულში და სიტყვით-კი სხვას ამბობს; ბოლოს დაგეთანხმება,

თვითონ შენანებული დარჩება და თქვენ-კი გაამაყებული რჩებით მითი, რომ სულ წინააღმდევი დაუმტკიცეთ თქვენს მოპირდაპირეს და დაითანხმეთ. შემდეგ იმეორებთ ხან ერთთან, ხან მეორესთან ამ ამბავს და იმერელსაც ის უნდა, მისი გულის წადილი სრულდება და რა ენალვლება. თუ შეატყო, რომ სადმე უგუნურება უფრო გამოადგება, ვინემ გონიერება, ისე გაიუგუნურებს თავს, რომ მეტი აღარ შეიძლებოდეს და გულში-კი ამას ამბობს: „ამყოლს აჰყვევი და დამყოლს დაჰყვევიო.“ ერთი სიტყვით, უანგარიშოთ არას იქმს, არც არას იტყვის. მუდამ შრომობს, მაგრამ მისი ფიქრი და შრომაც-კი ყოველ შემთხვევაში მრუდება. გარეთ, სხვა მხარეს, ღმერთმა მოგცესთ იმერელი, ყველაფერში გამოგადგება; შინ კი, იმერეთში, ერიდეთ, არ გაგიტანს. ის არის უკიდურესათ შურიანი და ოლონდ მისი მოძმე ნუ შეიძენს და თვით უკანასკნელს არ დაჰზოგავს დასაღუპავათ. „მეც წავხდი, შენც წაგახდინე, ქრისტიანო, გვიხაროდესო“ — ამბობს გუნებაში კმაყოფილი.

ის, ამის ბრალია, რომ, თუმცა ყოველთვის მოუსვენრათ შრომობს იმერელი, ცხოვრებაშიაც ზომიერია, ხერხიანიც, მაგრამ მაინც ღარიბია და არა გააჩნია-რა, თორემ თავის თავის სასარგებლოთ რომ შრომობდეს და არა მოძმეების დასაკლებ-დასამცირებლათ — მდიდარი იქნებოდა. ვიმეორებ, რომ იმან არ იცის არც ძმობა-მეგობრობა, არც გატანა და არც სიყვარული... დღეს ის მომეტებულათ უზნეურია, მაგრამ ამ დღევინდელ უზნეურობაში, თუ დავუკვირდებით, ჩეენ დავინახავთ მომავლისათვის საიმედო ნიშნებს; მაგრამ ჯერ-კი ის გამოვიკვლიოთ, თუ რამ მოიყვანა ამ მდგომარეობამდე, ამ გვარ ზნეობით სიღარიბემდის ნიჭიერი იმერელი?

დროთა-ვითარება გველეშაპათ აწვა თავზე იმერეთს. მრავალ საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა შეეყენებია მისი მსვლელობა თავისუფალ ცხოვრებაში. გზას ულობავდა და წასვლის ნებას აღარ აძლევდა, მაგრამ იმერელი არ გატეხილა გულით და სასოება არ დაუკარგავს ისე, როგორც ქართლელს. როდესაც იმას პირდა-პირ და სწორ სასვლელი გზა გადულობეს, ის მაინც არ შეჩერებულა. დაანება თავი, დააგდო ძალაუნებურათ სწორი გზა, მაგრამ მაგიერათ მიხლართულ-მოხლართული გზა გამონახა, აღარ დაერიდა არც ტალახს, არც ეკალს, არც წყალსა და არც ცეცხლს; დაიწყო ხოხვა, აქეთ-იქით გაძრომ-გამოძრომა; გზა-მრუდეთ მიდის, მაგრამ მაინც ხომ მიდის ცხოვრების გზაზე და თუ ისეთი გასაშტერებელი მოხერხებითა და გამჭრიახობით მიდის დღეს ტალახიან მრუდე გზაზე, იმედია, როდესაც სწორ გზაზე დადგომის ლონისძიება მიეცემა, მაშინ, რასაკვირველია, მრუდეს დააგდებს და დღეს რომ ხერხებს ხმარობს, იმავ ხერხებს გამოიყენებს კეთილ და სწორ გზისთვისაც. მაშინ, აბა მაშინ ჩადგება იმერელი თავის ნამდვილ კალაპოტში და გამოიბრუნებს თავის თან-შობილ კეთილ-ზნეობას.

დღევანდელ მის შურიანობას აქვს საფუძველი: დღემდე ვინც-კი გაკეთებულა და გაბედნიერებულა იმერეთში, ყოველთვის თავის ქვეყნის მტერი ყოფილა და ყოფილა მტერი მიტომ, რომ ძლიერების სურვილი უსრულებია. რადგანც გარეშე მტრების პოლიტიკაში ძველათ იყო ხალხის დაჩაგვრა, ამისათვის ისინი იმისთანაებს აძლიერებდენ, რომელნიც უსათუოდ თავის ხალხს მისდგებოდენ დასაჩაგრავათ. ეს შეუშიშნავს ხალხს და

ცდილობს არავინ ამაღლდეს მისდა საჭირ-დღეოთ, თორემ აბა დაუმტკიცეთ თქვენ იმერლებს ის, რომ გაკეთებული და გაბედნიერებული კაცი არა თუ არას დაგაკლებს, კიდევაც მოგეხმარება-თქო და მაშინ ნახავთ, თუ კიდევ არ მოეხმარონ იმ საბედნიერო კაცს და არ მოუმართონ ხელი. ღროთა-ვითარებამ დაუმტკიცა იმას, რომ ნელია ვისმეს ნდობა და ამისათვის აღარავის ენდობა თავის თავის მეტს. აღარც სიყვარული რწამს და აღარც ნათესაობა-მეგობრობა. მოტყუების ეშინია და გულს არ აძლევს ნებას თავისუფლათ გათამაშებისას, თორემ აბა დაარწმუნეთ ის წინააღმდეგში და მაშინ ნახავთ, თუ რა გრძნობები გამოიჩინოს! თავის ქვეყანაში ერთმანეთის ეშინიათ, ერთმანეთს ვერ ენდობიან და ამ მიუნდობლობაში ჰკვდებიან; მაგრამ გარეშე ქვეყანაში, საღაც არ მოელიან სხვებისგან მოტყუებას, იქ თვითონაც გულწრფელობენ და პატიოსნებაზე თავს სდებენ. მომავალი-სათვის ეს ხალხი ცველაზე უფრო საიმედოა და პირველ კახრაკათ საგულებელი.

სურათი გესამა

რაც იმერლებზე ითქვა, ისევე ითქმის მეგრელებზედაც ცოტა რამ დამატებით.

მეგრელი უფრო წვრილმან საქმეებს ჰკიდებს ხელს, ვიღრე იმერელი. იმერელზე მომეტებული გულის-ყური აქვს, მაგრამ „სიბრძნის ზღვაში“ კი ისე ვერ მოსცურავს, როგორც იმერელი. მეგრელი ხელოსანია და ვაჭრობის მიღრეკილებისა, ასე რომ ოდესმე, როგორც ყოველგვარი სახელოვნო-სახელოსნო რამეები, ისე ვაჭრობაც

მეგრელების ხელში იქნება. სომხებს აღარას გაატანებენ, რადგანაც მათ სომხურ თვისებებთან თავისიც შეერთებული აქვთ. სომხურ თავიანობას, ანგარიშის კოდნას, გროვის დევნას და ძუნწობას უმატებენ თავიანთ მეგრულ ლირსებებსაც: მაღალ ნიჭს, გამბედაობას, სიმართლეს და სხვა.

რაც შეეხება დღევანდელ მის სიცროუეს, მეგრელი ისე არ ბაქიაობს, როგორც ქართლელი და არც ისე განზრახვით აქტიორულათ იტყუება, როგორც იმერელი. აღტაცებაში მომყვანი ბუნება სამეგრელოსი მეგრელს პოეტურათ ჩაესახა გვამში და ისე არას იტყვის, რომ აღტაცებულათ არა თქვას, ცოტაც არის არ გაათამაშოს თავისი ფანტაზია. ამბავს რომ მოჰყვება, მაშინ იმას კი არ გიხატავს, რაც თავის თვალით ნახა, არა, იმას, რაც უნდოდა ენახა. მოჰყვება ტკბილ-ქართულათ შევნიერს მოთხრობას, ასე რომ იმ დროს, როდესაც ლაპარაკობს და თქვენც შეჩერებულხართ, სასიამოვნოთ გირჩებათ, მაგრამ ბოლოს, როდესაც მოშორდებით და მოიგონებთ მის ნაუბარს, მაშინ-კი მიხვდებით და იტყვით: რა ილაპარაკა ამ კაცმაო? და სხვა.

თუ მოტყუება უნდა ვისმესი საქმეში, ის ისე ვერ ახერხებს, როგორც იმერელი; მაშინვე ატყობ, რომ მოტყუებას გიპირებს, თვითონაც კი იცის, რომ შეატყვეთ, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის და ყელ გამოწევით გეხვეწებათ დამიჯერეო; მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ გაუჭირველათ არ ცდილობს არავის მოტყუებას და გაჭირვებას-კი რაღა გაეწყობა!.. რაც შეეხება ნათესაობას და მეგობრობას, განსაკუთრებით მეგობრობა, ძლიერ იციან: მოყვარისთვის თავს გასწირავს და არას.

დაინანებს. ამ თვისებით მეგრელები დღესაც სჯობიან იმერლებსა. ერთი სიტყვით, დღეს იმერლებზედაც უფრო გაავზნიანებული მეგრელები იმავე მიზეზით, რითაც იმერლები, მომავლისათვის ბევრ რასმეს გვპირდებიან და ალარც საეჭვოა.

გურულები ბევრით ემსგავსებიან ამ ორ-გვარ ხა-სიათს, მაგრამ მათსაცით ხანგრძლივი და ფეხ-დაღგმული ვერ არიან. ვერც შრომას აიტანებენ ბევრსა; ისინი ყო-ველთვის და ყოველგან ჰაფეჟენ თოფის წამალივით. მოძრაობაში, სიტყვა-პასუხში, თუ საქმეში ყოველგან მოსწრებულნი არიან. ლხინში ღმერთმა მოგცესთ, მაგ-რამ ჭირში-კი რა მოგახსენოთ. ერთი სიტყვით, იმ სა-ქმეში, რომელიც დიდ დროს არ თხოულობს, გურული დაუფასებელია და მის მაგიერობას ვერავინ იზამს. ვაგ-ლახათ ნუ შეეხებით მის თავ-მოყვარეობას! ის დროთა-ვითარებამ „გააკუჭიანა“, მაგრამ ვერ გატეხა. ის გრძნობს, რომ კაცია დასაფასებელი და თუ შეუხვდა დროზე, „თავი კიტრათ მიაჩნია“, როგორც სხვისა, ისე თავისი. ის არის ლხინის შეილი და ჭირშიაც სიცილით მოგეხ-მარება იმ ერთ იერიშზე და მერე, თუ იმ ერთი იე-რიშით ვერ გაარიგა-რა, მეორეთ იქ ალარ „გიყუნცუ-ლებს, ქე წავა მისდა შინისკენ.“ მომავლისათვის დიდი საიმედო არიან. დანარჩენებზედაც საზოგადოთ ამასვე ვფიქრობთ.

აი, ამგვარათ დღეს თვალს ვავლებთ ჩვენი სამშობ-ლოს სხვა-და-სხვა კუთხების ხალხს და მართლა სასია-შოს აწმყოში ვერასა ვხედავთ, რაღგანაც ისტორიულმა მიზეზებმა მავნებლათ იმოქმედეს იმათზე, მაგრამ მომა-ვლისთვის-კი ბევრს გვიქადიან და მაშინ ვნახავთ, თუ რაც იქნებიან. აწ-კი ჩვენ ის გავშინჯოთ, როგო-

რები იყვენ დღეს აქ მოყვანილი ტომები ძველ ღროს,
მაგალითად მეთერთმეტე საუკუნეში, თამარ მეფის ღროს.
ამისათვის ჩვენ ავიღოთ უკვდავი პოემა „ვეფხვის-
ტყაოსანი“, გავარჩიოთ და იქ ვნახავთ ჩვენს ქვეყანას
მისი კუთხეებით და მცხოვრებლებით ისე გამოხატულს,
როგორც სარკეში ჩასახულ რამეს.



ԱՄԵՐԻԿԱՆԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՍԱՀՄԱՆ-ՌԱԴՅՈՑԻՆ: ԱՐԺԱՆԻՆ, ՖԱՌԱ-
ԲԻՆ ՇԱ ԼՐԱՎԵՐՈՒՆ.

Ճյալա-միջուկ է Կորցի, հռոգորս զուրութ, պայլացան Տա-
յրտուած մալ-մոմրեցօծին Տարձոց վաղացն, Տա-
ճապ ճոճո Վարժարա յուրա և մլոյրո Տայսկա Տիաց-
հաց. Ցագրամ ամ մալ-մոմրեցօծաց տացուո յանոն այցե:
Մոց, Աթուարյոցին Յայցըրալցեցնուլո Եյրես և դա դարու Ծրո-
ալունիս, Միուսուա յայցնու Քոն Մելուալուն Մյոյըրեցնուլո
ոյն յետուած. Եալեսու Տոծրմնյու ու Վարժարա արակշո հայուպենյոցու
Մեուունուա Աթուարյոցին ճոճո Տարյու: „Մուճու Յնաետո
Յենաետու“ և „ար Մյոյըրեցնու“ ։ Տուրյուլու համուազլու-
լուա, տու հռոգորս Մյոյամա մոյնա Յենաեմա (Յանմա), Յենա-
ես տեսմ, տես Մյոյմա, Մյոյլու տուումա և ամ յարատ,
հռուլու հռմ Մյոյուունու յու Աթուարյոցին յանոն, դա-
սածամու ույց ճասաբյուսս յուրուացես և յույանասկենյու Մյոյ-
յմյունու ույց մոյնա Մյոյամա.

Մյուրայ յուճու յուտուո Տագյունուսեմուսա: Վարլու
ոյքըրս հիւրու Մյոյակմյունուա; Տուրյուլուս Քոնյու յունցնուց
Վարժարա Մենյոյըրեցնու մու մոմրյուս: „ար Մյոյըրեցնու!“ Տար-
տուալու, հիւրու յուրու ոյքըրս, յուրու արթոյու, արթոյու յասո
յուլուցս, յալու յուլուցս և ույց մարլու սկամս. արացու
արա Մյոյըրեցս հու յույլուս եցեցս յաճասաեածու. և ամ
ճայսըրյուլուցել Մեուունուա ծրմուլու Տամարչացըրս, տումուս,
մեուլու Ծրուցենուո, մագրամ մանց յամարչացըրս, օմասա
հիւրես, յոնց Մյոյնուլու և Քոն-ճաեւլունուա. այ Տագյու-
լուսեմու ու արուս, հռմ Կոցչար յունար-մանարս, մոմրացս
և մոմիյմյու Աթուարյուս, Վարժարա յունարու մյոյըրու անու
բանչյ, Տուսելսա Քոյնու և Տարոնուրատ յույցըրս. ամ
յարու մյոյնարյուս արա տու Աթուարյուլուշու, մույնարյունուց

არიან, მაგალითად, სურო და ფიტრი. დედამიწაში მაგრათ ფესვებ გადგმულს, ქარ-გრიგალის შეუპოვარს და მეხის გამძლე ხეს გარს ეწმახვნება სურო, კანში უჯდება ფიტრი და ხე-კი ნელ-ნელა ხმება. თვალ-საჩინოთ გვიხატავს ამას ერთი ქართველი ახალ-გაზდა მწერალი:

„მცივა, მცივა, შემიბრალე, თავშესაფარი მომეცი, სი-ცივით ნუ მომკლავ, ხომ ხედავ, პატარა ვარ... ლამის ქარმა გადამაგდოს და თოვლმა დამარჩოს!.. ბინა მომეცი!“ ასე ევედრებოდა სიცივისაგან სიკედილის პირზე მისული პატაწა ფიტრის თესლი. მსხლის ხეს. მსხალმა შეიბრალა, იფიქრა, მადლია ვუპატრონებო და უთხრა: „შემოძევერი, შე საწყალო, ადგილს როგორ დაგიჭერო? ფიტრის მარ-ცვალი შეძერა მსხლის ქერქ ქვეშ, საღაც უფრო ღრმათ იყო გახეთქილი და ზედ ცილამდე მიყერა. მოიკალათ აქ მყუდროთ, თავისუფლათ, ხელ-შეუშლელათ. რამდე-ნიც დრო გადიოდა, იმდენათ იცვლებოდა მსხლის ქე-რქზე ტკიბასავით და კრობილი ფიტრი: იზრდებოდა, იბერე-ბოდა, სულ გან-გან იწევდა, მსხლის ცილარამდენსმეალაგას ჩაეხვრიტა და ტუჩებით დაჭკვროდა. მსხალს აღარც-კი ახსოვდა აქ იმისი ყოფნა და ამბობდა: „რაღაც მიღიტი-ნებს, თითქო არცა მკბენს და არცა მწუწნისო.“ მსხალს ჯერ ვერა გაეგო-რა და ფიტრი-კი ნელნელა იზრდებო-და: ღერს ღერი ემატებოდა, ტოტს ტოტი, ფოთოლს ფოთელი; გასუქდა, გალალდა, გაიბარჯდა, გაჭიზარდა, გაშალა შორს თავისი ბჟყალები. ფესვიდან მომდინარე წვენს წვეროებისაკენ აღარ უშვებდა, წოვდა, როგორც აბობა ბუზს, წუწნიდა, როგორცალლი შაქარსა, ძღვ-ბოდა, როგორც სვავი სისხლითა. მსხალი-კი თან-და-თან იმშეოდა. ბოლოს, მაგრამ გვიან-კი, მწვავეთ იგრძნო მსხალმა ტკივილი იმ ადგილზე. საღაც ფიტრი აჯდა“.

— „ვინა ხარ, რა ხარ და რა სულიერი? აღარ მო-შორდები? თუ სტუმარი ხარ, სტუმრობა ამდენი ხნის არ გავონილა, სტუმრის წესი აასრულე და თუ მტერი ხარ, გამაგებიე მაინც, რას ჩამციებიხარო? — დაეკითხა მსხალი“.

ფითრმა გადიხარხარა ისეთი საძაგელი და საზარელი ხმით და კილოთი, რომელშიაც გამოიხატებოდა მწარე და გულის მომცვლელი დაცინვა.

— ზრათ უნდა წავიდე?! გერა ხედავ, რამდენი ვართ? აბა მიიხედ-მოიხედე, გაიხედე იმ ტოტებზე! ჩვენი სამ-შობლოც აქ უნდა იყოსო.“

ამ შეუპოვრობის შემდეგ, თითქო ჯიბრზე, რაც ძალი და ლონე ჰქონდა წოვდა მსხალს; აღარ იმალებოდა და აღარც აღრიანდულათ თავს იკატუნებდა.

მსხალი ნელ-ნელა ხმებოდა და ფითრი-კი ხარობდა. „უღროვოთ დაბერდა, მოიკაკვა, დახავსდა, დაიღმიჭა, ქერქი დაელრიჯა, კანი დაუსკდა, ტოტები დაუკოპიტდა, ზოგი დაემტვრა, ზოგიც ნახევრათ ხმელი აქა-იქა-ღა გა-ეშვირა. საცოდავი შესახედი პატრონმა რომ ნახა, მსხალი ხილს აღარ იძლეოდა, მოჭრა დაუპირა, მაგრამ მეზო-ბელმა ურჩია: ვერ ხედავ, რომ ეგ ხე ფითრს შეუწუხე-ბია? მაგას რათა სკრი? შენ მაგას მხოლოთ გამხმარი შტოები გადასხებე, ფითრი გააცალე, მოუშორე და ჭაშინ ნახავ, თუ ისევ ისე აღრინდულათ არ გაიხაროსო. დაიჯერა მსხლის პატრონმა. „კაპ-კუპ, კაპ, კუპ“ — იძახოდა ცულის კაკუნი, თან მოჭრილი ტოტების ჭრიალი და ბარტყუნი. „ახლა-კი დაითვალა ჩემი დღე-ბი, აღარათერი მიხსნისო“. — ჰგონებდა შეშინებული ხე, მაგრამ ძირიდან, მიწის ჯურლმულიდან ხმა მოესდა: „ნუ გეშინია! ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ, არ მოვ-კვდებით რაღაი-კი ფითრი აღარ გვაწუხებსო!“ ის ხმა იყო

ფესვების ძახილი. „ისინი ისევ ღონიერნი, მძლავრნი, მრავალნი, უთვალავნი იყვენ. თავისთვის ჩუმათ ბნელს, უმშეო, თვალ-ჩაუხედველ უკუნში მიმალულ-მიჩქმალუნი, მსხალს ახალ-ახალი ტოტებისათვის უხვ საჭმელ-საზრდოს უმზადებდენ და აწვდიდენ.“

როგორც მცენარეებში ფითრი, სურო და ხავსი, ანუ ცხოველებში მქენარი მწერები, ისე ადამიანის ტო-მებშიაც ურევიან მისთანა გუნდები, რომელთაც თვით-არსებობა თავის თავად არ შეუძლიათ და უნდა სხვის სხეულზე იხარის. ამის მაგალითს გვიჩვენებს ის ღიღი გუნდი მოვაჭრეთა, რომელსაც ჩვენ შეცდომით სომხებათ ვუწოდებთ. უხსოვარი დროიდან, იმ თავითვე, გაღმოუ-დგამს თუ არა ბიჯი ივერიელ ტომს, ისინიც ადევნებიან, გამოუვლიათ მცირე აზია, გაღმოულახაეთ მასისი (არა-რატი) და აქამდი ჩამოჰყოლიან, რომ ფითრივით გარს შემოხვევოდენ და კანში ჩაჭროდენ.

თუ გულ-და-გულ და უფრო მეტი დაკვირვებით გა-დავაცლებთ თვალს ისტორიას, ჩვენ დაგვინახავთ, რომ ეს ხალხი, სადაც-კი შეხიზნულა და თავი შეუფარებია, ცოტა სულის-მობრუნების შემდეგ, დაპატრონება მო-უნდომებია, თავიც იქაურ მკვიდრათ აღუარებია და ბაგანოთ მდსულობა გადაუფუტებია. მიუხედავათ წარ-თულ-ბერძულ ისტროის წაროებისა, მათმა ისტო-რიამ მეფის წართმევაც-კი მოგვინდომა და ღიღი და-ვით კურატ-პალატი თავის მეფეთ აღიარა, რასაკვი-რველია იმ განძრახვით, რომ ქვეყანა დაერწმუნებია: თუ მეფე ჩვენი იყო, მაშასადამე, მისი სამფლობე-ლო—ტაოსის კარი ანუ ახლანდელი ქოროხის ხეობაც სასომხეთო ყოფილაო. მომავლის გასაკვლევათ სხვისი წარსულის მისაკუთრება და მისივე ყოფილის უარის

ყოფა უპირველეს ხერხათ უჭირავთ ხელში. იმათ ისტორიას რომ დავვკითხოთ, თვით-არსებობა ქართველთა არასოდეს არ ყოფილა სახსენებელი, ენაც იმათ უწყალობებიათ ჩვენთვის, ანბანიც მათს მესრობს შეუთხავს ჩვენი დაწეს-წყობილებაც მათგან მიგვიღია!.. გუშინ არ იყო, რომ მათი მეცნიერი—პატკანოვი ამტკიცებდა: ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ, მხოლოთ მეთვრა-მეტე საუკუნეში, ვახტანგის დროს, შეთხხეს და ისიც სომხურ ზღაპარიდან? იმათი შეეგონებით არ იყო, რომ გრებშა საჯაროთ წარმოთქვა: „თამარ-მეფე მხოლოთ სომხებისა და ოსების ინტრიგამ დასვა ტახტზე, თვარა იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, ქართველები მცირესა და უმნიშვნელო, შეუგნებელ ბრძოს წარმოადგენდათ?! იმათი უურნალ-გაზეთები არ ამტკიცებენ, რომ ქართული ენა ისე ლარიბია, რომ რთული აზრის გამოთქმა შეუძლებელია და სიტყვებიც სომხურიდან მიუღიათო, მაშინ როდესაც სულ სხვას ამბობენ ევროპიელნი მეცნიერნი და მათ რიცხვში თვით მაოცე სასიქადულო ავტორიტეტი ბ. გატერიასი, რომლის აზრით სომხური ენის შესწავლა ისე არ მოხერხდება, თუ არ ქართული ენის წყალობით და საშუალობითო?!

ნეტავი ვინ უნდათ, რომ დააჯერონ და შეცდომაში შეიყვანონ—მსოფლიო ისტორია თუ ჩვენ? ვთქვათ, დავვთანხმეთ მათ: აღარ ვიწამეთ და აღარ ვირწმუნეთ არც უცხო ერების ისტორიული წყაროები ჩვენი ერის შესახებ, არც ჩვენი საკუთარი ქრონიკები, არც გუჯრები; ყალბათ ვიცანით ჩვენი პერგამენტები, არხეოლოგია, ნუმიზმათიკა და სხვანი, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რაც ახლა ჩვენს თვალსა-და-ხელ-შუა ხდება და რასაც ასე ნათლათ ჩვენი თვალითა ვხედავთ?!

გუშინდელი ამბავი

არ არის მათი შემოხიზვნა და ჩვენ მიერ მათ საპატრი-
ნოთ ხელის გაშვერა? ჩვენმა უკანასკნელმა მეფეებმა,
ისინი შიგ შუაგულ საქართველოში შემოხიზნეს და რო-
გორც ვაჭარ-ხალხს, ომში გამოუსადეგარს, ქალაჭები
ჩააბარეს. ქართველი ხალხი-კი ბრძოლის ველზე ათენ-
ალამებდა, სანამ ძლიერი რუსეთი არ მიეშველა და მტე-
რი არ ჩამოაშორა! დაღალული, დაქანული და და-
წყლულებული ქართველები, შინ რომ შემობრუნდენ,
რა დაუხვდათ? ის, რომ მათი ყოფა-ცხოვრება, შემოხიზ-
ნულ და მოძმეთ მიღებულ ვაჭრების ხელში იყო და
ბოდიშის მაგიერათ, პირ-იქით მედიდურათ ჰყეიროდენ:
„ვინ ხართ და საიდან მოდიხართო? თქვენ როდის ყო-
ფილხართ აქო? ეს ყოვენლავის ჩვენი ყოფილაო!“ დასამ-
ტკიცებლათ ქართველებისვე ტაძრებ-მონასტრებს მიუ-
თითეს, საღაც ქართული ზედ-წარწერა ამოეფხიკათ და
„დავით-ბაგრატების“ ნაცვლათ „არშაკ-მარშაკები“ ჩაე-
წერათ!.. ჩვენ გვაკეირვებს შეცდომა და გულ უბრიყვა-
ლობა ჩვენი მეფეებისა და ქართველი ხალხის, თვარა ეს
სწორეთ ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ბრძოლა
არსებობისათვის მსოფლიო კანონია და ვერც სომხები
აცდებოდენ ამ კანონს, მით უფრო, რომ ძველი ან-
დერდი ხელში ეჭირათ და მისი გატეხა ისე არ შეეძლოთ,
როგორც საკუთარი რჯულისა! აი, რა უანდერძა მათ
საშვილიშვილოთ მათმა პატრიარქმა აბრაამმა „დვინის
კრების“ დროს—596 წ. „ჩვენ ებრძანებთ, რომ სომხებმა
ამის შემდეგ არ იქონიონ ქართველებთან არაეითარი
კავშირი არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობ-
რობაში, არც შვილების აღზრდაში; არ გაბედონ მგზავ-
რობა სალოცავათ, როგორათაც სახელ-განთქმული
მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა; არ

მისცენ მათ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში; ერიდ-ნენ იმათთან დამოკიდებულობას კოლ-ქმრობისას. ნება ეძლევათ მხოლოთ აღებ-მიცემობისა იმათთან, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბრძანებას უარ-ჰყოფს, წყეულიმცა არს იგი სულით დი ხორცით და ყოვლის ცხოვრებით!“ ამას შემდეგ ჩვენ რაღათ უნდა ვეცადოთ სომხების სი-ნიდისში. ჩაგდებას, რომ მსოფლიო კანონს ეწინააღმდე-გონ და რჯული გატეხონ? მაგრამ სრული ნება კი გვაქს, ვუსაყველუროთ იმ შეუგნებელ და ცრუ-ლიბე-რალ ქართველ ინტელიგენტებს, რომელნიც ბანს აძლე-ვენ სომხებს და გაიძახიან: „იბრძოლეთ თქვენც მხო-ლოთ იმ იარაღით, რომელსაც ისინი ხმარობენო!“ რა ეთქმის იმ მწყემსს, რომელსაც ჩატარებში მგლები შეცვე-ნიათ და მის ნაცვლათ, რომ ქან კომბალი აიღოს ხელ-ში მოსაგერებლათ, მხოლოთ იძახის: „უნდა მეც ისე მოვიქცე, როგორც ისინი იქცევიანო!. ე. ი. მოვიცა-დო იმ დრომდი, სანამ ჩემ ცხრევრებჭაპაც არ ამოუვათ მგლის კბილები და საკბენათაც მგლურათ არ აეშლე-ბათ საღერღელიო?!“

ჩვენ-კი, ჩვენი მხრით, არ შეგვიძლია, რომ თვალ-ყური არ ვადევნოთ არა თუ დღევანდელ მათ მოქმედე-ბას ჩვენში, თვით მათ წარსულსაც. საჭიროა, ვიცო-დეთ: მართლა ესენი არიან ის ძველი ჰაიასტნის ხალხი, რომელსაც არც ჩვენ უარ ვყოფთ, თუ სხვები შემოპარუ-ლან მათი სახელით? გავსინჯავთ, შევამოწმებთ მათ ისტორიულ პასპორტს და მისთვის აქვე მოვიცვანო სი-ტყვითი-სიტყვათ, შეუცვლელად ერთი ჩვენი ახალგაზდა-ქართველი მეცნიერის აზრს.

„ყველა ახლანდელი მეცნიერები თანახმა არიან, რომ ბევრათ აღრე შვიდი ათასი წლებისა ქრისტეს დაბადე-

ბამდე, შუა-აზიის მთა-ვაკეების არე-მარეში მოხდა იმნა-ირი ბუნებითი მოვლენა, რომელმაც უმთავრესი ნაწილი კაცობრიობისა ამ ადგილებიდან გაახიზნა. ამ ბუნები-თი მოვლენას უძველესი ზეპირ-თქმულობა უწოდებს „წარლვნას“ და ამის მიზეზათ ახლანდელი მეცნიერები სხვა-და-სხვა შემთხვევას ხდიან. ერთ ამნაირ შემთხვევათ აღიარებენ დედა-მიწის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თან-და-თან გაგრილებას; მეორეთ—იმას ამბობენ, რომ ისტორიის დასტამის წინა-დროებში წვიმის ღრუბლე-ბის მიმდინარეობა თბილი ადგილებიდან მაღალ და ცივ მხარეებისაკენ თანასწორი არ იყოვო და ამით ზო-გიერთი ადგილების წყლები ძალიან უნდა გადიდებული-ყვენ და წარლვნა უნდა მოეხდინათო. სხვა მეცნიე-რები, ვარსკვლავთ-მეტყველებით ანგარიშობენ, რომ იმ უძველეს დროში დედა-მიწას უნდა დატაკებოდა ერთი დიდი კვიმატი ანუ მთელი კვიმატი ჯგუფი და კვიმა-ტის ზღვაში ჩავარდნას ის ზღვა ძირამდის, 150 ეჯის სივრცეზე, უნდა გაეშროს და წყალი ხმელეთზე გა-დაესროლოსო“.

„რა მიზეზითაც უნდა მომხდარიყო წარლვნა, მაინც ეს ნამდვილია, რომ თეთრი მოდგმის ერები შუა-აზიი-დან სხვა-და-სხვა მხარეებისკენ გაემგზავრენ და, ერთი ნაწილის გარდა, რომელიც გადავიდა ინდოეთში, ყველა მათგანმა მიმართეს დასავლეთისკენ—აზიის წინა-მხარეში და შემდეგ დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ—ევროპაშიაც.“

„აზიის წინა მხარეში მეცნიერებას უპირველესათ მოჰყავს ტომ-ნათესაობა, რომელს, ძველი აღთქმის მი-ბაძეით, ხამიტ-ჭუშიტათ უწოდებენ. ჭუშიტებმა გამოია-რეს კასპიის და ორმუზის (სპარსეთის ყურე) ზღვებ შუა და მათმა უმთავრესმა შტომ მიაწია წილიის მდინარის

კიდევებამდე, საღაც სამუდამოთ დაბინავდა და შეუერთდა აქაურ შავი მოდგმის ერებს, რომლებთან მას არაფერი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა, როგორც ეს დაამტკიცა მეცნიერულმა შესწავლამ შემურული გვამების (მუმიები) უძველეს ეგვიპტელთა. მათგან იყო დამყარებული ლირს-სახსოვარი ძველი ეგვიპტის ყოფა-ცხოვრების წარმატება და მათგან დღეს დარჩენილან ფელანი. ხამიტ-ქუშიტებსვე გამოსდია ტომ-ნათესაობამ, რომელსაც უმრავლესი ნაწილი ახლანდელ მეცნიერთა უწოდებს ტურანულათ, მაგრამ იმ მიზეზისა გამო, რომ უფრო მტკიცე და მეცნიერული სახელწოდება ჯერ ვერ მოუგონიათ. ამ გვარ-ტომობის „ტურანლობა“ იმით არ არის დასაჯერი, რომ მისგან დარჩენილი ერების ენები იმდენათ განირჩევიან ტურანლების ენებისაგან, რამდენათაც სხვა ენებისაგან ფლექსიური (მცვლელი) მოდგმისა. გარდა ამისა, უძველესი კაცობრიობის თქმულებანი, მაგალითად: მოსეს წიგნები და ზენდავესტი, მოწმობენ, რომ იმ დროთა წყვდიადში ნამდევილი ტურანლები არ გამოსცილებიან ჯიონის მდინარის და კასპიის ზღვის ნაპირებს და წინა-აზიაში შემოსულან უგვიანეს ყველა სხვა დიდ ტომ-გვარობისა, ე. ი. სემიტებისა და არიელებისა“.

„ამ განცალკევებულმა, ხამიტების შემდეგ, წინა-აზიაში უძველესმა გვარ-ტომობამ შემოუარა კასპიის ზღვის სამხრეთ-კიდევებს უმთავრესი თავისი ნაწილით, მივიდა მცირე აზიაში და იქ დასახლდა. ახლანდელი მეცნიერება გვაუწყებს, რომ ამ ტომ-გვარობისა იყვენო, სანამდის სემიტები და არიელები არ შემოერიენ, მიდიელ-არარატიელები, მესეხ-მთაბარიანი, სეთები, უმრავლესი მცირე-აზიის ერები და ქალდეველნი ორიოდე

ქვეყნებისა, ე. ი. შავი ზღვის (სპერიის) და შუამდინარეთისა. ამ ერთთა შორის ყველაზე უფრო თვალ საჩინო იყვენ შუამდინარეთელნი ქალდეველნი, რომელნიც ევფრატის და ტიგროსის მდინარებს ჩაჰყენ და მათ ბოლო-კიდევბზე იქაური ხამიტებითურთ უპირველესი კერა კაცობრიობის სწავლა-წარმარტებისა ააგეს. რა ტომ-ნათესაობისა იყვენ ეს ქალდეველნი—ამაზე დიდი დავობა ქონდათ და ახლაც აქვთ მეცნიერებს. პირველ-შეხედულობით, რასაც ასაბუთებდა გაკვრითმარტო შესწავლა ლურსმულ წარწერებისა, ზოგიერთნი, ფიქრობდენ, რომ ეს ქალდეველნი სემიტების თანამეტომენი იყვენო, მაგრამ ეს აზრი ბევრმა რამ მოსაზრებამ გააცრუა, და უფრო იმან, რომ გამოჩნდა უძველესი ლურსმულ - წარწერები, რომელნიც არ იყო დაწერილი სემინტურ-ენებზე. ამნაირი წარწერები პირველათ ოპერტრმა შენიშნა და წარმოთქვა მათი ენის „ტურანლობა.“ ეს მოსაზრება თითქმის ყველა მეცნიერებმა მიიღეს და განსაკუთრებით ლენორმანმა. მაგრამ ამ ბოლო დროს მისი მოწაფე ბაბელონი ამის წინააღმდეგი შეიქმნა. ბაბელონის აზრით, ტურანლების ერების ისტორიით ცნობილი თვისება იმნაირი არ იყო, რომ იმათ დაემყარებიათ რამე სწავლა წარმატება. ამ მოსაზრებიდან და იმ გარემოებიდან, რომ ქალდეველების და ეგვიპტელ ქუშიტების სწავლა-წარმატების ფესვ-დასაწყისი მსგავსია ჯუზნ, ბაბელონი სკვნის, რომ ისინი თანამოგვარე იყვენო, რასაც ძველი აღთქმის ცნობებიც მოწმობენო. ბაბელონის ნათქვამი იმ შემთხვევაშია დასაჯერი, თუ უძველესი ლურსმური და იეროგლიფიური წარწერების ენები ემსგავსებიან ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ ეს მსგავსება

არა ჩანს. ხამიტური და სიმიტური ენები თანამოგვარე ენები არიანო, ამ ენების ერთ უმკვიდრეს თვისებას შეადგენსია: ემფატიური (ალტაცებითი) ბეგრები, მტკიცეთ განსაზღვრა მსტვენავ ბეგრების და სხვაც, რაც ოპერტმა შენიშნა და რითაც უძველესი ლურსმულ-წარწერეების ენა განირჩევა სემიტურ ენებისაგან. მაში, შუამდინარეთელ ქალდეველების ვინაობაზე შეცნიერებას ჯერ უკანასკნელი სიტყვა არ წარმოუთქვამს და უფრო მისალებათ რჩება ის მოსაზრება, რომ ისინი იყვენ იმ ტომ-გვარობისა, რომელმაც წინა-აზიაში ხამიტებს მოსდია და რომელიც ჯერ მეცნიერულათ დასახელებული არ არის, როგორც ზემო-თქმულია“.

„რამოდენიმე საუკუნოებით წინა-აზიაში ხამიტებისა და „განცალკევებულ“ ტომ-გვარობისა შემდეგ შემოდიან სემიტები. ისინი მიჰყენ თავიანთი მონათესავე ხამიტების კვალს და შუამდინარეთელნი ქალდეველნი დაიმონავეს, როცა ამ უკანასკნელების მფლობელნი იწოდებოდენ მძლავრ ვაშკაცებათ, მეფეებათ „ურისა“ და მეფეებათ „სუმირის და აკვალის“ (არქალის¹) ქვეყნებისა. შემდეგ აქ დაარსდენ დიდი სახელმწიფოები ბაბილონისა და ასურეთისა. სხვა სემიტების შტოები და მტკვიდრენ: არანეთის ნახევარ-კუნძულს (არაბები), პალესტინას (ებრაელები) და ხმელთა-შუა-ზღვის აღმოსავლეთის კიდეებს (ფინიკიელნი და სხ.). ამნაირათ „განცალკევებული“ გვარ-ტომობის ერები იყვენ განდევნილნი ჩრდილოეთით მცირე-აზიისაკენ და მდინარეების ევფრატის და ტიგროსის სათაჭურებისაკენ.“

„2500—2000 წ. წ. ქ. დაბადებამდე აზიის წინამხარეში შემოდიან ორი გზით არიელები. ისინი არიან

¹⁾ მოსეს წიგ. II თ. 10 მუხლ. 10

ძველი მიდიელები და სპარსელები, ერთი მხრით, და შეორეთი—ის არიელები, რომელთქც შუა აზიიდან სამხრეთი ევროპა გამოიარეს და ბალფანის ნახევარ-კუნძულიდან მცირე-აზიის დასავლეთ-ნაპირებზე გადავიდენ.“

„ამ კაცობრიობებს გადასახლებ-გადმოსახლებაში შეუძლებელი იყო, რომ არ მიექცია ყურადღება, ვინც კი გაიარა, იქ მთა-ქედებისათვის, რომელნიც ტიგროსის, ევფრატის, ჰალისის და არაქსის სათაურებ შუა არიან აბურთებულნი. ესეც ადვილათ წარმოსადგენია, რომ სამხრეთ ვაკეებზე მცხოვრებთ, რომელთაც-კი ახსოვდათ ზეპირ-გადმოცემით წარლენის ამბავი, ეს მთები, როგორც უფრო ახლობელი, ცნობილი და გასაოცარი მათვის, უნდა გაეხადათ იმ ნავთსადგურათ, რომელ-შიაც შეიხიზნა კაცობრიობა. მართლაც, ებრაელთა ნოე ანუ ბაბილონელთა იზდუბარი (იგივე ნოე) მიმართავს თავის კიდობნით ამ მთა ქედების ბოლოცომას, აქ იკიდებს ფეხს და აქ იწყებს ახალ ხანას კაცობრიობის ისტორიისას.“

„შუამდინარეთით ჩრდილოეთისაკენ ეს უზარმაზარი მთა-სიმაღლეები სემიტურ ენებზე იწოდებიან: „არარატათ, „ურარადათ, ანუ „ურარტათ“ (არა—სიმაღლე, მთა და „არარატ“—სიმაღლეთ-სიმაღლე, მთათა-მთა²), უმწვერვალესი ქედი). მთიან აღგილის აღსანიშნავათ სემიტურ ენებს კიდევ სხვა სახელწოდებაც აქვთ „არმენი“³), ე. ი. მთიულეთი. როდესაც სამოცდა ათთა მთა-რგმნელთა გადმოიღეს ებრაელ ენიდან ძველი აღთქმის წიგნები, იმ დროს ზემოხსენებულ . სახელწოდებათაგან უფრო გავრცელებული იყო უკანასკნელი და, აი, მიზეზი,

²). უსლარი. უძველ. თქმულ. კავკ. გვერ. 17—27.

³) ლენორმანი. ისტორ. უძველ. აღმოსავ. (1 გვ. 1—81.)

რომ თარგმანში სიტყვა „არარატი“ ყოველგან შეცვლილია სიტყვით „არმენი“. არა თუ სემიტურ ენებს, მათ მონათესავე ხამიტ-ქუშიტურ ენებსაც მთიან ადგილის აღსანიშნავათ ჰქონიათ იგივე სიტყვა-„არმენ“, „არამ“ ანუ „რამენ“. ⁴⁾

„ზემოთქმულიდან ხომ ცხადია, რომ სახელწოდება „არმენი“ არ იყო ვინმესი ეროვნული (ნაციანალური) სახელწოდება და ეკუთვნოდა, დამოუკიდებლათ მისი გვარ-ტომობისა, ყოველ ერს, რომელსაც-კი უცხოვრია ამ ადგილებში.

„რა გვარ-ტომობის იყვენ ამ არმენის, მთიულეთის მკეიდრნი, სანამდის არიელთ ტომ-ნაწყვეტები არ ჩამოსახლდენ, ამაზე უტყუარს, მეტათ ძლიერს და მაღალ საბუთს წარმოადგენს თვისება ადგილობრივი ლურსმულ წარწერების ენისა. პირველნი მკეიდრნი იმ მიწა-წყლებისა, რომელსაც „არმენია“ ეწოდება, რაულინსონის და ლემორმანის, ამისთანა თვალ-საჩინო მეცნიერების, დასკვნით, იყვენ იმავე ტომ-ნათესაობისა, რომელსაც ეკუთვნოდა ქართველთ წინაპართ თანამოგვარეობა, რომელსაც დაბადება ⁵⁾ უწოდებდა „თოვორმათ“ (ქართულათ—„თარგამ“) და რომელსაც არავითარი ერთობა არა ჰქონია არიელთ ტომ-ნაწყვეტებთან.“ ⁶⁾

„მაშ, ამ მთიულეთში და საზოგადოთ მცირე აზიის აღმოსავლეთ მხარეში რა დროიდან იწყება არიელების ჩამოსახლება? ამაზედაც დღემდის დაცულია უტყუარი ცნობა. მე XII საუკუნიდან მერვეს ბოლომდის, პ. დ—მდა საზარელნი ასურეთის და ბაბილონის მფლობელნი

^{4).} ლენორმანი. ასირიოლოგიური წერ. I.

⁵⁾ დაბადება. თავ. X. მუხლ. 3.

⁶⁾ ლენორმანი. ასირიოლოგიურ წარწ. I.

განუწყვეტლათ ებრძვიან ⁷⁾ მესეხ-მთა-ბარლებს და ურა-
რადიელებს, ე. ი. თარგამოსლებს, ქართველ წინაპართ
თანამოგვარებს, როგორც ზემოთ თქმულია. ამ ხან-
გრძლივმა ომიანობამ თარგამოსელნი შესამჩნევათ და-
სუსტა და უფროსი იმათი ნაწილი ამიერ-კავკასიისაკენ
გასწია. მერმე მიღიერ მეფის ქიაქსარის (634—585 ⁸⁾)
გაძლიერება იმათ ადგილებში ასახლკარებს არიელებს.
ამ დროს იმათვე მიწა-წყლებში დასავლეთიდან შემოდის
ერთი ერი, რომელიც, ლენორმანის და ლანგლუას
მეცნიერული დასკვნით, ⁹⁾ იყო ი ახლანდელი ჩვენი სომ-
ხების წინაპართ ტომი, რომლისაც ენა, შეურყეველი სა-
ბუთების ძალით, ეკუთვნისო არიელთ მოღმის ენებს
და რომელმაც მერმე შეითვისაო არმენიელ თარგამო-
სიელთ სახელწოდება და დაირჩინაო დღემდის უცხო-
ელთ მწერლობაში. არმენიაში (იგივე მთიულეთში) ახ-
ლანდელი სომხების წინაპართ შემოპარვა მიღიელთ და
სპარსელების მძლავრობის დროს (634—490 წ. წ. ქ.
დ—მდე) ისე ჩემათ მოხდა, რომ ისტორიას თითქმის
ვერ შეუნიშნავს და მხოლოთ დარიოს (521—490) მე-
ფის ერთი წარწერიდან გაიგება იმათი ამ დროს ეფურა-
ტის დასავლეთ სათაურის ხეობაში დაბანაკება. საო-

⁷⁾ ფიმლათ-ფალასარის (1120—1080 წ. წ.) და სალმანასარის 860—825 წ. წ. წარწერები ამბობენ: „ორჯელ ვსძლიე მესხებს და იმათ ხუთ მეფესო...“ „ჩემი მეფობის 22 წელს მე 21 ხელ გავედი ევფრატს გაღმა, შევედი მთა-ბარის ქვეყანაში და 24 მეფეს ამ ქვე-
ყნისას ხარკი დავადეო“.

⁸⁾ ქიაქსარი „ქართლ-ცხოვრების“ სპანდიატ-რვალი უნდა იყოს (?)

⁹⁾ ნახეთ-ლენორმანის „ასირიოლოგ. წერ I და ლანგლუას „არმენ. ისტორიული თხზულებების კრებული“ 22, I. ლანგლუა ხომ-
დიდათ პატივს სცემდა სრმების ისტორიულ თხზულებებს, მაგრამ
ამ შემთხვევას უარს ვერ ჰყოფს.

ცარი ეს არის, რომ შემდეგშიაც ამნაირი გადაუოცვ-
გადმოუოცვა და შეთვისება უცხო ერთ სახელწოდები-
სა შეიქმნა მთელი იმათი ისტორიის მიზნათ და ეროვ-
ნულ (ნაციანალურ) ხასიათად“.

„ამნაირივე ისტორია აქვთ სიტყვებს „სომხეთს“ და
„ჰაისტანს“. არ მოიპოვება ცნობა იმაზე რა სახელწო-
დებას ხმარობდენ არმენიის აღსანიშნავათ ქართველთ
წინაპართ თანამოგვარენი, როცა ისინი იქ ცხოვრობ-
დენ. შესაძლებელია, რომ იმავე არმენიათ ანუ რამენათ
უწოდებდენ და ეს სახელწოდება იმათ მიიღეს ხამიტე-
ბიდან, რომლებიც იმათ წინეთ შემოვიდენ წინა-აზიაში.
ეს კი უეჭველია, რომ აშიერ-კავკასიისაგან წამოწეულ
ერებისათვის „არმენია“ მთიულეთი კი აღარ იყო, არამედ
იყო სამხრეთით ქვეყანა, შემოკლებით „სამხრითი“, „სომ-
ხითი“, ე. ი. სომხეთი. უკეთესი დამამტკიცებელი ამის
ის გარემოებაა, რომ ეს სახელწოდება მხოლოთ ქარ-
თულმა და იმის ახლანდელ თანამოგვარე ენებმა იციან.
უძველესი თქმულება „ქართლის-ცხოვრებისა“, რომელიც
შეადგენს მატიანეთა კრებულს, იწყება მეტათ თვალ-
საჩინო ცნობებით.—პირველათ ის ვახსენოთო, რომ ⁽¹⁰⁾
სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერ-
თა და ლეფთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ ყო-
ველთა ერთი იყო მამა სახელათ თარგამ (ბიბლიის-თო-
გორმ) და სომეხთა მამა, თარგამის უფროსი ძე—
ჰაოს (იგივე ჰაი, გაიკი) ყოველთა უმეტესი გმირი იყოვო“.

„ამ სიტყვებზე ზოგიერთები აფუნქციებენ იმ მოსა-
ზრებას, რომ „ქართლის ცხოვრება“ შედარებით ახლო
დროის დაწერილია და დაწერილია უსათუოდ უმეცარი

⁽¹⁰⁾ აქ მეოთხველმა უნდა მიაქციოს ყურადღება მნიშვნელობას
კავშირისა „და“.

სომხისაგანო. უმეცრობა მწერალს იმით ეტყობაო, რომ ერთმანეთთან ანათესავებს იმისთანა ერებს, რომლებსაც არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთო, მაგალითად,—სომხებს, ქართველებს და ლეკებს. მწერლის სომხობა იმითიც-კი გაიგებაო, რომ სომხებს ანიჭებს უპირველესობას. სამწუხაროთ ამისთანა მეცნიერებისა, ეს თქმულობა ქართული მატიანებისა რომ არ ეთანხმება იმათ ისტორიას, არამედ გჭასაოცრათ ეთანხმება ახლანდელ ევროპიელთ მეცნიერების გამოკვლევას. „ვინ არ იცისო, ამბობს მეცნიერი სენ-მარტენი, რომ ზეპირ-თქმულობაში, ყოველი ერის ისტორიის დასაწყისში, სიტყვები, „მამა“, „ძე“ და ამნაირი სხვა მოასწავებენ ეროვნულ შტოებს და მიწა-ადგილების ნაწილებსო.„ მაში, „ქართლის ცხოვრება“ იმაშია შემცდარი, რომ მეგრელნი და კავკასიანი (სვანები) ქართველების თანამოგვარე არიან? ანუ ჰერ-კახელების და ლეკების (კახეთის მთიულების) ნათესაური კავშირი ქართველებთან სიცრუეა, როცა ახლანდელი ლეკების წინაპრები იზავე მატიანეში ორი ფურცლით (გვერ. 21, 22 და 23) კახეთის ლეკების შემდეგ იხსენებიან? ეგებ ის იყოს ბაქი, რომ „რანთა და მოვაკნელთა“ (ძველი ჰილიპნი ანუ ალბანელნი) და ქართველებთა მამა ერთი იყო, როცა ტაციტი მოწმობს, რომ იმის დროს ეს ერები ერთ-შთამამავლობას აღიარებდენო?“

„რაც შეეხება მატიანეს ცნობას ქართველების და სომხების თანანათესაობაზე და რა სომხებზეა აქ ლაპარაკი, ამას დიდი გამჭრიახობა არ უნდა და ადვილი მისახვედრია, თუ გაიხსენებთ ზემოხსენებულ ვინაობას უძველესი მცხოვრებლებისა სომხითის ანუ არმენიისას. ეგებ იკითხავთ, რანაირათ სახელწოდება-„სომხობა“, რო-

მელიც ეკუთვნოდა ქართველთ წინაპართ თანამოგვარე ერს, შემდეგ სულ სხვა ტომ-ნათესაობის ხალხს მიეთვი- სა და დღემდის შერჩა? აქ გასაოცარი არა არის რა, და ისტორიამ ბევრი იმისთანა შემთხვევა იცის. აი, სი- ტყვა „რუმი“, „ურუმი“¹¹⁾. ყველას კარგათ მოგეხსენებათ, რომ ამ სახელით უწოდებდენ რომაელთ სამფლობელოს წინა-აზიის დასავლეთ მხარეში. რომის იმპერიის ორათ გაყოფის შემდეგ ეს სახელწოდება ვიზანტიის მიეთვისა, მერმე სელჯუკების იმავე აღგილების სასულტნოებს, ბოლოს და დღემდის—ოსმალების თურქობას.“

„აქამდიც უნდა იყოს მკითხველი მიმხვდარი, რომ „პაისტნობაც“ ანუ „გაიკანობა“, იგივე „პაოსიანობა“ არ არის ეროვნული სახელწოდება არიელ სომხებისა, ე. ი. ახლანდელ სომეხთ უძველს მამა-პაპებისა, რაღ- განაც იმათ არა რიგათ არ ეკუთვნის „თოვორმიიანობა“, რომელიდან შთამომავლობს „პაოსიანობა“. ბიბლიის მოწმობით, ¹¹⁾ თოვორმის ერები უკვე დაბინავებული არიან სომხეთ-არმენიაში. მე-XVI-დან მე-VII საუკუნეები ქ. დ. წინეთ, ე. ი. იმ დრომი, სანამდის არიელ-სომ- ხები შემოვიდოდენ. ახლანდელ სომეხთ წინაპარნი, რო- მელნიც მუდმივი გადაცოცვაჭადმოცლვების გზას აღენენ, რასაკეირველია, თავის საკუთარ ეროვნულ თქმულობას ვერ ინახავდენ და მიითვისებდენ იმ აღგილებისას, სადაც რამდენსამე ხანს შეჩერდებოდენ. თუ ვინმე მეცნიერის სიტყვა დასაჯერია შესახებ ისტორიისა უწინდელ სომ- ხეთ-არმენიისა, რაოდენათაც ეს ისტორია აღმოიკით- ხვის აღაგობრივ და ასურელ ლურსმულ წარწერათ

¹¹⁾ დაბადება, თ. X, მუხლ 3. და ხევიელი, თ. თ. XXVII და XXXVIII, მუხ. 24 და 6.

შორის, მაშინ ყველაზე უფრო უნდა დავუჯეროთ პენი რაულინსონს, რომლის ვინაობა ყველას მოგეხსენებათ და რომელიც გარდაწყვეტილათ ამბობს, რომ ახლან-დელ სომეხთ წინაპარნი სომხეთ-არმენიაში დასავლით შემოვიდენ, ნელ-ნელა იქ დასახლ-კარდენ და შეი-თვისეს იქაურ მცხოვრებლების სახელი, სარწმუნოება და ზეპირ გადმოჟემანიო“.¹²⁾

„ამნაირათ, ახლანდელ სომხებს სრულებით არ აბა-დიათ არავითარი ეროვნული სახელ-წოდება და არც პქონებიათ საკუთარი ეროვნული ისტორია, სანამდის იმათი ეკლესია მართლ-მადიდებლობის ეკლესიას არ მოშორდა. უძველეს იმათ ისტორიაზე ლაპარაკი ხომ უქმი იქნება, და ის ისტორია, რომელსაც მოგვითხოვთ იმათი ისტორიკოსები მე VII საუკუნიდან ქ. დ. წინეთ, მე-VI შემდეგ წარმოადგენს იმისთანა ზღაპრულ რამ ამბავს, რომ მსოფლიო ისტორია, რასაკვირველია, სრულებით არ ეთანხმება. მათი ღიღებული „ჰაისტანის“ მაგიერ მსოფლიო ისტორია ქ. დ. წინეთ მე VII და IV საუკუნეებ შუა გვიჩვენებს დამონავებულ მიდიელ-სპარსელებისაგან სომხეთ-არმენიას, სადაც ცხოვრობენ სხვა-და-სხვა ტომ-გვარობის ერები და სადაც ახლანდელ სომეხთ მამა-პაპებს უკავიათ მხოლოთ ერთად-ერთი ევფრატის სათაურის ხეობა“.¹³⁾

„მე-IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელი (327—323 ქ. დ. წინეთ) იპყრობს სომხეთ-არმენიას, როგორც ერთ ნაწილს სპარსეთის სახელმწიფოისას. მისი სიკვდილის შემდეგ 193 წლამდის არმენის მიწა-წყლებს

¹²⁾ ლენორმანი ასირიოლ. წერ. I.

¹³⁾ ნახე პერიდოტის (480—426) და ქსენოფონტის ცნობები განის I წიგნ. 15-22 და 26-33 გვერ.

ეპატრონებიან იმისი ლაშქართ-მწევების შთამომავლობისა — ანტიოქელი ბერძნები. სტრაბონის მოწმობით, იქამდეს მცირე სომხეთ-არმენის საზღვრები გაავრცელესო ორმა ანტიოქ დიდის ლაშქართ-მწევებმა, გვარ-ტომობით ბერძნებმა არტაქსიასმა და ზარიალრესმა, რომლებიც ჩვენს სომხების ისტორიკოსებს თავის ეროვნულ მეფეებათ მიაჩნიათ და რა მიზეზით, იმათ გარდა არავინ არ იცია! ამ დროს მარტო ჩვეულებრივი სიჩუმით და ნელ-ნელა უნდა გადმოებიჯათ ჩვენს სომხებს არაქსის მარცხენა კიდეებზე. ანტიოქელი ბერძნების შემდეგ არა თუ სომხეთ-არმენისა, — სპარსეთსაც და მთელ აღმოსავლეთს დაებატონენ სულ უცხო ტომ-ნათესაობის საზარელნი პარფიიელები. ერთი შტო ამ პარფიიელებისა, რომელსაც ქ. დ. წ. ას-ოთხმოც-და-ცამეტი წლიდან 150-მდე ქ. დ. შემდეგ ეპყრა აღმოსავლეთის ნაწილი სომხეთ-არმენისა, ჩვენმა სომხების ისტორიკოსებმა კიდევ თავისებურათ გადააგვარეს. რაც შეეხება დასავლეთის ნაწილს, ის ქ. დ. წ. სამოცდა მეორე წლიდან სხვა აღგილებს მოგლეჭილი ჰქონდა და ეკუთვნოდა რომაელების იმპერიას. ქ. დაბადების შემდეგ, 250 წლებიდან, სპარსეთი ხელ-მეორეთ ძლიერდება და ამ ძლიერების დროს არა თუ სომხეთ-არმენის თვით-არსებობას არა აქვს აღილი, არამედ სპარსეთისაგან დაჩაგვრას უფრო მოშორებული და ძლიერი ერები ძლივს გაღურჩებიან, მაგრამ ჩვენი სომხების ისტორიკოსები მაინც არ იშლიან ღალადებას იმათი ერის დიდებაზე. ამ საგანზე, უკეთესი მცოდნე იმათი ისტორიისა, სენ-მარტენი ამბობს. უცხო-ტომთ მეისტორიენი სრულებით არ უჩვენებენ სომხების ისტორიკოსებიდან მოხსენებულ შემთხვევათა და არც არის საფიქრებელი, რომ იმათ არა ეთქვათ რა, თუ ეს კეშმა-

რიტება ყოფილიყო. ყოველივე სიცრუით საკეთ ძლევა-მოსილი მოღვაწეობა გამოუგონიათ რომელთამე სომხეთის მეისტორიკოსეთა თავის ქრის ცრუ-სიკუარულის გრძნობის დასაკმაყოფილებლათ. ¹⁴⁾ ხელ-მეორეთ გაძლიერებული სპარსეთის მფლობელნი იყვენ სასანიდები ხოსროელები. იგინი შეტათ გულ-მხურვალეთ აღიარებდენ ცეცხლ-მსახურებას და იარაღით ხელში ეს აღსარება გაავრცელეს მთელ სპარსეთში, სომხეთ-არმენიაში და მცირე-აზიისა და საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილებშიც. იმავე ადგილებში და იმავე დროს მეორე მხრით შეიაქვთ ქრისტიანობა. წმიდამან გრიგოლმა, სომხების ისტორიკოსების თქმით, რასაკვირველია, იმათმა თანამოგვარემ და ჩვენით პარფიელთაგანმა, გააქრისტიანა კარგი ნაწილი სომხეთ-არმენიისა და ამიერ-კავკასიისაც. თითქმის ორი საუკუნე ეს ქრისტიანები, დამოუკიდებლათ იმათი გვარ-ტომობისა, არაფრით არ განირჩოდენ სხვა მართლ-მაღიდებლებისაგან. მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ იმისთანა მძლავრ ხელმწიფებს, როგორიც სასანიდები იყვენ, რომელთაც შესძლეს დიდი რომის იმპერატორის ვალერიის დატყვევება, მოეთმინათ და მიეშვათ იმათი საბრძანებელ ქვეყნებში სხვა აღსარება, გარდა იმათგან გულ-მხურვალეთ შეყვარებული ცეცხლის-მსახურობისა. მართლაც, სასტიკი დევნის შემდეგ, 300—400 წლებს შეუა, მეფემ ხოსროფარიზმა (ფეროზმა) თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებს გამოუცხადა: „აგყრი თქვენი მიწა-ადგილებიდან, თუ ბერძნების სარწმუნოებას არ უარ-ყოფთო“.

¹⁴⁾ ბაქრაძე. ვახუშტი. ისტ. გვერ. 33, შენიშვ. 1

¹⁵⁾ მე-Х საუკუნის ავტონი არსენ კათალიკაზი: ვითარცა ას-წავა მათ წმიდამან გრიგოლ პართელმან ..,

შინებული სომხეთ-არმენიის ქრისტიანები დათანხმდენ, გაშინ სპარსეთის მეფემ შემოგზანა სირიიდან მოქადა- გენი იკობითნი და იმათ გაავრცელეს თავის აღსარება. ამავე დროს (მე-IV საუკ.) ემჩნევა, რომ არაქსის შუა- ხეობაში ახლანდელი სომხების ენა უფრო გავრცელებუ- ლია, ვიდრე სხვა ალაგობრივი ენები და კიდევაც ამ დროიდან ამ სომხურ ენაზე იკიდებს ფეხს მწერლობა. აი, მხოლოთ ამის შემდეგ ახლანდელ სომხებს თავის სა- კუთარი ისტორია ებადებათ და ისეც — ისტორია მარტო საეკლესიო, რაღგანაც იმათ სხვა ისტორიას დღემდის ადგილი აღარ ჰქონდა უცხო-ტომთაგან დამონავებისა გამო: სპარსელებისა — 639 წლამდი, არაბების — 1040 წ. სელჯუკების — 1121 წ., ქართველების — 1225 წ. ჯელალ- ედდინის — 1238 წ. და მერმე მონგოლებისა, თემურ- ლანგისა, ხელ-მესამეთ სპარსელებისა, ოსმალო-თურქე- ბისა და ახლანდელი ძლევა-მოსილი რუსეთის იმპერიისა”.



ნაკვესები

1

ჩვენში ცნობილი სვიმონ გუგუნავა, „თამარიანის“ გამლექსვი, და ერთი ქართველი მწერალი ღამე მოდიოდენ ერთად ქვეითად და მოსაუბრობდენ თავისთვის. სხვათა შორის მწერალმა ერთი პატარა ლექსი თქვა, სადაც ეს სიტყვებიც ერია: „მადლობა ღმერთს, ჩემი ჯიბე ძლივს გავტენე ოქრო-ვერცხლითო“. ერთი ვიღაც იმათ შორი-ახლოს მოსდევდა და თურმე-ყურს უგდებდა.. მგზავრებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. გზაში სვიმონი გამოეთხოვა ამხანაგს და თავის სახლში შევიდა. მეორემ-კი, რადგანაც უფრო შორს იდგა, გასწია ბალა-ხოვანისაკენ მარტოდ-მარტო და ერთ ყრუ და ბნელ ქუჩაში რომ შეუხევია, უკან რომ კაცი მისდევდათ, იმან გადაუარა თავის დამარტოხელებულ მწერალს, გაუჩერდა წინ და მიაძახა: „გაჩერდი, თვარა გაგათავეო!“

— რას მეჩჩი?!.. მიუგო შემკრთალმა მწერალმა.

— მოიტა — რაც ფული გაქვს!

— ჰა!.. ეგ გინდა, სხვა არაფერი?

— დიახ! ჩეარა!

— მაშ კარგი, რაღა გაეწყობა? მაგრამ ერთი პირობით-კი: ნახევარს დამჯერდი...

— მე პირობის არა ვიცი-რა! მოიტა მალე სულ!

— შენი ნებაა, მაგრამ ჩემი ხელით-კი არ შემიძლია, რომ მოგცე და შენ თვითონ ამოიღე.

მოძალადე მივაჩდა მწერალს, ჩაუყოჯიბეში ხელი, უბეც გაუსინჯა, მაგრამ ვერა იპოვა რა და გულ დაწყვეტით ჰკითხა: სად არის, რომ ვერ მივაგენიო?

— რა სულწასული ყოფილხარო? მიუგო მწერალმა — ასე მალე მოგწყინდა ხელის ფათურიო? მე ჩემ სი-

ცოცხლეში სულ მაგ ჩემ ჯიბებში ვყოფ ხელს და ჯერეც
არა მიპოვნია რა და შენ-კი ერთ წუთს გინდა იპოვოთ?!

— რომ არა არის რა, რა ვიპოვო?

— ეგ მეც უიცოდი და მიტომაც შემოგაძლიე ნახე-
ვარი, რომ გულიც ნახევრათ დაგწყვეტოდაო. გაეცინა
მოძალადეს და უთხრა: „წადი შენთვის და მეორეთ
აღარ გნახო უფულოთო!“

— მადლობელი ვარ! ღმერთმა გისმინოს, რომ
უფულოთ მეც აღარ მენახოს ჩემი თავით—მიუგო მწე-
რალმა და დამშვიდებით გაუდგა გზას. მეორე დღეს ეს
ამბავი გაეგო სვიმონსაც, შეწუხებულიყო,—რატომ არ
გავაცილეო. მივიდა მწერალთან და სხვათა შორის ჰკი-
თხა: „ვინ იყო ის შეჩერებული, ეჭვი მაინც ვერ აი-
ღეო?“

— აქაური არ უნდა ყოფილიყოსო! ერთი, რომ მე
ვერ მიცნო და მერე კიდევ ისიც, რომ ჩემი ჯიბის იმე-
დი ჰქონდაო!! უპასუხა.

2

იმავე მწერალს ერთხელ თემობაში მიეპარა ჯიბგირი
და ჩუმათ ხელი ჩაუყო ჯიბეში, სადაც ნაწერი ქალალ-
დების მეტი არა იყო რა. პოლიციელმა თურმე შენიშ-
ნა და წავლო ხელი ჯიბგირს. მწერალმა, რომ დამ-
ფრხხალი და შეშინებული ახალგაზდა ქურდი დაინახა,
შეეცადა, მიუბრუნდა და სიცილით უთხრა: „შე კაცო,
აკი ერთხელაც გითხარი, მაგას ნუ შერები-მეთქი! რათ
იცი ხოლმე ჩემ ჯიბეში ხელის ჩაყოფა? ხელ-ნაწერი,
რომ არ წაიკითხო, არ იქნებაო? როცა დაიბეჭდება, მა-
შინაც მოესწრები სხვებთან ერთად წაკითხვასო!“ პო-
ლიციელმა რომ ეს გაიგონა, იფიქრა: „ალბათ ვინმე
კარგი შეხუმრებული ნაცნობი ყოფილაო!“ ბოდიში

მოიხადა და გაუშვა ჯიბგირი. რამოდენიმე წლის შემდეგ მწერალს წერილი მოუვიდა: „დიდი ხანია, რაც კი რამ დაბეჭდილა თქვენი და ან იბეჭდება, ყველასა ვკითხულობ. თქვენ რომ პირველათ გნახეთ, იმ დღიდანვე მე ხელი ავიღე ჩემ პირვანდელ ხელობაზე, შევისწავლე წიგნების კვრა, მეყდე გახლავარ და თუ ინებებთ, წიგნებს ნახევარ ფასათ შეგიკრავთ. თქვენი მოსამსახურე გ. სან — ძე.

3

საზოგადოთ იმერეთში და კერძოთ ლეჩეუმისკენ ბევრი მოიპოვება მისთანა კაციცა და ქალიცა, რომ ქართულის მეტი არა იცოდეს რა, მაგრამ კარგათ კი იყოს გონება გახსნილი და განვითარებული. ერთ ქართველს ძალიან მოსწონდა ისინი და უპირატესობასაც აძლევდა იმ პირებზე, რომელთაც წარა-მარა ტიტინი უსწავლიათ უცხო ენაზე და მით დაუმთავრებიათ თავისი განათლება. ამხანაგებმა უსაყველურეს ერთხელ ამ ახირებულ კაცს: შინ გაზდილები რომ მოგწონს და ნასწავლებს არათ აგდებ, რათ შერები მაგასო? — მაგის პასუხს ამ სალამოს მობრძანდით ჩემსა და მოგახსენებთო — მიუგომან.

საღამოს მართლა ესტუმრენ ამხანაგები. მასპინძელმა მიიწვია ისინი მისთანა ოთახში, სადაც მამა-პაპურათ გახურებულ ბუხარს გუგუნი გაჰქონდა. ოთახში სითბოც კარგი იდგა და სინათლეც იყო, მაგრამ სანთელი კი არსად ნთებულა. „ეს უსანთლობა რა არისო?“ იკითხა ერთმა. „სანთელი თუ გნებავს, სხვა ოთახში მიბრძანდითო!“ უპასუხა მასპინძელმა და შეიყვანა სტუმრები მეორე ოთახში. აქ ბუხარი გაცივებული იყო და მხოლოთ სადღაც კუთხეში სანთელი ბუუტავდა! აღარც სინათლე იყო და

აღარც სითბო. დასხდენ იქ სტუმრები, მაგრამ ცოტა
ხნის შემდეგ, სიცივეშ რომ გაუჭირათ, იკითხეს: „არ
აჯობებს, რომ ეს სანთელიც იმ თბილ ოთახში გავიტა-
ნოთ და ჩვენც იქ გავიდეთო?“ „რასაკვირელიაო“ — და-
ეთანხმა მასპინძელი. გავიდენ და გაიტანეს სანთელიც.
პირველ ოთახს სანთელიც რომ მიემატა, ერთი ორათ
უფრო განათლდა და გაქათქათდა. მაშინ მიუბრუნდა
მასპინძელი სტუმრებს და უთხრა: „აი, ყმაწვილებო, ხომ
ხედავთ? ამ ოთახში სადაც კარგი მამა-პაპური ბუხარი
ანთებული იყო, სითბოც კარგი დაგიხვდათ და სინათ-
ლეც ცოტა-ოდენიო; იმ უცხო ოთახში რომ შეგიყვა-
ნეთ, სადაც კერა გაცივებული იყო, იქ აღარც სითბო
იყო და სანთელიც ობლათ, საცოდავათ ბუუტავდა, სა-
ნამ ისევ აქ ამ ოთახში არ გამოვიტანეთ და ბუხრის
სინათლეს მისიც არ მივუმატეთო. მე რომ შინ გაზდი-
ლი კაცები მომწონს, ისინი მამა-პაპურათ არიან გაზ-
დილი და განვითარებული, იციან კარგათ დედა-ენა და
სამშობლოც ყოველ-გვარათ შესწავლილი აქვთ, იმათ
სიახლოეს მე სითბოსაც ვერძნობ და სინათლესაც
ვხედავთ. თქვენ რომ ნასწავლებზე მითითებთ, ისინი-
კი იმ იმ უცხო ოთახში მბუუტავ სანთელსა ჰგვანან,
სადაც აღარც სითბოა და აღარც სინათლეო; — მშობლი-
ურ ნიადაგზე თუ არა დგას კაცი, მისი შუქი ბერს
ვერც გაანათებს და ვერცარავის გაათბობსო“.

4

ერთი გრძელი ცხვირისა და გრძელი პირის პატრონი,
არწმუნებდა იმავე მწერალს: „ბევრ ცუდს ამბობენ ჩემზე
ხალხში, მაგრამ სტუუიან და ნუ დაუჯერებთო!“

— მეც ვხედავ, რომ სტუუიანო — მიუგო მან: მთ-
ლი ქვეყანა, ერი და ბერი სულ იმას იძახის შენზე:

უცხვირ-პიროვაო და შენ-კი, რომ უნდა, იმაზედაც მეტი
გქონია ორივეო.

5

კენჭის ყრის დროს ერთმა მოხუცმა ჰქითხა ამასვე:
„რა მიზეზია, კაცი რომ დაბერდება და წვერ-ულვაში და
თმა გაუთეთრდებაო? აი, მაგალითად, მე შავი აღარც
კი მირევიაო!“

— ალბათ საიქიოს გირჩევენ, იქ უყრიათ თქვენთვის
კენჭი და გაუთეთრებიხართო—უბასუხა ცივათ.



შენიშვნა.

,„საახალწლო ანდაზები“ დაბეჭდილი იქთ როდესაც
შიგ მოხსენებულმა პლიუმჩევსკიმ მუხრან-ბატონი
დასჭრა და თვითონაც თავი მოიკლა.

რამდენიმე სიტყვა გამ. ილია ჭავჭავაძის ხაპასუ- ხოთ „ვეფხების ტყაოსნის“ გამო

ჩემი უკანასკნელი საუბარი „ვეფხების ტყაოსნის“ თავიბაზე შემდეგი სიტყვებით დავაბოლოვე: „ბატონე-ბო, მოგახსენებენ, რომ მგალობელ-არტისტები საზოგა-დოთ ჯიუტები არიან: თუ ერთხელვე გაკერპდენ, მათი გამობრუნება ძნელია; მათზე აღარა სჭრის აღარც ვედ-რება, აღარც ყველრება და არც სხვა რამე და უკანასკნელი სახსარი ის-ლა არის, რომ მათთან წამოაყენებენ ხოლმე სხვა რომელსამე მდარე არტისტს და ამღერებენ. შეეშ-ლება თუ არა ჰანგი უხეირო მღერალს, მაშინ ჯინზე მოსული არტისტ-მგალობელი, ხელოვნების შეურაცხ-ყოფის ველარ ამტანი, თვითონვე გამოდის და თავის თავად დაიწყებს მღერას ყველას სასიამოვნოთ. მეც ამ უამათ იმ უხეირო მღერლის დღეს ვაყენებ ჩემ თავს: ჩენს ქართველობაში ბევრი მეგულება ჩემზე უფრო ნასწავლი, ნიჭიერი და დახელოვნებული, როგორც საზოგადოთ ყვე-ლაფერში, ისე კერძოთ „ვეფხების ტყაოსნის“ შესახე-ბაც და თუ ამ ჩემმა დღევანდელმა გამბდედავობამ ისინიც როგორმე გამოიტყუა საასპარეზოთ, ჩემი სურვილი დაკ-მაყოფილებული იქნება და მეც უფრო თამამათ შემძ-ლება ბოდიში მოვიხადო თქვენთან, თუ ნამეტანი ლა-პარაკით თავი როგორმე შეგაწყინეთ“. არ გაუვლია დიდ-ხანს, რომ ჩემი მოაზრება გამართლდა და არა თუ ისინი, ვისზედაც მევფიქრობდი, თვით მათი მთავარიც-კი, ბატონი

ილია ჭავჭავაძე, გამობრძანდა მოძღვართ. ნათქვამია: კარგ მთქმელს გამგონიც კარგი ეჭირვებაო“ და, მაშა-სადამე, ბატ. ჭავჭავაძის სიტყვას, როგორც საგულის-ხმოსა და ყურად-საღებს ცალ-ყბათ მიგებება არ შეჰფერის და ჩვენც ჩვენი შეძლებისა და გვარათ სიმდაბლით, გულ-წრფელათ მივეგებებით.

ერთისა და იმავე აზრის გადასაცემათ უმთავრესათ სამ-გვარი საუბრის კილოა საჭირო: 1) როდესაც მსმენელი შეგნებულია და მახვილ-გონიერი, იმისათვის მრავალ-მეტყველება აღარ არის საჭირო, გაკრულ-გამოკრული სიტყვებითაც გაიგებს დედა-აზრს, 2) თუ მსმენელი ჩქარი მოაზრე არ არის, იმას უფრო დალაგებით ესაუბრებიან და ხშირათ უმეორებენ არა თუ ფრაზებს, სიტყვებსაც და 3), თუ მსმენელი გონება ჩლუნგია, იმის შესაგონებლათ სხვა-და-სხვა ხერხებს იგონებენ და უმთავრესათ ეჩიჩინებიან. საზოგადოთ ჩემს ლექციებზე მეარ ვეგულებოდი იმ ზოგიერთებს, რომლებისთვისაც საჭირო გახდა განმეორებით უბნობა, მაგრამ ახლა-კი ჭავჭავაძის წერილებით ჩანს, რომ, თურმე, ჩიჩინიც ყოფილა საჭირო! ამას მე ვერ შევჭადრებ საზოგადოთ მსმენელებს და მით უფრო ჭავჭავაძეს... „საჩიჩინოთ“ მიმაჩნია მხოლოთ ის მცირე გუნდი ზოგიერთებისა, რომელმაც ჩემი სიტყვები თავისებურათ გაიგო და რომლის აყოლითაც ბატ. ილია ჭავჭავაძემ სამსჯავროზე გადმოდგა ფეხი ბანის სათქმელათ. „აყოლით“-მეთქი მიტომ ვამბობ, რომ ბატ. ჭავჭავაძე არ ბრძანებულა ჩემს ლექციებზე და, მაშასადამე, თუ არ გაგონებით, თავის თავათ როგორ ეცოდინებოდა, თუ რითი დავათავე ჩემი საუბარი და როგორ დავსკვენი? შეიძლება ბრძანოს, რომ მე იმ თავითვე, წარმოითქვა პირველი სიტყვა თუ არა,

შევატყვე, რაც უნდა თქმულიყო და რითაც უნდა დაბოლოვებულიყო საუბარით და სხვანი. შესაძლებელია!.. ნამეტანი გამკრიახობა იყივე გულთა-მხილაობაა, მაგრამ გულთა-მხილავმა მხოლოთ ის უნდა ამოიკითხოს სხვის გულში, რაც იქ სწერია და არა ის, რაც თვითონ სურს, რომ ჩაწეროს. ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ ბატ. ჭავჭავაძეზე, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია შევიწამო ის, რაც არ მითქვამს!.. „ხასიათების გარჩევის ღრღს უსაშართლოთ, ურიგოთ მთისენია ქართლელები და იმერლებით, დასცინა გაჭერიცა და მით შეურაცხეოფა მიაუენაო“, ავრცელებენ ზოგიერთები ჩემზე! და ეს მართალია თუ არა? კეთილსინიღისიანი მსმენელების მოწმობით ვიმეორებ აქ ბეჭდვით იმ სიტყვებს, რომლებიც მაშინ წარმოითქვა ან ერთისა და ან მეორის შესახებ:

„ქართლელი საზოგადოთ გულ-წრთული, სიმართლის მოუვარება და გაუდრებელათ პირ-და-პირი ხასიათის მიმღევარია; სათცარი გაშეაცი და იმავე ღრღს იმდენათ დიდ-სულოვანი, რომ სხვისი დანაშაულობის ადგილათ მიმტებებელია. დღეს, როდესაც ღრღ და ვითარება შეეცავა, დამძიმდა, ზარმაცხა ჰერი, დღიურ-კარაშს თავს ვედარ ართმევს და წვრილმან-საქმეებს რომ შეეჭიდოს, ვერ ახერხებს,— მისი ბუნების წინააღმდეგია. და რაღანაც ცხოვრება დღეს წვრილმანი მოვლინებაების ხორხალია (აკიდო), ამიტომაც ის, ე. ი. ქართლელი, ცხოვრებაში ვერ მოთავსებულა. ამას გარდა, მას უყვარს ბაქიაობა, მაგრამ ის ბაქიაობა, თუ კი კარგათ დავუკვირდებით და გავიგებთ, მისი დამამცირებელი და შემარცხევნი არ არის, რაღანაც იმ ბაქიაობაში იხატება ისეთ გვარი სულის კვეთება, რომელიც ადამიანს ამაღლებს და ადიდებს. იმის ბაქიაობა საუბარია მხოლოთ ქველ-მოქმედებისა და სხვა მრავალ-გვარი საგმირო და სამამაცო საქმეებისა. სანამ

კარგათ არ დაუახლოვდები ქართლელს, ის თავის უპატიური და დაუდევარი გეგონება, მაგრამ ეს სულ მოჩენებული კეშმარიტებაა და არა ნამდვილი. მოვიყვან ერთ კერძო მაგალითს, რომელიც საზოგადო ხასიათსაც ხატავს: ერთი გლეხის კამბეჩი შესულიყო სხვის ბოსტანში, ბოსტნის პატრონს ეწყინა და გლეხი გალახა. გლეხმა ხელი ვერ შეუბრუნა, მხოლოდ ეხვეწებოდა, საცოდავი, რომ „კმარა, მეყოფაო“ და თანაც შესაბრალი სანახავი იყო იმ დროს ის ლაჩარი... მაგრამ, როდესაც იმავ ბოსტნის პატრონმა წკეპლა გადაჰკრა კამბეჩს, მაშინ-კი რაღაც უცნაურმა ძალამ სრულიად გადაქმნა ის ლაჩარი ბლეხი: ვეფხვივით მივარდა ბოსტნის პატრონს, თვალის დახამხამებამდი ამოიდო ქვეშ და ხელიდან ვეღარ გამოაცალეს. „კაცო, რატომ შენი თავი ვერ დაითარე მეთქი?“ ვეკითხებოდი და ის პასუხათ მხოლოდ ამას მეუბნებოდა: „კამეჩს რა დანაშაული ჰქონდაო?“ თურმე ის, თავის საქონელს რომ უური ვერ უგდო, თავის თავს თვლიდა ნამნაშავეთ და შეურაცხუოფაც მიტომ აიტანა, მაგრამ უმართლოთ-კი პირუტვიც არავის დააჩაგვრინა“.

„ამ გვარი მაგალითები ბევრია, მაგრამ ავილოთ ახლა საზოგადო: ძველადანვე, როცა ქართველობა ერთ-პირათ საზღვრებზე იღვა და ქვეყანას შემომსევ მტრები-საგან იცავდა, იმავე დროს წცხოვრებდა ერთ გვარი ხალხი, რომელსაც ვაჭრებს ეძახდენ; იმათ სხვა საქმე არა ჰქონიათ რა, გარდა უკუღმართი ალებ-მიმურმობისა, ისინი, შინაურების მოტყუებით და დროს შერჩევით, მიწა-წყალს, ე. ი. მამა-პაპეულ აღგილ-მამულს, ნელ-ნელა ხელიდან აცლიდენ!.. მაგრამ წარმოიღვინეთ საზოგადოთ ქართველების ხასიათი, რომ თუმცა გული-კი სწყდებათ,

მაგრამ მტრულის თვალით-კი მაინც არ უყურებენ იმ ძალათ-მოზიარეებს, რადგანაც გრძნობენ, რომ მათი თანხმობითაც მოხდა ის საქმე; თავს დამნაშავეთა თველი-ან და ითმენენ. მაგრამ აბა უმიზეზოთ, უდასტუროთ, და მათ უნებურათ მოინდომოს იმავ მოვაჭრემ, რომ ქართლელს რამ წაართვას და ნახავს რაც მოუვა! სწო-რეთ საკირველია ქართლელის სულ-გრძელობა!.. რას არ მოითმენს, თუ კი ცოტაც არის თავს დამნაშავეთა თველის?! სხვის დანაშაულობას-კი ადვილათ ივიწყებს და აღარ იჩენს გულში! ეგება ბრძანოს ვინმემ, რომ ეს ხომ საოცარი ქრისტიანობრივი კეთილ-მოქმედებაა და ნუ თუ აქამდი მიაღწევს ქართლელიო? აქ გასაკვირ-ველი არა არის რა. ვის უნდა ჰქონდეს ეს დიდი ლირ-სება, თუ არ ქართველს, რომელმაც ქრისტეს მოძღვრება მრავალ-საუკუნეების განმავლობაში თავის არსებაში განიხორციელა? საკირველია, რაც ზე, ხასიათი და და განსაკუთრებითი თვისებაები შევნიშნეთ დღევანდელ ქართლელს, იმასავე ვხედავთ ტარიელშიაც, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ტარიელის სარბიელი უფრო დიდი სა-გმირო იყო და უფრო ნათელიც, ასე რომ დღევანდელი ქართლელი იგივე ტარიელია, მხოლოთ დაკინებული“.

„იმერელი დიდი ნიჭის მექონია, მოფიქრებული, გონიერი, წინ დახედული და გამჭრიახი; გულს ვაგლახათ არ აჰყება, „ასჯერ გაზომავს და ერთხელ გამოსჭრის“; ბუნება მალხაზი და მოუსვენარია; საქმეს არ ერიდება: იმ მიზეზით, რომ დიდი საქმე დღეს აღარა მაქვსო. ქარ-თლელი-კი უსაქმურათ არ დადგება; საჭიროების დროს პატარა, წვრილიან საქმეებსაც გულ-და-გულ ჰყიდებს ხელს. მაგრამ ბუნებისაგან ამ უხვათ მონიჭებულ სიმ-დიდრეს დღევანდელი იმერელი, დრო და ვითარების

შიხედვით, უკულმართად ხმარობს: მრუდე გზას ადგას, მიხვეულ-მოხვეულობა უყვარს ცხოვრებაში; დღეს ის გაუტანელია, შეურიანი და მოძმის ხელის შემშლელი. მართალია, ეს თუმცა ყველა ასეა, მაგრამ მისი ძირეული ხასიათის ბრალი როდია. ამ უკულმართობას მისი დედა-ბუნება როდი თხოულობს. მხოლოთ, უკეთეს დრომდე გარემოება აიძულებს. ამას ის ამტკიცებს, რომ იმერელი მხოლოთ თავის სამშობლოში, სადაც ყველას სიფრთხილითა და მიუნდობლათ უყურებს, უკულმართობას და სხვაგან-კი თავის სამშობლოს გადაღმა, ყოველ-გვარათ სრულია და საქები. თავის თავსაც არგებს და სხვებისათვისაც გამოსადეგია. ადვილათ ტოვებს თავის შვენიერ მიწა-წყალს და ჩილის შორს სადმე იმ განსრახეოთ, რომ იქ თვალი გაახილოს, შეიძინოს რამე, გონებითად, ზნეობითად თუ ნივთიერად და მერე გამდიდრებული დაუბრუნდეს თავის სამშობლოს. დღევანდელი მისი უკულმართობა, მართალია, მოსაწონი არ არის, მაგრამ ჩენ მაინც ნება არ გვაქვს, რომ ზიზღით ვუყუროთ იმერელს, რადგანაც ეს დროებითი და იძულებითი მოვლინებაა და კიდევ ამ გვარათ იქცევა იმერელი. თუ ქართლელის მცნება ან-დაზაა: „ან მოპელავს, ან შეაკვდებაო!“ იმერლის სულ სხვაა: „ხერხი აჯობებს ლონესო, თუ კაცი მოიგონებსო“, „სადაც არა სჯობს, გაცვლა სჯობსო“, „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობასო“ და სხვანი. ერთი სიტყვით, დღევანდელი იმერლის მოქმედებაში ბევრი საძრახი რამ მოჩანს, მაგრამ იმავე დროს აქვე სამერმისოთ ბევრი საიმედო და სანუგეშოც რამ იხედება! როგორც ტარიელი ქართლელს, ისე ავთანდილიც იმერელს წარმოგვიდგენს. ავთანდილშიაც იმ თვისებაებს ვპოულობთ, რაც იმერელს შევნიშნეთ, მხოლოთ იმ განსხვავებით,

რომ ავთანდილის სარბიელი უფრო ვრცელი, ფართო და ბრწყინვალეა და მიზანიც უფრო წმინდაა. ერთი სიტყვით, დღევანდელი იმერელი ისევე ავთანდილია, მხოლოდ დამკირებული და გადაუკულმართებული“.

აი, ჩარმოვთქვი მე უმთავრესათ ქართლელებისა და იმერლების შესხებ ლექციების დროს და დასამტკიცებული ფაკტებიც ბევრ-გვარი წარმოვადგინე. მე რაცა ვთქვი, არც მათ საქებელათ მითქვამს და არც საგინებელათ, მხოლოდ სიწრფელით აღვიარე ჩემი შეხედულობა. ახლა ნება მაქვს ვკითხო იმ ზოგიერთებს, მებუკეებათ რომ გამოსულან და გადასხვაფერებულათ ავრცელებენ ჩემ ნაუბარს: ვერ გაიგეს დედა-აზრი და გულწრფელათ პბოდვენ, თუ განძრახვით ამახინჯებენ სხვის სიტყვებს? ორივე შემთხვევაში იმაზე არა ღირს ლაპარაკი და მათგან არა მოითხოვება რა ისე, როგორც იმ ბავშვებისაგან, რომელნიც წამხედურობით ხახვის ფოთოლს (ლერს) თავს წაგლეჯენ, ვითომ სტვირიაო, ჩაპერერვენ და სულ „პიიპუ-პიიპუს“ აძახებენ ხოლმე. მაგრამ აქ მისთანა ვინმე აძლევს მათ კრიმანჭულ-ბანს, რომ გაჩუმება ალარ შეიძლება. ბატ. ილია ჭავჭავაძეც იმასვე ამოწმებს ბეჭდვით, რასაც ისინი სიტყვით აღიარებენ და ზედაც დაცინვით უმატებს: „საოცარი კამბეჩისა და გლეხის ამბავით“. რა არის საოცარი და სასაცილო იმ ჩემ ნათქვამ კამბეჩისა და გლეხის ამბავში, რომ ისე ახირებულათ მოხვდათ გულში ცველას—ბატონ-ყმიანათ? ნუ თუ მართლა უაზროდა და უადგილოთ იყო ნათქვამი? ეგებ ბატ. ჭავჭავაძეს ის არ მოეწონა, რომ „ვეფხვის ტყაოსნის“ თავობაზე საუბრის დროს ჩენ მიწაზე ფეხი დავდგით და ულირსი საგნები ვახსენეთ: გლე-

ხი და კაშტეჩი, მაშინ, როდესაც აღმაფრენა იყო საჭირო და ვარსკვლავებთან ჭიკჭიკი? შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ ჯერ სხვებს დავაულით აღმა-საფრენ გარჩევას „ვეფხვის ტყაოსნისას“ და ჩვენ მაინც იმ აზ-რზე ვდგებით, რომ თვით რუსთველსაც მიწაზე ედგა ფეხი და თუ იმავ დროს ცასაც მიაჭირა თავი, ეს მისი სიღიღიდის ბრალი იყო და არა მისი, რომ ვითომ ის ქვეყნიდან მოსხლეტილიყოს! მაგრამ აქ ამაზე ჩვენდა თავად მეტს აღარას ვიტყვით და მხოლოთ შეეუდგებით იმ ბრალდებითი საბუთების განხილვას, რომლებითაც ბ. ჭავჭავაძე დაბეჭითებით და დინჯათ კანახლაბს.

„ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთს ალაგას აღრჩობსო“, „ეს კაცი ძალიან ჭიუიანია, როცა სძინავსო“, „ეს და ეს ვინმე ძალიან გულადია, როცა გარბისო“ და სხ. ამ ვითომდა საქებარ კილოს ხმარობს ხალხი, როდესაც ძალიან გულით უნდა, რომ ვისმე დასკინოს. ეს კილო ბატ. ჭავჭავაძესაც კარგათ შეუთვისებია, რომ მით უფრო ხელ-მარჯვეთ გვტყორცოს ისარი, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ ისრათ ნამდვილი საბუთი უნდა იხ-მაროს და არა მისგანვე შეწამებული!.. და რომ ის ამ კანონს არ ემორჩილება, ამას ახლავე დავინახავთ.

მე ჩემი საუბარი „ვეფხვის ტყაოსნის გამო“ ასე დავსკვენი: „თუმცა თვით ავტორი კი გვარწმუნებს, მაგრამ ეს ამბავი სპარსულით არ არის გაღმოღებული. აქ უცხო არა არის რა და მოთხრობაში დასახელებული ქვეყნები მხოლოთ გადარქმეული საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებია; ხალხიც ქართველთა ტომია და პოემის გმირებიც მათი წარმომადგენელი; ამას იმათი ზნე, ჩვეულება, თვისება და ცხოვრების წეს-წყობილება გვიმტკიცებს. ამას გარდა, ეს თხზულება არც ზნეობითი

ალლეგორია, როგორც გვიმტკიცებს ვახტანგ მეფე, არც ამათ რამ სავზნეო ზღაპარი, როგორც ამბობს ანტონ ქათალიკოსი და არც საკუთრათ თამარის ქება და რუს-თველის პირადი გრძნობები, როგორც ზოგიერთებსა ჰქონიათ!.. დედა-აზრი ხულ სხვაა: ეს გენიოსის წინას-წარმეტყველებაა, მარად სახელმძღვანელოთ ავტორისა-გან რუკად გადმონაცემი! უკვდავმა მგოსანმა თვალ-და-თვალ დაგვანახვა, რომ ვერც ტარიელი მისი გმირული პირდაპირობით, ვერც ავთანდილ—საოცარი. გამჭრია-ხობით და ვერც ფრიდონ მისი საკურჭლით ცალ-ცალკე ვერ გამოიხსნიდენ დაკარგულ ნესტან-დარეჯანს, თუ ერთმანერთისათვის ძმურათ მხარი არ მიეცათ და ერთი მეორის შეთანხმებით არ ემოქმედნათ!

აი, ბატონებო, ამ მცირე აზრის დამტკიცებას მოუნდა ის დრო, ის რამოდენიმე საათი, რომელიც მე ხელთა მქონდა და უმთავრესი აზრები კი სამერმისოთ გადაიდა. „ვეფხვის ტყაოსანი“ ისეთი თხზულება არ არის, რომ რამდენიმე სიტყვით გაათავოს იმაზე კაცმა საუბარი! იმის გასაჩჩევათ წელიწადებია საჭირო და, მაშ, ჩვენ რა უნდა მოგვესწრო რამდენიმე საათის განმავლობაში? ამიტომაც არ შევხებივართ და არა გვითქვამს რა არც „ვეფხვის ტყაოსანის“, საზოგადო, მსოფლიო მნიშვნელობაზე, არც გარეგან შევნიერებაზე და არც იმ სამეცნიერო და სა-ფილოსოფიო აზრებზე, რომლებიც შიგა და შიგ საოცარი ხელოვნებით ჩაუნერგავს ფრთხოს და სხ. აი, რა იყო ნათქვამი და ამ სიტყვების შემდეგ, ვიღას ჰქონდა სიმართლე, რომ ეკითხა ჩვენთვის: „ყველაფერი ის, რო-საც კი თქმა შეიძლებოდა უვეფხვის ტყაოსანზე“, რა-ტომ სრულათ, დაბოლოებულათ არ იყო წარმოთქმულიო? რატომ ყველაფრის თქმა ვერ მოასწარ რამოდე-

ნიმე საათის განმავლობაში და მით შეურაცხყოფა მია-
კენ თხზულებასაცა და შემთხველსაცაო?“ როდის შე-
მოსულა ეს კანონი, რომ, რაღანაც ერთ თავად ყოვე-
ლიფრის თქმა არ შეიძლება ზოგიერთ საგანზე, ამისა-
თვის აღარც მის რომელიმე ნაწილზე ილაპარაკოთო? ავი-
ლოთ სამაგალითოდ თვით ის შექსპირი, რომელიც ბატ·
ჭავჭავაძეს ხშირათ აგონდება. ვინ მოთვლის, რამდენი
რამ დაწერილა მის თხზულებაზე! განსაკუთრებით ბიბ-
ლიოტექაც არსებობს მის ნაწერების შესახებ, მაგრამ
ჯერ კიდევ ვერ დაუბოლოებიათ იმაზე საუბარი და
მსჯელობა! რომელიმე ერთი აზრის, ერთი მუხლის და
სიტყვის გამოსარკვევათ მრავალ-ფურცლოვან წიგნებს
აღგენენ, მაგრამ არა მგონია, რომ იმათ ჭველას ერთად
და თვითონეულს ცალ-ცალკე უკიშინონ: რატომ ყველა-
ფერი, რისაც-კი თქმა შეიძლებოდა შექსპირზე და მის
თხზულებაზე, სულ ერთად არა თქვით, არ მოათავეთო
და სხ. სწორეთ ამ ნაირ გზას დადგომია ჩვენს შესახებ
ბატ. ჭავჭავაძე და ამასაც ხომ აღარ გვაკმარებს!.. ისეთ
რამეებს გვეწამება, რაც არა თუ არ გვითქვამს, მხო-
ლოთ გულშიაც რომ გაგვლებოდა მიუტევებელი შეც-
დომა იქნებოდა. მაგალითად, აი, რაებს ამბობს ჩემზე:
„შდიდარი და ფართო შოგდანი „ვეფხვის ტყაოსნისა“, ჭეშმა-
რიტის კრიტიკის ფრთის გასაშლელად ვრცელი სარბიელი,
შეცდომით, ან განგებ ვიწრო ფარგალში შოუმწევდევიათ“ და
სხ. „იმ საბუთით, რომ ტარიელი ზარმაცია, ავთანდი-
ლი წინდახედულია და მებრევე სხვა, რესთველი უბრალო ეტ-
ნოგრაფის საჩითევედელო საქმეზე ჩამოუხდენია და მათ პეგასზე
შფლიში ცხენისანი დაუქვეითებიათ!“ „ნე თუ ის ახოგანი,
ღონიერი, ჭანმთელი, სულითა და გულით ძლიერი, უშიშარი
გაშეკაცია—ტარიელი—რესთველმა თავის ნებაზე ბოლოს მჩერათ

აქცია და უოფელს ამას სხვა შიზეზი არა აქვს რა, გარდა რუს-თველის თვით-ნებობისა და ზარმაცი ქართლელის გამოსახვის სურვილისა? ეს რომ ასე არ იყოს, მისი თხზულება ხლო ჰამ-ფლეტი იქნებოდა, თუ ძაგებაა და რეგლამა, თუ ქებაა, და არა დიდებული ნამოქმედარი შემოქმედობისა” და სხ.

აქ, რასაც ბრძანებს ბატ. ჭავჭავაძე, ყველა კარგია, მაგრამ საიდან წარმოუდგენია ის, რომ ვითომ ჩემი აზრი და ჩემი ნათქვამი იყოს ესეები ყველა და არა საკუთარი მისი ოცნება? მთელს ჩემ საუბარს რომ თავი დავანებოთ და მარტო ის ნაწყვეტები ავილოთ, რომლებიც სამინუ-შოთ ზემოთ მოვიყვანეთ, მე მგონია, მაშინაც უნდა დარწმუნდეს ყველა, რომ მე ის ფიქრათაც არ მომსვ-ლია, რასაც ბატ. ჭავჭავაძე ასე გულ-და-გულ მწამებს. და რამ აიძულა? ვერ გაიგო? შეუძლებელია! განძრახვით გადასხვათერა? რა საფიქრებელია! აბა რა? ის, რომ, უთუოდ, როდესაც მე დაბლა ვიღოდი, ის აღმა პორენდა მაშინ: არ მისმინა, არ უგდო ყური ჩემ საუბარს და განაგონებს მიენდო! ეს შემდეგი საბუთებით უფრო ნათლათ მტკიცდება: მე ვთქვი ტარიელზე და ავთან-დილზე: „ტარიელი დიდებული ბუნების კაცია, მაგრამ ნამეტნავათ გულის ამყოლი; ხშირათ თავს ვეღარ იჭერს; მისი უზომო გრძნობა ხელსა პრევს, გონებას და ამის გამო გმირი საფრთხეში ვარდება ხოლმე. თავის დღეში არ მოუვა ამ ვვარი რამ ავთანდილს, თუმცა ნაკლები ბუნებისა და მდარე გრძნობის არც ის არის! ეს გმირი მისთანას არას იზამს, რომ გრძნობა გონებას არ დააკი-თხოს: ასჯერ გაზომავს და ისე გამოსჭრის“ და სხ. აქ მე გმირი ერთმანეთს შევუდარე და სამაგალითო საბუთე-ბიც ბევრი მქონდა ხელში. ბატ. ჭავჭავაძეს-კი ასე გაუგონია, რომ მე ტარიელს უგნური, ზარმაცი ქარ-

თლელი დავუძახე და ავთანდილს უგრძნობელი, ცბი-
ერი და მძიმეთ აღჭურვილი იმერელი. ამ ჩემგანვე
ზემო წარმოთქმულ აზრს იმ გმირების შესახებ მევე მიმ-
ტკიცებს!! ნეტავი ვისთვის და რისთვის დაუხარჯავს იმო-
დენა კმპა-კეპა ფრაზები და მრავალ-სართულიან ზედ
შესრულებით შეკაზმული გოლიათი სიტყვები? თუ მე
მართლა ვერ მოვახერხე ჩემი აზრის ნათლათ და გასა-
გებათ გამოთქმა და საბუთებიც ხეირიანი ვერ მოვიტა-
ნე, მაშინ ჯერ უნდა ის ჩემი საბუთები გაერჩია, დაემ-
ტკიცებია მათი უვარგისობა ბატ. ჭავჭავაძეს და მერე
თავის საკუთრი საბუთებითა და უფრო საგულისხმო
ლოლიკით გამოყლაშერა!.. თორემ ჩვენსას არ იხსენიებს,
თავისი საკუთარი საბუთი მოჰყავს და ისიც მისთანა,
რომელიც თავის თავად ვერას ამტკიცებს! ასე რომ, თუ
მე ჩემი საკუთარი საბუთები არა მქონდეს ტარიელის
დიდ-ბუნებიანობის დასამტკიცებლათ და მარტო ჭავჭა-
ვაძის საბუთზე დავრჩე, მაშინ ჩემ თვალში ტარიელის
გმირობას სანაცარქექით ფერი დაედებოდა!..

აბა რა საბუთია ამის თქმა, რომ „ტარიელი ეცინება,
იცინის, ეტიანება—სტირის, უკველთვის გულის ამუოლია,
გრძნობას ფერარ ერევა და ეს მსოფლიო გმირობის ნიშნებიათ
და სხ. ასე რომ იურს, შაშინ ხომ უსუსური ბავშვებიც მსო-
ფლიო გმირები იქნებოდენ, რადგანაც ისინიც მხოლოდ გულის
ამუოლი არიან და გრძნობის მორჩილი? შაგრამ ტარიელი იმავ
დროს გონიერიც არის, აშბობს ჭავჭავაძე, გმის მისი შემ-
დეგი სიტუაცია ამტკიცებსაც:

„გაქებ ჭავჭავაძენთასა,

რომელიც ეურნებიან! (საწუთოს ნდომასო).

„თუ ბრძენი არ იყოს, ამას ვერ იტყოდაო“.

სწორე მოგახსენოთ, ეს საბუთი დიდი ვერა არის რა,

ჩვენდა თავად რომ კიდევ სხვა საბუთები არ გვქონოდა, არ გვქონდეს და მარტო ჭავჭავაძის ეს ერთად ერთი საბუთი ვიკმართ, ღიღ აზრს ვერ შევაღებნდით ტარიელს ჭკუა-გონებაზე!.. უკუკურ კაცი ბევრჯელ იტყვის: „ჭკუარომ მქონდეს, ასე ვიზამდი და ისეო“, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს მის ჭკუიანობას. საპარი იტყვის: „ფეხები რომ მქონდეს, მთელ ჭვეყანას შემოვირდენ-დიო“, მაგრამ ამით მისი მუხლების სიმაგრე არ მტკიც-დება. დედაბრებიც ხშირათ წუწუნებენ ხოლმე: „ვაჟა-კაცირომ ვიყოთ, რას არ მოვიმოქმედებდითო“ და სხ., მაგრამ ამით ისინი ბევრს ვერას არიგებენ და. მაინც ისევ ისე დედაბრებათ რჩებიან. თათრული ანდაზაა: „ვინც უზალთუნს მიწუნებს, იმან უნდა აბაზი მაინც ამოილოს და მიჩვენოსო“. მისი არ იყოს, ტარიელის გრძნობა-გონების დასამტკიცებლათ ჩვენგან მოყვანილი საბუთები, თუ დაიწუნა ბატ. ჭავჭავაძემ, მისი საკუთარი სა-ბუთები საღლა არის? ეს მხოლოთ, რაც უთქვამს? ფიიე!.. განა ეს საბუთია?! ამ გვარათვე იქცევა ჭალების შესა-ხებაც. აი, მე რას ვამბობდი იმათ შესახებ:

„ნესტან-დარეჯანიც ტარიელივით დიდებული ბუ-ნების მექონია და გრძნობა გადაჭარბებული, მაგალი-თად: როდესაც ტარიელი პირველათ ნახა, გრძნობამ აიტა-ცა; ერთსა და იმავე დროს ორი სხვა და სხვა გრძნობა აეძ-რა გულში: კრძალვა სირცხვილისა და სიყვარულისა. ხმა ვეღარ ამოილო, მაგრამ იმ ხმის ჩავარდნით უფრო მეტი გრძნობა გამოთქვა, ვიდრე მრავალ მეტყველებით. სულ სხვა გვარათ გვეჩვენება თინათინი, თუმცა არც გრძნობაში და არც სიყვარულში ნესტან-დარეჯანს არ ჩამოუვარდება“ და სხვ. საკვირველია, რომ აქაც ბატ. ჭავჭავაძე ისევ იმას ამტკიცებს, რასაც მე ვამბობ და მთელ ფურცლებს

აჭრელებს იმაზე, თუ რა არის გრძნობა? როგორ სხვა-და-სხვა რიგათ იჩენს ხოლმე თავს? თავის საკუთარ მსჯელობას, რომელიც არავისათვის გაუგებარი არ არის, ლესინგის აზრებსაც უმატებს და პომეროსი მოჰყავს, მაგრამ ვის-თვის და რისთვის? ეგება ჩემი ნათქვამი ბუნდოვანი იყო და გაუგებარი, რადგანც მე ვერ ვახერხებ კეცა-კეცათ საუბარს და ყოველთვის უბრალო სიტყვებით, მდაბით ლექსებით გამოვთქვამ ხოლმე ჩემ აზრს?.. მაშინ კი-დევ ჰო! ეს, თითქმის, დახმარება იქნებოდა, ჩემი მხრით მადლობის მოსახსენებელი. და მეც სწორეთ გულ-წრფელათ მოვახსენებ მადლობას, მგრამ უფრო მადლობელი კი ვიქნებოდი, რომ ჩემი აზრების განმეორებისათვის თავი დაენებებია და თავის საკუთარი აზრები „ვეფხვის ტყაოსნის“ შესახებ ისე გამოვთქვა, რომ მეც გამეგო რამე, თორემ უნდა მოგახსენოთ, როგორლაც ახირებულათ მეტვენება.

„მისი დამტკიცუება, რომ რუსთველის მართლად სა-ქართველო აეწერთს, ქართველები ეგულისხმოს და გმი-რებიც ქართველებიდან გამოიყენოთს, აფრიკის შეურაცხ-უოფა და მისი პეგასის დაქვეითება იქნებოდა, რადგა-ნაც მსოფლიო გშირებსა ჭარატავდა და არა ქართველებიც!“ — ამბობს ჭავჭავაძე. მაშინ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ყოველ-გვარ მოვლინებას თავისი წინასწარი და შემდეგი მიზეზები აქვს; უამისობა არ შეიძლება და, მა-შასადამე, ამ საზოგადო კანონს ვერც „ვეფხვის ტყაოსა-ნი“ გადაურჩიებოდა. რუსთველი და მისი თხზულება განა ზეცილან ჩამოგვივარდა და ქვეყნათ ნიადაგი არა ჰქონია? „ვეფხვის ტყაოსანში“ გამოხატული გმირები ნუ თუ ნაოცნებარი და პატიოვანი არიან და არა ცხოველი, ნამ-დეილი არსებანი? თუ ავტორს მხედველობაში მიწის შვი-ლები არა ჰყოლოდა, მაშინ მისი „ვეფხვის ტყაოსანი“

ზღაპარი იქნებოდა, მისი გმირები ბაყბაყ-დევის მსგავსი რამ ნაოცნებარი და არა გულში ჩასარჩენი და შესაწყნარებელი პირები. მაგრამ საჭმელი ის არის, რომ „ვეფხვის ტყაოსანში“ ჩვენს ისტორიულ ცნობილ პირებს ვხედავთ, მაგალითად: ვახტანგები, დავითები, ბაგრატები, გიორგები და, თუ გნებავსთ, თვით ირაკლიც, იგივ ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონები არ არიან? რითი ჩამოუვარდება მათ გიორგი სააკადე? რომელი ერთი მოვთვალოთ? განა ცოტა ყოფილა საქართველოში გმირი, რომ მსოფლიო გმირათაც გამოსადევი ყოფილიყოს და ედიდებიოს, ესახელებიოს ყოველი ხალხი, რომელსაც უნდა ჰქონონებოდეს? საზოგადო გმირებათ განა არ ვარგებულან? მაშ, რატომ არ შეიძლება, რომ „ვეფხვის ტყაოსნის“ გმირებიც ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც? მე რომ სწორეთ ასე მგონია, ნუ თუ მით რუსთველის შემოქმედების ძალას ვამცირებ და ვჰქიცხავ მას? პირიქით, მე რომ ის ვიფიქრო, რომ რაღაც რუსთველს თავის გმირებში მსოფლიო, ზოგადი ტიპები გამოუსახავს და ამიტომაც ის გმირები ქართველები ვეღარ იქნებიან-მეთქი, მაშინ რა აზრის უნდა ვიყო ქართველებზე? ნუ თუ მართლა ქართველები ისე ყოფილან, რომ მათგან ზოგადი ტიპი და მსოფლიო გმირი არ გამოიხატებოდეს?!.. ჭავჭავაძე კი, ჩანს, სულ სხვა აზრისა არის, სამაგალითოდ შექსპირის გმირები მოჰყავს და იმას კი ივიწყებს, რომ იულიოს კეიისარი, ანუ ქარიოლანუსი მართალია მსოფლიო ტიპები არიან, მაგრამ იმავ დროს ყველაზე უმაღლეს რომაელებიც არიან და მათ ზოგადობას ეს არა თუ უშლის ჩასმე, კიდეულ ეწევა!.. ტიმონ ათინელი ბერძენია, ჰენრიკო—ინგლისელი და სხვა და სხვანი.

ჩვენ რომ ის ვიფიქროთ, რომ მსოფლიო, საზოგადო ტიპები მხოლოთ ისინი არიან, რომელნიც კერძოთ არც ერთ ერს არ ეყუთვნიან და საზოგადოთ-კი ყველას ერთნაირადო, მაშინ გიუებიც სამაგალითო მსოფლიო საგმირო ტიპები იქნებოდენ, რადგანაც ყოველი ქვეყნისა და ხალხის გიუები ერთმანეთსა ჰგვანან!.. და მათი ამწერიც დიდი შემომქმედი გენიოსია რაღა?.. „ფალსტაფი, რადგანაც ბაქია და ქართველიც ბაქია, მაშ, ის ქართველი ეფუძნათ? გვიკიცინებს ბატ. ჭავჭავაძე და ძალიან მსუბუქათაც ბრძანებს: სახალხო ტიპათ იმასათველიან, რომელიც რომელიმე ხალხის უმეტესობას გვიხატავს. ფალსტაფი ისე რომ აეწერა შექსპირს, რომ უმეტეს ნაწილს ქართველებისას მის სახეში თვისითავი ეცნო, რასაკირველია ქართველი ტიპი იქნებოდა; თორებ მარტო მითი, რომ ის პურსა ჭამს და ქართველიც პურსა ჭამს, ისიც იცინის და ქართველიც, ისიც ახველებს და ქართველიც განა დამტკიცდება რამდე? სხვა აღარა არის რა საჭირო? მე რომ ტარიელის ქართლელობის დასამტკიცებლათ ბაქიაობა მეთქვა და მეტი სხვა აღარაფერი, მაშინ, რასაკირველია, ბატ. ჭავჭავაძესაც სიმარტლე ჰქონდა ეთქვა ჩვენთვის: „ფალსტაფი ბაქიაა, ქართველიც ბაქიაა და, მაშ, ფალსტაფიც ქართველი ყოფილა!“ მაგრამ ჩვენ ხომ არც ის სიტყვა „ბაქიაობა“ გვიხმარია იმ კილოთი და იმ აზრით, როგორ ჭავჭავაძე გვეწამება და მის გარდა კიდევ სხვა საბუთები განა ცოტა ვიხმარეთ უფრო საქები და საჩინო ტარიელის ქართლელობისა და ავთანდილის იმერლობის დასამტკიცებლათ? მარტო ეს ერთი სიტყვა რომ მოჰყავს, ისიც თავისებურათ თავ-ბოლო მოკვეცილათ და გადასხვაფერგბულათ, სხვა სიტყვები—იმ სიტყვის მოკავშირე და

შემავსებელი რათ გადაუფუჩქებია? თუ რომ სიტყვა-
სიტყვით არ გავიმეორებთ და ჩვენებურათ შევცვლით,
სიტყვებს გადავს-გადმოვსვათ, ზოგს გამოვაკლებთ და
ზოგს ჩავუმატებთ, რასაკვირველია, ყოველი ნათქვამი სხვა
ნაირათ გამოვა. ხან-და-ხან არა თუ ფრაზებისა და
სიტყვის, ერთი მარცვლის ჩამატებით ან გამოკლები-
თაც შეიძლება აზრი შესცვალოს კაცმა. აი, თუ გინდა,
ეს მაგალითი ავიღოთ: მე ვამბობ: „ბატონი ჭავჭავაძე არ
ყოფილა ლექტირიზე და რაც წარმოსათქვა მის შესახებ,
გულ-წრფელობით მოსვლია და არა სხვა გვარ-რამ-ქრი-
მანჭულობით და სხ...“ ეს რომ ვინმებ შესცვალოს ამ
გვარათ: „ბატ. ჭავჭავაძე არ ყოფილა ლექტირიზე და
რაც წარმოუთქვამს მის შესახებ, გულ-წრფელობით
არ მოსვლია, გარნა სხვა გვარ კრიმანჭულობით და
სხ...“ ეს ჩემი ბრალი იქნება? აი სათვალ-და-თვალო
მაგალითი, როგორ შეიძლება აზრის გადასხვაფერება
ერთი უბრალო მარცვლის ჩამატებით!.. თავის წერი-
ლებს ბატ. ჭავჭავაძე ისე ათავებს, როგორც შეშვენის
სახელ-განთქმულ კაცს: „ჩვენ რესთველის სახელი მეტის-
მეტად დიდ სახელად მიღებანია და შოგგიტეონ, რომ მის სა-
ხელს და დიდებას ადგილად გერაფის დაფუთმობთო!“ კეთილი
და პატიოსანი! რასაკვირველია, ის, ვინც დიდათ მიგვა-
ჩნია, ვისაც ვაფასებთ და ვინც გვიყვარს ძნელი შესა-
ლევია და მის სახელსაც აღვილათ ვერავის დავუთმობთ,
მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ერთისა და იმა-
ვე არსების სიყვარული და დაფასება ერთსაც შეუძლია
და მეორესაც, ღიღსაც და პატარასაც; განსხვავება მხო-
ლოთ ის არის, რომ თავ-თავის შეძლებისა და გვარათ
აფასებენ. მე ჩემი პატარა აზრი წარმოვთქვი „ვეფხვის
ტყაოსნის“ ზოგიერთ რაზედმე, შეიძლება, რომ ჭავჭა-

გაძის თქმისა არ იყოს, მართლა „გალიფულ გზაზე დავ-
დექ და ფეხი ამისხლტა“, საუბარიც მეტის-მეტათ უგე-
მური არამ გამოვიდა და მსმენელთათვის მეტათ მოსაწ-
ყენი, მაგრამ ამას კი აღვიარებ, რომ რაცა ვთქვი—გულ-
წრფელათ იყო გამოთქმული. და ახლა დიდი სია-
მოენებითა და ნატერით ველი იმ დროს, როდესაც იმავ
საგანზე ბატ. ჭავჭავაძე წარმოაქვამს თავის საკუთარ
აზრს. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მე დიდი სი-
ამოვნებით ჩემი საკუთარი ყურით მოვისმენ
მის საუბარს და შემდეგაც დიდი დაკვირვებისა და მო-
ფიქრების შემდეგ დავაფასებ შეძლებისა და გვარათ და
ცხრა თავიან დევივით ისრებს არ გავტყორცნი ძლევა-
მოსილი უეჭველობით. ამას მოითხოვს, როგორც რუს-
თველის დიდი ვინმეობა და ბატ. ჭავჭავაძის ღირსება,
ისე ჩემი საკუთარი თავის პატივის-ცემაც. დასასრულ
ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი საუბარი რუსთველ-
ზე და მის „უეფხვის ტყაოსანზე“ ჯერ არ დაბეჭდილა,—
და თუ რატომ არა, ეს ბატონმა ჭავჭავაძემ ყველაზე
უკეთ იცის. დაბეჭდილი რომ ყოფილიყო, მე ყურად-
ღებასაც არ მივაჭუევდი იმ ხმას, რომელსაც ზოგიერ-
თები ავრცელებდენ; მაგრამ დღეს კი იძულებული შე-
ვიქენი, რადგანაც თვით ბატ. ჭავჭავაძემაც ბანი მისცა
საჯაროთ და ნურაფრის უკაცრავათ.



გამოუცდელი

ხმა ახალი დაწმენდილი მქონდა. ის ის იყო ულ-ვაშები მემწვანებოდა; სიჭაბუკის საოცნებო ძლიერება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი; მიწაზე ფეხს აღარ ვაკარებდი: ცა ქუდათ არ მიმაჩნდა და დედა-მიწა ქა-ლამნათ! გული გრძნობათ და გონება ოცნებათ გადა-ქცეული მეშვიდე ცაზე მიმატრენდენ; ქვეყანა ჩემს ნე-ბაზე ბრუნავდა და ბედნიერ აწმყოს უეპველის მომა-ვალით ვიგვირგვინებდი. მხოლოთ ერთი რამ მაკლდა: რაღაც უცხო და უცნაური, რომელსაც ერთსა და იმა-ვე დროს შევტრუდი და თანვევ ვეკრძალვოდი, ვე-თავხელებოდი და ვეშიშოდი!.. თურმე სიყვარული მე-წვერებოდა! რაღაც ამომეტორლიალა... ვიღაც ამედევ-ნა თან... გამოურკვევლათ თვალწინ მებლანდებოდა, ყუ-რში საიდუმლოთ ჩამჩურჩულებდა და მით გულს საგულე-ზე აღარ აჩერებდა!.. ის ხან უცნაურათ ტოკვდა და ხან საოცრათ შეიფართხალებდა ხოლმე. იმ „ვიღაცამ“ თუ „რაღაცამ“ ხელი დამრია: დღე მაშტოთებდა და დამეძილს მიფრთხობდა!.. მრწამდა-კი, რომ ეს „ვიღაცა“ ერთ დროს უნდა გამომცხადებოდა და იმ თავითვე წა-რმოვიდგინე ის ჩემი გრძნობის გვარათ და სურვილის ფერათ. ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე, კიდით-კიდე, ზესკნელ-ქვესკნელათ მიმოვატრინე მკვირცხლი ოცნება, ამოექურითე ყოველივე სანეტარო, შევაერთე»

შეუძლებელს შესაძლებელი მიუუმატე, შევადგინე სახე
იმ „ვიღაცასი“ და გავიხადე სათაყვანოთ. იმ დღიდან,
იმ „ვიღაცას“ ლოდინით მთერალს, ხელთ მეპყრა სა-
ოცნებო ჩონგური და მისი სიმების ულერით ვიწოდებ-
დი იმ „საჩემოს“.

ერთხელ—გაზაფხულის პირზე—ჩეროში ვიჯეჭ და
თვალ-ყურს ვადევნებდი იქვე ახლოს ჩამომჩეფარე პა-
ტარა მდინარეს. ჩვეულებრივათ ოცნებით გატაცებულს
თვალწინ მეხატებოდა ჩემი „ვიღაცა“: ვითომ ის იდგა
წყალში და ტანს იბანდა. წელ-ქვეით წყალი ჰფარავდა
(და რომ ისეც არ ყოფილიყო, მაინც ცისარტყელით
შებურვილათ მომეჩენებოდა), წელ-ზევით-კი შიშველი
იყო. ხან ჩაიყურჭუმალებდა, ხან ისევ სირინოზიერით
ამოჰყოფდა ხოლმე თავს და მაშინ მის სპეტაკ გულ-
მკერდსა და მხარ-ბეჭებზე აქა იქ წმინდა წვეთები პა-
ტარ-პატარა ბურთივით მოჰყორავდენ, თითქოს მარგა-
ლიტები ეფრქვევიანო. ნაზი ღიმილით ეალერსებოდა
წყლის სარკეში ჩაშუქებულ მის შვენიერებას. ზოგჯერ
მორცხვათ მომკრავდა თვალს და სახე ვარდის ფრათ
ელებებოდა, თითქოს რცხვენოდა ჩემი... რცხვენოდა,
მაგრამ მაინც სურდა, რომ მე მისთვის თვალი არ მო-
მეშორებია. ამ დროს ჯოჯოხეთის ხმით ჩამჩხავლეს
ყურში!.. მოვიხედე და რა ვნახე?! ჩემს გვერდით იდგა
ერთი რაღაცა... მაიმუნი!... განა მართლა მაიმუნი? არა!
ის ქალი იყო, თავის-თავათ დიახაც შვენიერი, მაგრამ
შედარებით-კი იმ ჩემ „ვიღაცასთან“ „რაღაცაც“ იყო
და „მაიმუნიც“!

— თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, მიბრძანეთ, ყმაწ-
ვილებს ხომ არ ჩამოუვლიათ ერთი მოხუცებული გამდ-
ლითა?—მკითხა იმ ქალმა.

— რა მოგახსენო, სწორეთ არ შემინიშნავს-მეთქი—ვუპასუხე ცივათ. მეგონა, რომ ამით მოვიშორებდი იმ უსიამრვნო სტუმარს, მაგრამ იმან ღიმილით თქვა: „ნეტავ, სად დაიგვიანესო?“ და ამომიჯდა გვედით! ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ მკითხა: „ეგება ვერც-კი შენიშნეთ? ისეთ ნაირად იყავით ჩაფიქრებული რომ...

— დიალ, მარტოობაში ოცნებამ გამიტაცა, — გავა-წყვეტიე სიტყვა.

— ოცნებამ?! მერე და თქვენთან რა უნდა ოცნებას? ეგ ხომ მარტო ქალების ხელობაა? მაგრამ მე ძალიან მომწონს, როდესაც კაცი ოცნებობს; მაშინ ეტყობა, რომ ის ნაზი გრძნობის პატრონია...

— შეიძლება.

— ჰე! თქვენ, ვგონებ, ანკესი გაქვსთ გადაგდებული იმ წყალში?

— ანკესი?!

— დიალ. მაში, რათ მისჩერებოდით ისე თეალ-გამო-შტერებით იმ ერთ ადგილს მდინარისაკენ? უთუოდ გინდოდათ, დაგენახათ, თუ როგორ მოედებოდა საბრა-ლო თევზი ნევსის წვერზე?

— არა, მე საზოგადოთ არ მიყვარს ნადირობა.

— ძალიან კარგი ხასიათი გქონიათ! კაცებს იმი-ტომ უყვართ ნადირობა, რომ მოსისხლეები არიან.

— ქალებმაც რომ ძალიან იცით თევზაობა?

— იმიტომ, რომ ეგ უსისხლო ნადირობაა და კარგი ხელობაც არის. ჯერ თავის შესაქცევია და მერე კიდევ სასარგებლოც: პატარ-პატარა თევზებზე სწავლობენ ქალები ნადირობას და მერე თქვენ-ხელა ლო-ქოსაც დაიჭირენ ხოლმე...

— როგორ თუ ჩემ-ხელა ლოქოს?

— მაშ, ჯერ ანკეთი არავის მოუღვია თქვენთვის? ამ სიტყვებმა უცადათ გამაპანხლეს. ეკალ-ნაჩხვლე-ტივით წამოვვარდი ზეზე და დავეშვი თავდალმართისკენ. მეტი გულ-მოსულობით ფეხიც წამოვჰკარ ქვას და იმან კიდევ უფრო გამაბრაზა. იმ დღეს ჩემ გუნებაზე აღარ ვყოფილვარ. ეს ვინ ოხერი გადამეკიდა, რომ ჯერ ოცნება მომიწულა და მერე კიდევ ისე საცინლა-დაცამიგდი, რომ ლოქოს შემაღარა-მეთქი? — ვამბობდი გუნებაში. მეორე დღეს, დილა-აღრიან, ბალისკენ მივ-დიოდი და ჯერ შუა გზაც არა მქონდა გავლილი, რომ გადასახვევთან ის გუშინდელი წყეული წინ შემეფეთა, გაღამილობა გზა და მითხრა: ნება მომეცით, რომ ბო-დიში მოეკითხოვთ თქვენთან, ყმაწვილო! დიდ დამნა-შავედა ვგრძნობ ჩემ თავს, რომ გუშინ ისე წინ-დაუ-ხედავთ გატკინეთ გული! დმერთმა ხომ იცის, რომ გულით არა მღომებია, ისე წამოვროშე მოუფიქრებლათ და კიდევ დამრჩა სანაცებლათ... წუხელის მთელი დამე ძილი აღარ მომკიდებია და დღესაც, თუ არ მენახე, ვგონებ, ლუკმა არ ჩავიდოდა ჩემ პირშიო!.. ეს სიტ-კვები ისეთი ათრთოლებული ხმით მითხრა და ისე სა-ცოდავათაც შემომხედა, რომ გული უნებურათ გადა-მიბრუნდა და რაღაც წავილულლუდე. მხოლოთ ეს კი მახსოვს, რომ ვთქვი: „მაგოდენი საბოლიშო არ იყო-მეთქი!“ ქალმა შერიგების ნიშნათ ხელი გამომიშვირა, მეც ჩამოვართვი და, ცოტა არ იყოს, როგორდაც ის პაწაწა ხელი სასიამოენოთ მერბილ-მეთბილა... ქუდ-მოხდით მძიმეთ თავი დავუკარი და გავშორდი. კარგა ძალი გზა^ჭმქონდა გავლილი, რომ რაღაცამ ჩემდა უნე-ბურათ მიმახედა უკანვე!.. ის ქალი იმავ აღგილზე იდგა

და მე მაღევნებდა თვალს. დამინახა თუ არა, უცბათ გატრიალდა და წავიდა. „რა გულ-კეთილი რამ ყოფილა-მეთქი!“—ვთქვი გუნებაში და გავსწიე ბალისკენ. იქ ერთი მყუდრო ალაგი გამოვძებნეა დავჯექ ხის ქვეშ და ჩემებურათ ვარსკვლავებს დავუწყე კრეფა. რაღა თქმა უნდა, ჩემი „ვილაცაც“ იქ გავაჩინე და ყველაფერი ვუამბე, რაც გადამხდა. იმან მაშინვე იმ ქალის გაცნობა მოინდომა და არც მე მწყენია. „მართლა, რომ კარგი იქნება ის გულ-კეთილი ქალი ამ ჩემი „ვილაცას“ მოახლეო-მეთქი“,—ვფიქრობდი და თანაც სისრულეში მომყავდა ეს სურვილი, ასე რომ, საღამომდე არა თუ მოახლეო გავაცანი—კიდეც დავუმეგობრე ისე, რომ უერთმანეთოდ წყალსაც აღარ აქცევდენ ჩემი „ვილაცა“ და ის ქალი. ამ დღიდან დაწყებული თინათინის ნახვა (ეს სახელი ერქვა იმ ქალს) მენატრებოდა და კიდევაც ვხედავდით ერთმანეთს. ჩემზე ნაკლებათ აღარც თინათინს ენატრებოდა ჩემი ნახვა. მე მიყვარდა ის მისთვის, რომ ჩემი „ვილაცას“ მეგობარი იყო და იმასაც, მეგონა, იმიტომ ვუყვარდი, რომ მე მისი მეგობარი „ვილაცა“ მიყვარდა. ეს ისე ბეჯითად გადავიწყვიტე გუნებაში, რომ საეჭვოთ აღარ მიმაჩნდა და „ვილაცას“ წარმოდგენა უთინათინოდ აღარ შემეძლო!.. ორივეს ერთად ვხედავდი, თუმცა ზოგჯერ თინათინთან საუბრის დროს ჩემი „ვილაცა“ აღარ იყო ხოლმე. რამდენიც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ხშირათ ვხედავდით ერთმანეთს მე და იმ ჩემი „ვილაცას“ ერთგული მეგობარი და რომ ქვეყანას ყბათ არ აველეთ, მქირდავების თვალის ასაშორებლათ, გამოვძებნილით ხოლმე საღმე მიყრუებულ ადგილს, იქ ვისხედით და ტკბილათ ვსაუბრობდით.

ერთხელ ნამეტნავათ შეგვიყოლია უცხო ბაასმა; შუალამე გადასული იყო, როცა შინ დავბრუნდით. თვალები დავხუჭე თუ არა, მაშინვე ამიფერადდენ სხვა-და სხვა სიზმრები. სხვათა-შორის ვნახე, რომ მე, ვითომ, ავათა ვარ სახადით, ცოტათი უკეთობაში შევდივარ, თავი იმ ჩემი „ვიღაცას“ კალთაში მიდევს, ის ალექსი-ანათ დამყურებს, შუბლზე ხელს მისვამს და ცივ ოფლს მწმენდს... ცოტა ხნით თვალსა ვხუჭავ, მერე ისევ ვა-ხელ და რასა ვხედავ? ჩემი „ვიღაცა“ გამქრალა, მის ადგილზე თინათინ დამჯდარა და მის კალთაში მიდევს თავი!.. საკვირველია, ეს არა თუ არა მწყინს, კიდეც მიხარია და ვნატრობ, ნეტავი ჯერ კიდევ არ შემოვი-დოდეს ჩემი „ვიღაცა მეტქი“!.. სიამოვნებით შევყურებ თინათინს და მეჩვენება, რომ ამას თვალები იმ ჩემი „ვიღაცასი“ ჰქონია და აქამდე კი არ შემინიშნავს. მა-რთალია, იმას ცის-ფერი თვალები ჰქონდა და ამას შა-ვი, მაგრამ მაინც ერთი და იგივე! განა შარტო თვა-ლები? ცხვირი... პირი... საკვირველია, საკვირველი!! იმასავით რომ თეთრი ტანისამოსიც აცვია?! აღრე რა-ტომ ვერა ვნიშნავდი? სად ვიყავი? ახლა კი ვხედავ, რომ ეს თინათინიც არის და „ვიღაცაც“! „ვიღაცაც“ და თინათინიც!.. მინდა შევიტყო, მინდა ამასვე გამო-ვკითხო, თუ როგორ მოხდა ეს, მაგრამ ენა რომ აღა-რა მაქეს საძრავი პირში!.. ნუ თუ ასე ძალიან ავადა ვარ? ვკედები? ეგება, მკვდარიც ვიყო, მაგრამ ეს ჩემი „ვი-ღაცა—თინათინი“ რას უყურებს მერე? ეგება ვერ მა-ტყობს?.. აბა ერთი ვანიშნო... მაგრამ როგორ? ხმა არა მაქეს:.. ველარ ვინძრევი!.. თვალებით ვანიშნებ, მაგრამ ვერ მიხვდა... ახა, ღმერთო! პირის თველი მასქლება... აი, სახლმა ტრიალი დაიწყო... ჰერიც ვარდება... აჲ!

აჲ! აჲ! აჲ! ვაი!.. აქ გამომეღვიძა, უეცრათ წამოვვარდი, მივიხედ-მოვიხედე და მივხვდი, რომ სიზმარში ვიყავი. მიამა, მაგრამ ცუდ-გუნებაზე კი ავდექი მაინც. მზე მაღლა იყო წამოსული. ამ სიზმრის შემდეგ, თუ-მცა სული მიმდიოდა, მენახა, მაგრამ ხუთი დღის განმავლობაში ვეღარსად შევხვდი თინათინს, თითქოს ცამჩაყლაპაო. ფიქრებმა წამიღეს. ვაი, თუ წავიდა სადმე? ან თუ ავათ არის-მეთქი? ვწუხდი და კანკალი მომდიოდა. თურმე მართლა ულონოთ ყოფილიყო... მეექვსე დღეს შორს მოვატანე თვალი და მივაშურე. რამდენიც ვუხსლოვდებოდი, იმდენი უფრო ძლიერათ მიძგერდა გული და რომ მივუახლოვდი, ყელში დამიწყო ცემა!.. ცოტა მიებნიდა უქეიფობას, შემომხედა და გაიღიმა! გამიღიმა და იმაზედ უტკბესი ღიმილი არც მანამდე მენახა და აღარც შემდეგ მინახავს!.. ღიღხანს შევჩერებოდი უხმოთ გრძნობა-მორეული და მის ალერსიან სიტყვებს პასუხს ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ვაძლევდი. საკვირველია, რაც მეტს მივჩერებოდი, უფრო და უფრო მაგონებდა იმ ჩემ „ვიღაცას“ და მით, რაღა თქმა უნდა, უფრო ძლიერათ იზიდავდა თვისკენ ჩემ გრძნობა-გონებას. ამ გვარათ დღეს-ხვალიობით იმდენზე მიმიყვანა, რომ უთინათინოდ სუნთქვაც აღარ მეხერხებოდა, ნელ-ნელა ჩემი „ვიღაცა“ თან-და-თან მავიწყდებოდა. მაგრამ ეს რა ვთქვი? მავიწყდებოდა კი არა, თინათინად იქცეოდა და ბოლოს სულაც გამითინათინდა!.. შევტოპე სიყვარულის მორევში, შევტოპე და კიდეც დამძირა!.. ყოველ დღე ვხედავდი იმ ჩემ სატრფოს, მაგრამ მაინც კიდევ ვერა ვძლევბოდი მისი ჭერეტი!.. ის შევუწონე მთელ ჩემ სიცოცხლეს და მთელ ჭვეულას, მის მეტი აღარა მაგონდებოდა რა და თუ კიდევ რამ

სხვაც მომწონდა, მისით და მის გაშო. ვგრძნობდით, რომ ერთმანერთი გვიყვარდა, მაგრამ გამოთქმას ვერ ვბედავდით...

გარბოდენ დღეები, მათ თან მისდევდენ კვირეებიც, ზაფხული იწურებოდა. ერთხელ მთვარიან ღამეში მარტო ვისხედით ორივე და ერთმანეთს ჩვეულებრივათ უხმოთ შევტროდით. თინათინმა გაიშვირა თითი ცისკენ და მითხრა:—ხედავ იმ ორ ვარსკვლავს? აი, იქ... შორს... ცის კიდეში, სხვებზე მოშორებით რომ კაშკაშებენო?

— როგორ არა-მეთქი! მივუგე.

— საყვარლებსა ჰგვანან!.. შეიძლება მართალიც იყოს. ბუნებაში ყოველიფერს სიყვარული აკავშირებს ერთმანეთთან!..

— შეიძლება!—წამოვიძახე მოუფიქრებლათ და უაზროთ.

— თუ აგრეა, მაშ, ერთმანეთს განზე რაღათ უდგებიან? რატომ არ მოწყდება ის მოდიდო ვარსკვლავი და არ დაეკონება იმ მომცროს? ვინ უშლით?..

— მერე და რომ იწყინოს მეორებ?

— რათ უნდა იწყინოს? განა იმას კი არ სურს თუ?..

— თუ აგრეა, რატომ თვითონ არ დაეკონება?

— უთუოდ კრძალვაა მისი ბუნების თვისება,—ერი-დება!..

— ეითომ? ჰმ... ძლივს ამოვიკვნესე. თინათინმა თავი ჩალუნა და გაჩუმდა. დიდ ხანს არც ერთს ხმა არ ამოგვილია. გული საოცრათ მიცემდა და თინათინის გულის ბგერაც მესმოდა. ის ხან-და-ხან აიღებდა ხოლმე თავს, შემომხედავდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო,

და ისევ დახრიდა ხოლმე ძირს უქმაყოფილოთ. ბოლოს თქვა: — „გვიან არისო“! წამოდგა და ზარმაცათ წავიდა შინ. მეც მუნჯივით გავაცილე სახლამდი და დავბრუნდი. შინ, ჩემ თავზე გაჯავრებული. რა კარგი მიზეზი მქონდა, რომ ჩემი სიყვარული შემეტყობინებია მისთვის! ის ორი ვარსკვლავი!.. მაგრამ არა, არა, ისე წამცდა, უბრალოთ... მაინც უხეირო ვარ, რატომ არ ვუთხარი? მერე და რომ სწყენოდა? რათ უნდა სწყენოდა? მოდი ერთი, ვეტყვი, რაც გახდეს — გახდეს! რომ შერცხვეს, მეც ძალიან შემრცხვება, მაგრამ არ შევხედავ თვალებში... ეგება კი არ შერცხვეს? რომანებში რომ არ რცხვენიათ ხოლმე? მოდი ერთი, დავუჩოქებ და არაფერს კი არ ვეტყვი, სანამ თვითონ არ მკითხავს... თვითონ მიხვდეს!.. არა, არა, ამას ხომ სხვებიც შერებიან სხვებთან? მე მინდა, რომ ჩვენ სულ განსხვავებული ვიყოთ! ჰმ... ხვალ სწორებ ვეტყვი... ვეტყვი და ვეტყვი!... მეორე დღეს სალამომდე ვემზადებოდი და ვფიქრობდი, თუ რა უნდა მეთქვა და როგორ? კარგადაც მოვემზადე ჩემს გუნებაში, მაგრამ, მივედი იმასთან თუ არა, ფიქრებიამერია, პირში ნერწყვი მიშრებოდა, ყელში რაღაც გამეხირა ბურთივით და სულ სხვაზე დაეიწყე როშვა!.. დიდ ხანს ვიტანჯებოდი ამ გვარათ! ვიჩემებდი... ჩემს თავს სიტყვას ვაძლევდი, როცა მარტო ვიყავი და რომ მოვდიოდი, ვეღარას ვბედავდი!.. თითქმის თავი შემძულდა. ზაფხული კი თან-და-თან ილეოდა, დრო მოდიოდა ქალაქში გადასვლისა.

ერთხელ თინათინის წერილი მომივიდა: „ულონთ ვარ და მოდი, მნახეო“. წიგნის წაკითხვა და სატრფოსკენ გაქანება ერთი იყო. მივდიოდი ჩეარი ნაბი-

ჯით და გული თან აღარ მიმყებოდა: ვაი, თუ მარ-
თლა მძიმეთ ავათ იყოს—მეთქი.

თინათინ მარტოკა იყო სახლში და მიმელოდა.
როგორდაც ახირებულათ იყო ჩატმული და ახლათ და-
ვარცხნილი თმა მხრებზე ტევრათ ეყრებოდა. შემომ-
ცინა და ალექსიანათ მითხრა: „ვაი, თუ შეგაშინეო!
ცოტათ გავციდი და გარეთ აღარ გამოვდივარ, თო-
რემ სხვებ არა მიჰირს რაო!“ ამ სიტყვებით ნუგეშ-ცემუ-
ლი ახლოს დავუჯექი და დავიწყეთ სხვა-და-სხვა ამბე-
ბი. გახურებულ საუბარში რომ ვიყავით, ერთი უეც-
რათ დაიძახა: „მჴვალი! მჴვალიო!“ და წამოვარდა ზე-
ზე. მე გული გადამიტრიალდა... წამოვარდი მეც და
ქუდს მოვავლე ხელი, მინდოდა ექიმთან გავქცეული-
ყავ, მაგრამ თინათინმა დამიშალა:—საჭირო არ არის,
ისეც გადამივლისო, მე ასე ვიცი ხოლმეო; გაიძრო კა-
ბის ზედა-ტანი და მიაგდო იქით.—აბა ახლა კარსეტიც
გამიხსენით, მგონია, მიჰერსო... მრუდეთ არის ზორნე-
ბი გამონასკვეული და მოკლე თავს მისწიეო... მივვარდი
და ხელების კანკალით შევუხსენი, როგორც იქნა; ისიც
გაიხადა და დააგდო სტოლზე. მისმა უსახელო და
ღრმათ გულ-ამოკრილმა განიერმა პერანგმა უკბათძირს
დაიწია. „წელზე ხელი მომდევი, არ წავიქცეო!—მით-
ხრა. მოვხვივ ხელი და მომეყრდნო გულზე. მუხლები
ამიკან კალდენ და ჩავჯექი. ისიც გულ-აღმა დაეშვა ჩემს.
მუხლებზე. ლოკები წამოუწითლდა, ტუჩები ოდნათ
გაეპო, თვალები დახუჭა და უცნაურათ სუნთქვედა... ყელ-
მოლერებულათ თავგადაკიდებულს შავი თმა ტევრათ
ძირს ეყრებოდა. მოვინდომე გასწორება: თავი ავუწიე,
მაგრამ მეტი მომივიღა და უკბათ მისი ტუჩები, დახ-
რის ღროს, ტუჩებზე მომხვდენ!.. ქალი სუროსავით

ყელზე შემომექდო და მომიჭირა გამეტებით ხელები. მაშინვე თავბრუ დამხეცა და თავიც მივეც დავიწყებასი.. რომ გამოვფხიზლდი, თინათინ მხაროებრზე იყო წამოწოლილი და მე კი მის მკლავზე მეღვა თავი. სახე-მღელვარეთ მისვამდა შუბლზე ხელს და წყნარათ მკოცნიდა. „წყალი ხომ არ გინდაო? მეკითხებოდა. მომიტანა სტაქნით ცივი წყალი, დამალევინა, მერე ამაჟენა და მითხრა: „ახლა კი წადი კარში! სიგრილე მოგიხდიბაო!“ მე, ჯერ კიდევ გამოურკვეველი, უსიტყვოთ დავემორჩილე მის ნებას.

იმ დამეს ტკბილათ ჩამეძინა და მეორე დღეს რომ გამომეღვიძა, სულ სხვა გუნებაზე ვიყავი. თავს ვეღარა ვუნობდი, თითქოს რაღაც ძლევა-მოსილობა, ამირან-ამირანობა მომენიჭა-მეთქი და თამამათ გავსწიე საყვარლისკენ. გული თუმცა ჩვეულებრივათ აღარ მიცემდა, მაგრამ რაღაც შეფერებული სიამოვნებით კი იყო დამძიმებული. თინათინი ახალი გამოლვიძებული იყო და ყავასა სვამდა. მაცდურათ შემომხედა და მორცხვათ ჩალუნა თავი. „რა ყმაწვილია-მეთქი!“ ვიფიქრე გუნებაში და მივიწიე მისკენ, ვითომ ყურში ჩასაჩურჩულებლათ, მაგრამ ამ დროს გარედან ფეხის ხმა მომესმა და გავსწორდი. ოთახში ერთი დიდ-ულვაშა კაცი შემოვიდა. ამ ვაჭბატონს ხშირათ ვხედავდი ხოლმე აღრევაც თინათინთან და მომწონდა. მომწონდა მისთვის, რომ ის, როგორც ვატყობდი, მისი სასიამოვნო სტუმარი იყო, მაგრამ დღეს კი ისე უმიზეზოთ ამომეთვალწუნა. რაღაცა მებენდა გულზე. თითქმის მიკვირდა: ჩემდა უნებურათ აქ რა უნდა-მეთქი?.. ამისთანა უსაფუძვლო, სულელური რამ ჯერ არა მეგრძნო რა და გავიბუტე!.. გავიბუტე, მაგრამ თინათინის ერთი შემოხედვა საკმაო იყო, რომ

ის ჩემი ღრუბელი გაეფანტა. დიდხანს ვიყავი მთვრალი მისი ეშხით. სიყვარული თან-და-თან მეგზნებოდა უსაზ-დეროთ და უზომოთ, თუმც ახლა სულ სხვა გვარათ კი ვერძნობდი მის ძალას. ერთხელ რამდენიმე დღით გა-ვემგზავრე ქალაქისკენ. სასოებით, თვალ-ამღვრეულათ გამოვეთხოვე ჩემ სატრფოს და წაველ. შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ იმ საღამოსვე დავბრუნდი და პირ-და-პირ მივაშურე თინათინს. ვფიქრობდი: ახლა ის ჩემი ნეტა-რება მარტო იქნება... მოწყენილი... ან წიგნს კითხუ-ლობს და ან სტოლზე იდაყვ-დაბჯენილი ოცნებობს ჩემზე. მე მივალ, მივეპარები ნელ-ნელა... ფეხ-აკრე-ფით, შევაფრთხობ... ის წამოვარდება ზეზე, შემკრთალი, ერთს შემომკიდებს და, გაჭარხლებული, მომეხვევა კისერზე...

ამ ოცნებით შევიპარე სახლში. ზალა ჩუმათ გავი-არე, ფეხებს ძირს აღარ ვაკერებდი; მხოლოთ გულს კი გაქონდა ბაგა-ბუგი, თითქოს გულზე ბამბას მაპენტავ-დენ. წყნარათ შევაღე საწოლი ოთახის კარები და შევ-ძვერი. იმისთანა თქვენმა მტერმა დაინახა, მე იქ ვნა-ხე: კოტრიალა-კოტრიალა!.. ულვაშებიანი ვაებატონი წამოვარდა ზეზე, აითხორა ინდოურივით და თითქოს რაღაც დაპირა, მაგრამ ბოლოს წიგნს მოავლო ხელი და, ვითომ ვკითხულობო, ჩაღუნა თავი. ქალბატონმაც რაღაც წაიბუტბუტა! ერთ ხანს აშფოთებული იყო, მაგ-რამ ბოლოს შემომხედა და შეჭყარა წარბები. მე ზარ-დაცემული, გაქვავებულსავით ერთი ადგილიდან ფეხს ვეღარ ვიცვლილი. თქვენ რა გინდათ აქაოში! შემომძახა. ვინ მოგეათ ნება ასე კაღნიერათ აქ შემოსვლისაო? არ გეკაღრებათ მზვერაობაო და სხვანი. მე ვეღარა გავიგე-რა! სულ დავიბენი და თვალებ-დაჭყეტილი მივჩერებო-

დი, როგორც მართლა დამნაშავე. თითქმის მზათ ვიყავი, რომ იმის წინ მუხლ-მოყრით ბოდიში მომეხადა, მაგრამ ვერ ვახერხებდი და ის კი უფრო და უფრო მიყვიროდა გააფთრებული: გადი აქედან! გაეთრიე, აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო!.. მაგრამ მე მაინც არ ვინძრეოდი, სანამ კიდევ არ მომაძახა ზიზლით: „არ გესმის, შე ლოქო, შენაოზ!“ ამ სიტყვამ კი გამომაფხიზლა!.. ეს სიტყვა სადაც ადრე ეკლათ მეჩხელიტა გულში, ახლაც სწორეთ იმავ ადგილას განმეორებით ფინთიხივით შეცა და გამწარებული გავეარდი კარებში ბალისკენ. აღარც გზა მიძებნია და აღარც კვალი! მეტი აღარა მახსოვეს-რა მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გამოვფხიზლდი საავადმყოფოში. ჩემმა ექიმმა საიმედოთ მითხრა: აწ აღარა გიჭირს-რაო!.. შენს ახალ-გაზდობას მამადლობდე, თორემ ვერ აიტანდი მაგ ანთებასო!.. რომ მოუყვანიხართ აქ, მაშინ არ უთქვამთ, თუ რა მიზეზით მოგსელია ეგ ანთება, მაგრამ მე კი ისიც შეგატყვეო: —უთუოდ წყალში ჩავარდნილხარო.

— როგორ თუ წყალში და რითი მიხვდით-მეთქი?

— ეგ აღვილიაო ამაყათ მიბრძანა: როცა გაბოდებდა, სულ ლოქოს ახსენებდიო!..

ლოქოს გაგონებაზე ხელ-მეორეთ შემიწუხდა გული. მას შემდეგ აგერ მეოთხედი საუკუნე გარბის და მე ლოქოს ხსენება დღესაც კიდევ მეჯავრება.

II

ჟინი

ულვაში საგრეხათ მქონდა. წვერი მეხუჭუჭებოდა; ვაშუაცობის კალაპოტში ვიყავი ჩამჯდარი. ოცნებას ფრთა შეეკვეცა და გონება გამითავადდა. პირველი სიყვარულის სენ-მოხდილს, სურვილი ნდომათ მქონდა

გადაქცეული და გრძნობა—გულის ფხანვათ. ვიცოდი, რომ სიყვარული „მოგატყუე-მომატყუე“-ს ბურჯალობა იყო და ამიტომაც კიტრათ ვაფასებდი: ახალ-ახალი მენატრებოდა და ძველი აღარ მინდოდა!.. ჩემი „არჩევანი“ ყოველთვის მოხერხებული იყო! ერთვარობას ვერიდებოდი და ერთფერობა მოხეზრებული მქონდა. ერთ ადგილას ფეხ-მოკიდებით ცხოვრება მეძნელებოდა.

ერთხელ სალხინოთ მიმიწვიეს და იმ დროს მივედი, რომ ლეკური კიდეც დაეწყოთ. საზოგადოთ ლეკური არ მიყვარდა, მაგრამ, როდესაც ჩურჩული დაიწყეს: „მათიკო გამოდის, მათიკოო“ სულმა წამძლია და წინ წავდექ. ის მე ახალი გაცნობილი მყავდა და ჯერ არ მენახა მისი ლეკური, თუმცა გაგონებით-კი ბევრი გამეგონა. წყნარათ გამოვიდა შეენიერი თვალ-ტანადი ქალი, ზღილობიანათ დაუკრა თავი მის გამომთხოვ ახალგაზღა კაცს და ჩამოუარა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ იმ დღემდე ლეკური მხოლოთ ფეხების პარტყუნი მეგონა და ხელების გრეხა. მაშინ კი დავდევი ფასი: ჯერ დავლურში ყოველი მისი ფეხის გადადგმა, ლერწამ-ტანის მიხერა-მოხვრა, თავის აღებ-დაღება, გახედვ-გამოხედვა და შეჩერება თვით განხორციელებული მაცდურობა იყო!.. კვალში მისდევდა აშფოთებული ჭაბუკი და რხევით შეტრფიალებდა. გასწყვიტეს დავლური და ყელი მოიღერეს სალეკუროთ. ერთი ჩამოიქროლა ქალმა შერხევით, თითქოს ფრთხი გაშალაო და გაიტაცა კაციც!.. დაჭანცული ხან აძლევდა თავს დასაჭერათ და ხან ისევ მკვირცხლათ გამოუსხლტებოდა ხოლმე ხელიდან. შეჩერდა და მიუშვა მისი მოკამათე წებაზე. აღელვებული ჭაბუკი დიღხანს უტრიიალებდა გარს, როგორც პეტელა სანთელს და ბოლოს ფრთხ-შეტრუსულივით გა-

იქცა... გამოუდგა ქალი, შეაჩერა იმავ ადგილზე, სადაც
წინეთ თვითონ იდგა, და იწყო მის წინ რხევა; შემოუ-
რბინა ირგვლივ, თითქო ჯადო გაუკეთაო, და შერე კი
ჩამოეცალა ნელ-ნელა! ერთიც კიდევ ჩამოუარა და შე-
ჩერდა.... ჩამოუშვა მოხდენილათ ხელები, დაუკრა მა-
ყურებლებს თავი და მიიმალა...

— ძალიან მუშტრის თვალით სინჯავა სიცილით წა-
მილაპარაკა ერთმა ნაცნობმა ქალმა.

— მართლა რომ შნოიანი ყოფილა!..

ჰმ... ფრთხილათ, ვაუბატონო!.. მათიკოს „ვერ იცა-
ნი“ ჰქვია. თავმომწონე ქალია: თაყვანის-მცემლების
გუნდს იხვევს, მაგრამ...

— მაგრამ?

— ჰხრუკავს და არ ათბობსო, ამბობენ. ჰმ! საკვი-
რველია ზოგიერთის ბედი: ჩვენ რომ ორჯელ-სამჯერ
ვინმე დაგველაპარაკოს, რას არ იტყვიან ჩვენზე? და მა-
გას თეალითაც რომ უყურონ, არ დაიჯერებენ! თქვა
გულ-დაწყვეტით და მომშორდა.

ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ მათიკოს ეჩუ-
რჩულებოდა და ჩემსკენ იხედებოდენ. წასელის დროს
მე და ჩემი ნაცნობი ქალი ერთად მოეხვდით კიბეზე და
სიცილით მითხრა: „სხვა ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბა-
დებულიო; ხვალ ჩემთან გელი და საღამოს სხვაგან არ-
სად წახვიდეო“. დანიშნულ საღამოს რაღაც სხვა გუნე-
ბით ველიდი და ბევრ რამეს ახირებულათაც ვფიქრო-
ბდი. ისეთი სიამოვნებით ძვირათ საღმე გამიტარებია
დრო, როგორც მაშინ. იქ დიდი მოლენა იყო საზო-
გადოთ და მასპინძლის გულ-გაშლილობას საზღვარი
არა ჰქონდა. ყოველი ღონისძიებით ცდილობდა, რომ
მე და მათიკო ერთად ვყოფილიყავით და კიდევ ახერხე-

ბდა ამას. მათიკო კარგი მოლაპარაკე იყო: ისეთ ალე-
რსიან სიტყვებს მეუბნებოდა და მასთან მაცდურ რამე-
ებსაც მეკითხებოდა, რომ, თუ გამოცდილი არ ვყოფი-
ლიყავი, მწვანე კიტრსაც დამავიწყებდა, და გოგრასაც
დამაკარგვინებდა.

მათიკო მომლერალიც იყო. ბევრს ეხვეწენ, მაგრამ
არ იქნა, არ იძღერა: „არა ვარ გუნებაზეო“—და ჯერ
სხვები ამლერეს. ყველაზე უკეთ ერთი ვიღაც ახალ-გა-
ზდა მღეროდა. იმ დროს მე და მათიკო ერთად ვისხე-
დით და საზოგადოთ გრძნობაზე გვქონდა ბაასი. რო-
დესაც მომლერალმა უეცრათ წამოიძახა: „სძგერს გლახ-
გული, საყვარელო!“—მე შევჰქროთ და გულმა შემითამა-
შა... მათიკომ თვალი მომავლო და გრძნეულათ გაიღიმა.
ჩაღუნა თავი და დაუგდო ყური სიმლერას; სახემ დელ-
ვა დაუწყო, გულისპირი ენძრეოდა. აღგა ხმა-ამოუღე-
ბლათ, მივიდა კუთხეში და მუთაქას გადააწვა მარცხენა
გვერდით. შეწყდა თუ არა სიმლერა, მათიკომაც ხმა
გაისწორა; ყველამ მისკენ მიიხედა. მარცხენა იღაყვზე
თავ-დაბჯენილმა, მოიღერა ყული და შემოსძახა კვნე-
სით: „ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია“-ო. მაინცა-და-
მაინც დიდი ხმა არა ჰქონდა, მაგრამ კილო კი მოხერ-
ხებული იყო და ისეთი გრძნობითაც ამბობდა, რომ
გულს იპარავდა. თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ
არავის კი არ უყურებდა ამ ქვეყნათ, თითქოს სხვაგან
სადმე მიმოაფრენს სურვილსაო! თვითოეულ სიტყვას
თავ-თავის შესაფერ ძალას აძლევდა. რომ მივიდა იმ
ლექსამდე: „არ გესმის ოხერა, ოხერის მიზეზო“-ო!—მე
გულმა ძეგრა დამიწყო და გათავების დროსაც, როცა
წამოიკვნესა ნალვლიანი სასოწარკვეთილებით: „სიცო-
ცხლის ძაფი მან სწყვიტოს, რადგანაც გასაწყვეტია“-ო!

და მოხდენილათ წინ წაიქნია ხელები, მე გული ყელში გამეჩარა!.. გიუივით წამოვგარდი და მივაშურე ხელზე საკოცნელათ. სევდიანი ღიმილით ჩამიდგა ხელი-ხელში. ტუჩებმა იგრძენეს, რომ ის ხელი ოდნათ თრთოდა. იმ დღიდან ჩემი გრძნობა-გონება საკუთრად იმან მიიზიდა და ჩეცულებრივათ იმედიანათაც გადავუგდე ან-კესი.

ზოგიერთი თევზია, დაინახავს თუ არა ანკესს, შორიდან მოაშურებს, მაგრამ, რომ მიუახლოვდება, ხერხიანათ დაიწყებს ცურვას: ხან ბოლოს გაუქნ-გამოუქნევს, ხან ზურგით წაეფხანება და ხან ფრთებით, მაგრამ თავს კი ყოველთვის არიდებს. მეთევზეს სული მიუდის: ჰა, თუ აგერ წამოეგოს და ჰა აგერაო!.. ინძრევა ძაფი; მე-ანკესე იმედიანათ ამოჰკრავს მკედს, მაგრამ ცალიერი ანკესი რჩება ხელში: თევზს მოუგლეჯია მის მოსატყუებლათ ანკესზე აცმული ჭია და წასულა უვნებლათ. მონადირეს გული მოსდის, უინზე ისევ ხელ-ახლათ აგდებს ანკესს წყალში, მაგრამ მაინც ვერას აწყობს: არ ედება გაეშმაკებული თევზი.

სწორეთ ამ გვარათ ჩამითრია მათიკომაც!.. „არაფერია!“ ვამბობდი გუნებაში—„ეს ულვაში არა მსხმია, თუ ვერ დაგიჭირო! ათასი ხერხი ვიცი და რომელ ერთს გადაუჩები-მეთქი?!" იმას კი აღარ ვფიქრობდი, თუ შეიძლებოდა, რომ იმას ერთით კიდევ მეტი სულინდა ჩემზე. უინმა გამიტაცა, თავ-მოყვარება აღარ მასვენებდა და მის მაგიერ მე თვითონ ვეხვეოდი ტრფიალების ბადეში. მათიკომ რომ შემატყო, აღარა ხუმრობსო, განზე გამიდგა და მძიმეთ დაიჭირა თავი. მე გუნება გამომეცვალა; ხასიათი ისე გამიფუქდა, რომ წამ-და-უწუმ ვანჩხლობდი. მცირე რამეზე მომდიოდა ხოლმე ჩხუბი

მათიკოსთან და ჩემ თავს სიტყვას ვაძლევდი — სამარადისოთ
და მენებებით თავი, მაგრამ მცირე რამე ალერსიანი
მოქუცეა მისი მხრით ისევ მავიწყებდა ყოველიფერს.
ყმაწვილს დავემსგავსე და ბუტიაობა დავიწყე. ქვეყნის
თვალში ამ გვარი რამ არ დაიმალება. ჩემ ქცევასაც
თვალ-ყური მიაღევნეს; მნახეს დამარცხებული და არა
სწყენიათ. რალას ვიზამდიზე გავიმაგრე გული და რამდენიმე
წლით გაშორება მოვინდომე.

წასვლის წინა დღეს ერთ ოჯახში, სადაც მათი-
კოც იყო მიწვეული, ისეთ ნაირათ მოვილხინე, რომ
მეტი აღარ მოხერხდებოდა! მიზეზათ ვამბობდი: „ჩემი
დიდი ხნის სურვილი რომ სრულდება და მივიღოარ, ის
მიხარია-მეთქი!“ ვამბობდი, მაგრამ გული-კი სხვას მე-
უბნებოდა. ამ სიტყვებზე მათიკოს შეკერებოდი, მა-
გრამ არა ეტყობოდა-რა!.. ისეთ სახეზე იყო, რომ თი-
თქოს თხა მიუღით საბალახოთ და იმის ამბავს ამბობე-
ნო. გამოთხვების დროს ხელი მოშიჭირა და მითხრა:
„იმედია, უნახავი არ წახვალთ და ხვალ კიდევ შემო-
ივლით ჩვენს კენო“. მეორე დილას აღრე მივეღ იმასთან
გამოსათხოვრათ. ის ისე დამხვდა, ვითომ არც კი მიმე-
ლოდა და გაუკვირდა: „ასე აღრე რა უნდაო?“ მისვ-
ლის მიზეზი რომ უთხარი და გამოვეთხოვე, ცივათმი-
თხრა: „მართლა? „ნეტავი თქვენ, რომ მიდიხართო!“
ერთი კარგი ლაზათიანი მთქნარებაც მისაგზლა და გამი-
სტუმრა... მაშინ კი სწორეთ შემეზიზლა და ვთქვი: .ღმე-
რთმა შემარცხვინოს, თუ ეს ან ერთ კიტრათ ღირდეს-
მეთქი! ამას როგორ გადავყევი, თუ მე ჩემს ჭკუაზე
ვიყო-მეთქი? და გავეჩარე... სახლს რომ გვერდით ჩა-
ვუარე, მალლა ავიხედე ფანჯრისკენ. ფარდის პირი

აეხადა მათიკოს, გამოეყო თავი და შეწუხებული სა-
ხით მიყურებდა. დამინახა და ფარდა დაუშვა...

მგზავრობას, რომ მეგონა, ისე ვერ გადავაყოლე
გული და ვერც უცხო მხარემ შემიყოლია. ყოველგან
და ყოველთის თვალ-წინ ფარდა მებლანდებოდა... წამ-და-
უწუმ ვეკითხებოდი ჩემ თავს: „ვუყვარვარ თუ არა მა-
თიკოს-მეთქი?“ და გადაწყვეტილს ვერას ვამბობდი. მე
კი მისი სიყვარული თან-და-თან მერეოდა. მისთანა არა
იქნებოდა-რა, არც ავი და არც კარგი, რომ მისი სიყ-
ვარულის გულისათვის სიამოვნებით არ ჩამედინა, თუ
კი სეჭიროთ დავინახავდი. „აბა ეს ყოფილა ნამდვილი
სიყვარული-მეთქი!“ ვამბობდი. „შორით ბნედვა, შო-
რით ტანჯვა, ნიაღაგ მოგონება და ხალვა!“ ვფიქრობ-
დი ჩემთვის... გავტარიელდი, ვითომც ჩემ გუნებაში, და
დავემორჩილე ბედს!.. დავემორჩილე, მაგრამ ვერ ავი-
ტანე კი და სამი თვის შემდეგ ისევ დავბრუნდი. ჩემი
ჩქარი და მოულლოდნელი დაბრუნება ბევრს გაუკირდა
და მათიკოს-კი სიხარულიც დაეტყო. პირველ ნახვაზე
(გზაში შემეყარა), შეკრთა, ცოტათი წამოწითლდა და
თვალები აუბრიალდა, მაგრამ მალე შეიმაგრა თავი და
ჩვეულებრივი სახე მიიღო. მგზავრობის თაობაზე ერთი
სიტყვაც არ უკითხავს, მხოლოთ ჩვეულებრივი მოკით-
ხვის შემდეგ მითხრა: „გამხდარხართ და თვალებში სი-
ყვითლეც შეგპარვიათო! ასეიცის უცხო ქვეყანაში გაუ-
წყვეტლათ ლინიში და სიამოვნებაში ჩაქანცვამაო!“ და-
უმატა მწარის ამოკვნესით და გამშორდა. რამდენსამე
დღეს ვიმაგრებდი თავს: არ მინდოდა მათიკო მენახა,
მაგრამ უცნაურათ კი ვიტანჯებოდი: მაღა დაკარგუ-
ლი მქონდა, სიცხეს მაძლევდა და წამ-და-უწუმ წყალ-

სა ესვამდი. ველარ ავიტანე! გავჩწირე თავი და წაველ
სანახავათ...

ლამის მეათე საათი იყო. მათიკო მარტოკა იჯდა
ბუხართან. შინაური, ხალათური კაბა ცოტათი მუხლე-
ბზე ჰქონდა აწეული, გულ მოღიაღებულს ფეხებზე ისე-
თი შალალ-ყელიანი წინდები ეცვა, თითქოს ობობას
ქსელიაო. შიგ ხორცივარდის ფრათ გამოსჭვირდა. ცალი
ფეხი ოდნათ ჰქონდა წითელი ხავერდის ფოსტალში შე-
ყრილი და ცალიც ისე, მხოლოთ ზევიდან ედვა. სახე
წამოწითლებოდა, ხელები ცეცხლისკენ მიეშვირა და
თბებოდა... რომ დამინახა, ვითომ შეკრთა.. ჯერ
მორცხვათ გული შეიკრა, მერე დაიხედა ფეხებზე...
„უიო!“ — წამოიძახა და სიჩქარით დაუშვა კაბა... უკაც-
რავათ! მითხრა რაღაც გრძნეულათ და მიმიწვია იქვე
სკამზე... დიდხანს არც ერთს ხმა არ ამოგვილია. მეპი-
რი მიშრებოდა და ის კი თითქოს რაღაცის თქმა ეპი-
რებოდა, მაგრამ ვერა ჰგედავდა. ბოლოს სკამი დას-
წია უკან და თქვა: „ცხელაო!... თქვენც ხომ არ გა-
წუხებთ ცეცხლიო?“

— რომელი ცეცხლი: ბუხრისა, თუ გულში რომ
მიკიდია-მეთქი? ძლივს გავბედე თქმა ხმის კანკალით. მა-
თიკომ შემომხედა, ხმა არ გამცა. ისე აღელვებული
ჯერ არ მენახა: გულმკერდი ებერებოდა. მერე კიდევ
მომაჩერდა და ძალიან რბილი ხმით თქვა: „ნეტავი კა-
ცებმა მოტყუება არ იცოდეთო!“ ერთი ამოიხვნეშა და
და ჩაღუნა თავი. მე ტანში რაღაც სიცივე ვიგრძენი,
ერთი გამაურეოლა და ამიტყდათრთოლა... დიდ ხანს ხმა
ველარ ამოვილე. შემდეგ გავბედე, როგორც იქნა:

— მათიკო, ნუ თუ შემიცოდებია რამე თქვენთვის,
რომ ამოდენი ხანია მტანჯავთ?!

პაუხის ნაცვლათ მიბნედილი თვალები გაშტერებით მომაპყრო და აღელდა...

— არიან შისთანა წამები, როდესაც კაცს აღარ შეუძლია იფარისევლოს!.. ეგება უკანასკნელიც იყოს დღევანდელი ჩვენი საუბარი და ნურას მიწყენ!.. ხომ ხედავ, რომ ვიტანჯები? ვიტანჯები გამოუთქმელათ!.. ჩემი სიცოცხლე—სიცოცხლეთ აღარ არის სახსენებელი!.. მეტის ატანა მოუხერხებელია!.. ღმერთმა ხომ იცის, რომ ყოველი ღონისძიება ვიხმარე გასაქარვებლათ, მაგრამ ძნელი ყოფილა ნამდვილი სიყვარული: ის არა ჰგავს არც ყმაწვილობის ოცნებას და არც წამიერ გულის გადაყოლას!.. ვერა ეწინააღმდეგა-რა—ვერც დრო და ვერც ვითარება...

— ჰმ... კმარა! კმარა! კმარა ეს მალულობა!... გამაწყვეტია მათიკომ. ვიცი, ვიცი, რომ ძნელი ყოფილა სიყვარული და მისი ატანა კიდევ უარესი... მაგრამ ჩვენ თუ ავიტანთ ხოლმე, ქალები უფრო სუსტები არა ვართ კაცებზე?

— არა, არა!.. თქვენ არ შეგიძლიათ ის იგრძნოთ, რასაც ახლა მე ვგრძნობ... თქვენთვის ნამეტანი იქნებოდა!..

— მართლა აგრე გგონიათ?.. აბა, ერთი ახლა ჩემს გულშიც ჩაიხედეთ!.. თქვენ მხოლოთ თქვენი გიკვირთ და სხვისას-კი აღარ კითხულობთ!.. ეგება ჩვენც გვიყვარდეს... ჩვენც ეგ სენი გვმსჭვალავდეს, მაგრამ ვითმენდეთ და საიდუმლოთ ვიტანჯებოდეთ... განა ჩვენ-კი ქვის გული გვაქვს!... ეჭ, დარწმუნდით, რომ მეც მიყვარს!.. მინდოდა მეკითხა: ვინა-მეთქი? მაგრამ ვფიქრობდი: ვაი, თუ სხვა ვინმე იყოს და მე კი საუკუნო სასოწარკვეთილებამ მიმსხვერპლოს-მეთქი!

— განა მე ვეღარ ვხედავ, რომ გიყვარვარ? — განა-
გრძო მათიკომ, მაგრამ რა ვქნათ? შეუძლებელი უნდა
დავთმოთ. იმდენი ბედნიერება მე, რამდენი ღამე გა-
მეტებოს შენზე ფიქრით...

— როგორ თუ ჩემზე?... განა მე ვარ აგრე ბედ-
ნიერი?... ძლივს წამოვთქვი ხმის კანკალით.

— დიალ! რაღათ დაგიფარო? მიყვარხარ მეც! მიყ-
ვარხარ ისე, რომ მეტი მოუხერხებელია! მაგრამ...

— მაგრამრაო? რაღა ეწინააღმდეგება ჩენს სურვილს?

— მოვალეობა! ხომ იცი, მე თავისუფალი არა ვარ
და ლექაქის მოხდა გამაუპატიურებს?.. რაც თქვენთვის,
კაცებისათვის, საქებია, ის ჩენთვის სამარალისო ჩირქია!

მართალს ამბობდა. პირველათ დავფიქრდი მეც ამა-
ზე, დავეთანხმე და სასოწარკვეთილებით მივიფარე თვა-
ლებზე ხელი, მეშინოდა, რომ ცრემლები არ წამომცვე-
ნოდა.

— გიყვარვარ!.. კიდევ დაიწყო მათიკომ. — ჰმ... განა
მარტო შენგან მესმის ეგ პირველათ? მაგრამ პასუხს კი
მარტო შენ გაძლევ და გეკითხები: რა მსხვერპლის მო-
ტანა შეგიძლია ჩემი სიყვარულის გულისთვის?

— თვით შეუძლებელიც!..

— კარგი! მე მაგდენს არც გთხოვ!.. მაშ, მეც გა-
ძლევ ფიცს, რომ ამიერიდან შენ გეკუთვნოდეს ჩემი
გული, შენი მეგობრობით ვისულდგულო, მხოლოთ
ნუ ამხდი ლექაქს და გიყვარდე ისე, როგორც და! ჩე-
მი ნატერა ამდენათაც ვერ კადნიერდებოდა და, რა საკ-
ვირველია, გული მოულოდნელი სიხარულით ამევსო! და-
ვვარდი მის წინ მუხლებზე, მოეხვივ ხელები და ხან ერ-
თსა და ხან მეორე მუხლზე სასოებით ვეამბორებოდი.
გრძნობა-მიხდილსავით ჩავუდევი თავი კალთაში და გავ-

ქვავდი. ცალ გვერდს ცეცხლი მიხურვებდა, მაგრამ საკირეშიაც რომ ჩავეგდეთ, ველარას გავიგებდი. მათიკო წყნარათ აცოცებდა თავის პაწაწა ხელებს ჩემს თბებში... მერე ამიწია თავი, ამომდო ორივე ხელები ყბაში და ჩამაჩერდა... სულს ძლივს-ლა ვიბრუნებდი. მის ფუნჩულა ლოყებზე იქით - აქეთ მარგალიტივით მოპგორავდენ ცრემლებიდა თვითონ კი ტკბილათ იღიმებოდა. ერთ ხანს მიყურა, მიყურა, თითქო რაღაცას ამოკითხვაუნდაო, ერთიც გააჟრეოლა, უეცრათ დამეკონა და ისეთი მაკოცა, რომ მეგონა ორკეცა ტყავი ამაძრო ტუჩებზე-მეთქი!.. მერე მკრა გამეტებით ხელები გულზე და კიტრივით გამაგორა!.. სანამ მე წამოვდგებოდი, ის საწოლ ოთახში შევარდნილიყო და წამოვკეტა კარები. დავბრუნდი შინ ეშხით მთვრალი და ბედისაგან დაგვირგვინებული... „აი ეს ყოფილა თურმე ნამდვილი სიყვარული, რომელიც სახორციელოს არა ითხოვს-მეთქი!“ — ვამბობდი გუნება-ში და ვემორჩილებოდი უზომოსა და უსაზღვრო სიყვარულს! ასე, ამ ყოფაში გაირბინა ზამთარმა.

ერთხელ, ახალ-გაზაფხულის პირზე, ჯერ კიდევ რომ ცივტათი ცივოდა, ავდრიან სალამოს ჩემ სატრფო-სთან ვიყავი და შევხაროდი. ვახშმათაც დაერჩი. ახალ ნაგახშევს ისეთი ელვა-ჭექა ატყდა ქუხილით, რომ შინ წასვლა ძნელი იყო და მათიკომ მირჩია მისას დარჩენა. შუა ოთახში დამიგეს და მომასვენეს. ჯერ კარგათ არა მქონდა რული მოკიდებული, რომ კრიკინი მომესმა!.. გავახილე თვალები, — ვერა დავინახე რა!.. კიდევ დაიჭრიჭინა და გაიღო კარები... საშინელი სიჩუმე იყო; ვერა შევნიშნე-რა, თუმცა ძალიან კი ვაკეირდებოდი. ჩემი სრული გონება კარებისკენ იყო მიქცეული. ვიღაცამ ხელები მომისო... შევკრთი!.. „სსუუუო!“ მომა-

ძახა და საბნის პირი აიღო... მე ცოტა კედლისკენ გა-
ვიწიე და სული შემეხუთა!... დილას რომ გამომეღვიძა,
ჩემ გვერდით აღარავინ იყო ..

„ჰე! თუ ამითი დაბოლოვდებოდა, ეს ამოდენი ხნის
უინი რაღა იყო! ჰმ... თურმე საიდუმლოება ყოფილა სა-
კირო!.. მართალი ყოფილა, რასაც ზღაპრულ დედოფ-
ლებზე ამბობენ. ესეც ახლა, ძალა რომ ხელთა ჰქონ-
დეს, საიდუმლოს დასაფარავათ უბრძანებდა მონებს, რომ
ზღვაში გადავეგდეთ!.. ჰმ!... მაგრამ რას ვამბობ? რა
უსინიდისო ვარ! ფუი! შერცხვეს მამა-კაცების წვერ-ულ-
ვაში! ქალმა ტანჯვა ველარიიტანა, თავი გაიწირა... უმან
კოება მიმსხვერპლა და მე კი, მადლობის მაგიერათ, რა-
ებს ვეწამები-მეთქი!“ ვამბობდი გუნებაში. ვამბობდი
და თანაც საღიდებლათ ვუკმევდი გრძნობა-გონებას!..
სასტუმროში რომ გამოვედი, მათიკო ისე შემეყარა, თი-
თქოს ირაფერი ამბავი ყოფილიყოს!.. მხოლოთ ეს კი
შეენიშნე, რომ ყოველ მის სიტყვას ბრძანებითი კილო
ჰქონდა.

იმ დღიდან უფრო სამჭიდროთ შეიცვალა ჩვენი
განწყობილება. მართალია, აღრინდული აღტაცება აღარ
შეტყობილა, მაგრამ სიყვარული კი ძლიერათ მქონდა
გამჯდარი მთელს ჩემ არსებაში და სიკვდილამდე ვერც
არას შევუწონიდი იმას! ვაფასებდი მათიკოს თავ-გან-
წირვას და უზომო მადლობა იყო მისი სიყვარულის ბუ-
დე. ჩვენს მეგობრობას აღარა შეედრებოდა რა!.. ერთმა-
ნეთს, რასაკვირველია, აღარას ვუფარავდით. მარმარი-
ლოს მსგავს ბეჭის ფრთასთან ერთი პატარა წითელი
ნიშანი ჰქონდა მათიკოს, რომელზედაც ამბობდა: „ეს
მიტომ გამიჩნდა, რომ დედა-ჩემმა განგებ, გამოსაცდე-
ლათ სწორეთ ჟედ ამ ადგილზე მოიცხო ტყლიპიო!“

არ მახსოვს, რომ ჩემი ტუჩები უთროლველათ იმას
მიჰკარებოდენ როდესმე... ის მიმაჩნდა ჩემ საუკუნო ნე-
ტარებათ და სიცოცხლის ნიშანათ...

ერთხელ ყმაწვილმა კაცებმა თავი მოიყარეს ერთი
ამხანაგისას. მეც იქ ვიყავი. ჩამოვარდა ბაასი ამაოთ
მორწმუნებაზე და, სხვათა შორის, ტყლიპზელაც გადავი-
დენ. ერთმა ყმაწვილმა კაცმა წამოიძახა: „მე ვიცი
ერთი ქალი, რომელსაც ბეჭის ფრთასთან აქვს ტყლიპის
ნიშანით და, როგორც მიამბო, დედა მისს ორსულო-
ბაში უსინჯავსო!“ ეს რომ გავიგონე, შევკრთი, მაგრამ
ისევ მალე მოვევე გონს: „სხვა ვინზე იქნება, თორემ
ეს ყოველისფრათ ჯაბანი კაცი მათიკოსთან რა სახსენე-
ბელია-მეთქი?“ — ვიფიქრე. ვიფიქრე, მაგრამ მაინც გამო-
საცდელათ წამოვიძახე: „მაგისთანა ვინმეს ერთს მეც
ვიცნობ; სწორეთ იმასაც ზედ ბეჭის ფრთასთან აქვს ის
ნიშანი მეთქი!“ ამ ყმაწვილმა ისეთის მოშურნის თვა-
ლით შემომხედა, რომ მე მართლა ეჭვი შემივიღა გულში...

ცოტა ხნის შემდეგ უქეიფობა მოვიგონე, გამოვე-
თხოვე ყველას, წაველ ვითომ შინ, მაგრამ ნამდვილათ
კი მათიკოსკენ გავეშურე. საყვარელმა ჩემულებრივათ
მიმიღო. ცოტა ვიალერსეთ, მერე ბოდიშ-მოუხდელათ
მივწექ სკამ-ლოგინზე და ამოვუშვი ხერინვა. არ გაუვ-
ლია ნახევარ საათს, რომ ზარის წკარუნი მოისმა. მა-
თიკომ ბევრი მანძრია, მაგრამ ვერ გამომალვიძა... შემო-
ვიდა ჩემი რაყიფი, გაჩერდა მათიკოს წინ და მოკითხვის
პასუხათ გულბიწათ უთხრა: „თქვენ რა გენალვლებათ,
როგორც უნდა ვიყოო?“ მათიკომ ტუჩებზე ხელი მი-
ადო: „სსუუუუ“, უთხრა, შემოახედა და გაიტაცა სა-
წოლ-ოთახისკენ... დავრჩი მარტო. წამოვდექი ნელა და
კარებს მივაყურე. მე სისხლი მიშრებოდა... ისინი ჩურ-

ჩულობდენ რაღაცას... ბევრი ვერა გავიგონე-რა... მხოლოთ ამას კი მოვკარი ყური, მათიკო რომ ეუბნე-ბოდა: „რა ყმაშვილი ხარ?.. არა გრტვენია?.. მე ის ისე მიყვარს, როგორც ჩემი ყურშა (ყურშა მის პატარა ფინიას ერქვა). შენგან კიდევ სხვა უნდა ვითქმირო ვინმე? აი, კაცებისულ ეგრე ხართ.. ურწმუნო!.. გაუტანლები!.. ძალიან კი გიხდება ეგ გაჯავრება. პოი, შენ კი გენაც-ვალოს შენი მათიკო!“ და ამასთან ერთი მაგარი ტლო-შნის ხმაც გამოვიდა... მეტი ვეღარ მოვითმინე, ნაღვ-ლიანათ გადვიხარხარე და გავკოტრიალდი ისევ სკამ-ლოგინზე. მათიკო გამოვარდა სანთლით ხელში და მკი-თხა: რა მოგივიდაო!.. მე დამშეიდებით ვუპასუხე, რომ ახირებული სიზმარი ვნახე და იმან გამაცინა-მეთქი. ვი-თომ მწვანე კიტრი მეჭირა ხელში, უცბათ დამიმუვდა და გამივარდა... იქ ერთი ღორი იდგა, იმან მო-ავლო პირი და გაიქცა! აი, ამისთანა ახირებულ რამეს ნახავს კაცი ძილში-მეთქი—დავუმატე სიცილით. რომ თვითონაც აშთოთებული არ ყოფილიყო მათიკო იმ დროს, შეჩატყობლა რამეს სახეზე, მაგრამ მაშინ-კი ვეღარა გა-იგო რა, მართალი ეგონა ჩემი სიტყვები და ღიმილით მითხრა: „კარგი სიზმარი გინახავს. არათერია, შენ კი გე-ნაცვალეო... ახალმა კიტრმა ახალი ამბავი იცის, დამ-ჟავებით—მტერი დაგიმჟავდებაო!“

— ღორი?.. ღორი რაღა არის-მეთქი? ვკითხე.

— ყოველივე ცუდი მოგშორდებაო... მიპასუხა ჩვე-ულებრივი ალერსით... მეც ალერსიანი ღიმილით შევ-ხედე, მაგრამ გულში კი შემეზიზლა იმ დროს არა თუ მარტო ის—ყოველი ქალი!.. საათი ამოვიღე, დავხედე და ვთქვი: „უჟ, დამგვიანებია, სხვაგან მაქვს საქმე-მეთქი“ და გამოვეთხოვე. მათიკოსაც, რასაკვირველია, აღარ და-

უშლია წასვლა. მასუკან აგერ თხუთმეტი წელიშადზე
მეტია და მწვანე კიტრს ისე ვერ შევხედავ, რომ ნაღვ-
ლიანათ არ გამეცინოს.

III

ნ ა მ დ ჰ ი ლ ი

(მ : ს კ ა)

თმაში ჭალარა შემომებარა... ვარდს უეკლოთ ველარ
კისახავდი. ოცნება გამიქარწყლდა, ნატვრა მოთმინებათ
გადამექუა და გულის-წყრომა—სიბრალულათ. აწმყოზე
უმაღური და წარსულით გულ-დაწყვეტილი, საიმედო
მომავალს მივსდევდი, საპირადოს აღარას ვეძებდი: ამო-
ლებული მქონდა საზოგადო ლელო და მისკენ ვეძალე-
ბოდი. ღიმილს ცხოვრების ფასათ ეხმარობდი; მხოლოთ
მარტოობაში, მოცლის დროს, სხვის დაუნახავათ სახე
მელრუბლებოდა და ვამბობდი გუნებაში: „ოჟ, რა
ძნელია სულით ობლობა! ნუ თუ ეს ჩემი გრძნობა
ჩაკირული უნდა ჩამრჩეს სამუდამოთ გულში? ვერვის გა-
უზიარებ? რატომ ვერა? მაგრამ სად არის... სად... თა-
ნამოზიარე?!“—ოხვრით ვიტყოდი ხოლმე და ვიხურავდი
გულს. გადიოდა დრო, სახეს ნაღვლიანობა ეტყობოდა
და ენას — სიმწარე; გული კი კერძოობისათვის აღარ იშ-
ლებოდა; მხოლოთ ხან-და-ხან პატარა ყმაწვილებთან კი
შეითამაშებდა ხოლმე, რაღვანაც მათი უმანკოება და მო-
მავლის იმედი მაღამოთ ეცხებოდენ და ასე, ამ გვარათ,
თუმცა გარეგნობის დაჩაგრულობით, მაგრამ შინაგანის

ტკბილ მედიდურობით კი, ვლევდი ჩემ დღეთა სოფელს. დღიურ ზრახვებით გულ-გაბოროტებულს, საღამ-საღა-მობით მიყვარდა ხოლმე მარტოობაში სულის სიმშეიდის მოპოება. არის რაღაცა მომხიბლავი ძალა ბუნების საი-დუმლო სიჩუმეში... იმ დროს ოცნებისაგან შორს გატა-ცებულს და ფერად-ფერადი იმედებისაგან სასიცოცხლის სულ ჩაბრუნებულ ადამიანს, რაღაც, სხვა დროს სიუწ-დომელი ძალა სჭვალავს და ნეტარებას უორკეცებს: სიკვდილი და სიცოცხლე ერთ გვარათ ენატრება; ზეცა და ქვეყანა თანასწორ ტკბილათ ეჩვენება; გამოუთქმე-ლი სიტკბოებით დატვირთულს გული არევით უცემს, სული ეგუბება, სახე უღელავს და თვალები ცრემლებს აფრქვევენ... მაგრამ ის ცრემლები „არა ჰგვანან ქვეყ-ნიურსა“, არც ნაღვლით არიან შეზავებულნი და არც ოხერით გადმონაშეფნი.. არა!.. ისინი, როგორც სა-სუფეველის წვეთები, მარგალიტებრ მოპგორავენ აღტ-ყინებულ ღაწვებზე. ნეტავი იმას, ვისაც ბევრჯელ გა-მოუცდია ამ გვარი ნეტარება!.. ერთხელ მეც გადმი-ტყუა მწუხრის ვარსკვლავმა და ქალაქს გარეთ, ბალში, წყლის პირათ, გულ-აღმა მწვანეზე წამოწოლილი ოცნებით შევტროდი გაშლილ ცის კამარას. დედა-მი-წას უკუნი აწვა და აქა-იქ მხოლოთ ციცინათელები ზარ-მაცათ შლიდენ ფრთებს და ანათებდენ, თითქოს პაერში ნაპერწკლებს ისვრიანო მოწმენდილ ცაზე ვარსკვლა-ვები გუნდ-გუნდათ იჩენდენ თავს და ძლიერათ კაშა-შობდენ. მწუხრის ვარსკვლავი ცის კიდეს მიეწურა, სასწორი დაეშვა და ხარი-პარია მაღლა წამოვიდა. წვრილ-წვრილი ვარსკვლავები კი ზედი-ზედ ცვიცოდენ, თითქოს ცას ჰბერტყავენო. მაგრამ ხმა კი მაინც არსაიდან ისმო-და... რაღაც საიღუმლო მყუდროებას მოეცვა არე-მარე.

ზედ ჩემს თავზე შეირხა რტო, ფოთლებმა შრიალი იწყეს, რაღაცამ დაიფრთხიალა და დაიძახა, ბულბულმა ერთხელ—ორჯელ ზედიზედ ჩაიქიციკა, თითქოს ხმას ისწორებსო, და დაჩუმდა, მაგრამ, როცა თანა-მოგვარე-ებმაც სხვა-და-სხვა კუთხიდან ხმა მისცეს, მაშინ-კი ისევ ჩვეულებრივათ დაიწყო ხანგრძლივი სტვენა. ის რომ დაცრა, მერე სხვამ შემოსახახა, მერე კიდევ სხვამ და ამ გვარათ ერთიერთმანეთს აკლიდენ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო. არც ერთხელ და არც ერთს მათ-განს ერთი და იგივე ჰანგი არ გაუმეორებია და ბოლოს კი ცველამ ერთად დაიწყო სტვენა. მათი შეერთებული გალობისაგან ყურთა-სმენა აღარ იყო. ის-ის იყო მედიდურათ ამოპყო თავი მთვარემაც და გაანათლა დედა-მიწა. სწორეთ ამ დროს შემოვიდენ ბალში ნაცნობები, რომელთაც წინ ხარხარით მოუძღვოდა ელიკო. ნინოს შემ-დეგ, დიდი ხანია ისე აღარავინ განთქმულა საქვეყნოთ შვენიერებით, როგორც ჰატარა ელიკო. ის ჯერ ისევ სასწავლებელში იყო, რომ ხშირათ იგონებდენ და რა-კი-ღა გამოვიდა, მაშინ ყოველგან და ცველასაგან გუნდ-რუკი ექმეოდა... მოხუცებულნი მისი ჰვერეტით სტე-ბოდენ, ახალ-გაზდები აღტაცებაში მოღიოდენ, გასათ-ხოვრები შურით ივსებოდენ და მათი დედები კი გულზე სკდებოდენ, თითქოს რაც სასიძო იყო, ცველა ელიკო-სთვის ყოფილიყოს და მათ ქალებს კი აღარავინ დარ-ჩენოდესთ. მართლაც რომ შესანიშნავი რამ იყო ელიკო: ზომიერი სიმაღლისა, რიგზედ ნაკეთი, სწორეთ საუც-ხოვო თვალ-ტანადი იყო. საკვირველი ტკბილი ხმა, საამური, შნოიანი ლიმილი და სამაგალითო, თითქოს გამოზომილი, მიხერა-მოხერა აგვირგვინებდენ მის იშვი-ათ შვენიერებას. ის ჯერ კიდევ არ იქნებოდა ჩვიდმეტ-

თვრამეტის წლისა. შემოვიდენ ბალში თუ არა, ისინიც
იქვე შორი-ახლოს, წყლის პირათ, ჩამოსხდენ გძელ სკამ-
ზე. შორიდან მისი შემჩრე, მეც უიქრებმა წამილო და
ასე ვამბობდი ჩემს გუნებაში: შვენიერება ერთ უძლიერეს
ციურ ნიჭთაგანია კაცისათვის, თუ კი კეთილათ მოიხმ-
მარა, მაგრამ ვაი, რომ ძნელია!.. რისიც კი გამეტება
შეძლებია ბუნებას, აღარ დაუზოგავს მისანიჭებლათ ამ
ქალისათვის!.. დღეს ის, ვარდივით გადაშლილი, სულით
უმანკოა და გულით წმიდა. ჯერ კიდევ ყოველიფერი
ვარდისფრათ ეჩვენება. ახლა ეჭირვება მაგას ზნეობრივი
საზრდო, მაგრამ სად უნდა მოიპოვოს და ვისგან? ვინ
არის, რომ უმოძღვროს? ვინ მიუთითებს სიმართლით
ავზე და კარგზე? ყველა მოერიდება, ყველა მოეფარი-
სევლება; საწყენ სიმართლეს არავინ ეტყვის!.. რაც უნ-
და თქვას—დაეთანხმებიან... რაც უნდა ჰქნას,—მოუ-
წონებენ მისთვის, რომ ის ლამაზია და მისი ალერსი და
ლიმილი ყველას ენატრება!.. საჭირ-ბოროტოთ საფრხეში
ჩავარდნილი, გამოუცდელობით თავ-გასულათ გაიწევს
ცხოვრებაში და თუ ერთი ფეხი როგორმე აუსხლტა,
მშეიღობით ღროებითო ბედნიერებავ! მაშინ-კი სიმართ-
ლეც აღარ გაუვა და ვინც დღეს თაყვანსა სცემის, ისი-
ნივე შეუბრალებლათ მიაყრიან ქვასა და გუნდას! ასე ყო-
ფილა, ასეა და ასევე იქნება ამ სოფლის კანონი და
მისი სიმღრა. ერთი ვინმე დაიწყებს, მეორე მოსახებს,
სხვები ბანს მიაყოლებენ და გაიმართება საერთო ფერ-
ხული და „ვარხარალო“!.. გინდა თუ არა, შენც უნდა
ჩაჰყვე ამ ფერხულში. იმას ნუღარ დაეძებ, სამართლია-
ნია თუ არა!.. სულ ერთია, სხვისი სათვალავი შენც
უნდა გაიმეორო; ამას მოითხოვს სოფლიური უგუნურე-
ბა, ის უგუნურება, რომლის ძლიერებას მრავალ-ფე-

როვანი საუკუნოები ებრძეიან, მსხვერპლსაც მსხვერპლ-ზედა სწირვენ, მაგრამ სამარადისოთ-კი მაინც ვერ ამარ-ცხებენ. ადრე თუ გვიან, ეს მოელის ელიკოსაც!.. ქვეყნის შური გასწირავს, უმაღურობა გულს ატკენს და უსამართლობა დასჩაგრავს!.. მაშინ დღევანდელი სიცი-ლი ოხვრათ გადაექცევა, ეს შეფერებული მედიდურობა მკრთალ მორცხვობათ, სახე ჭმუნვის ბეჭედს დაისვამს და ვინ-ლა იცნოს ადრინდელი ელიკო?!. კიდევ კარგი, თუ ბუნება თანაზიარია: შეურიგდება სოფლის ბრუნვას, დაემორჩილება საზოგადო უგუნურებას, ჩაერცვა საერთო ფერხულში, გაიმეორებს სხვების სათვალავს და მხიარუ-ლათ ეტყვის საზოგადოებას: „მეც თქვენი თქვენთანაო!“ და თუ არაა,— შეიძლება გაქერპდეს, გადაუბრუნდეს გული და მისი ბუნებრივი სიმდიდრის წყალობით სახრ-წნელ ჩირქათ მოედოს საზოგადოებას. ამ გვარ ფიქრე-ბისაგან რომ ვიყავი წალებული, სწორეთ იმ დროს მო-ირბინა ჩემთან ელიკომ თავისი მხლებლებით და სიცი-ლით მჟითხა: „უკაცრავათ, მაგრამ ცოტათი უნდა შე-გაწუხოთ: ამ ყმაწვილებთან დანაძლავებული ვარ ერთ-ერთ რამეზე და თქვენს მეტს არავის შეუძლია მისი გა-დაწყვეტა!“

— ბძანეთ!..

— რაზე ფიქრობდით?

— ეგებ თქვენი შესატყობი არ არის?!

— საპირადო იყო თუ საზოგადო?

— საზოგადო.

— მაშ, დასაფარავი არა ყოფილა!..

— მაინც რა გინდათ შეიტყოთ?

— მე ვამბობდი, რომ თქვენ სამწუხარო რამეზე

პფიქრობლით და ესენი-კი ამტკიცებდენ, რომ ვარდ-ბულბულზედაო!

— თქვენც მართალი ხართ და ეგენიც.

— ეგ როგორ შეიძლება?

— განა არ მოხერხდება, რომ სამწუხარო რამეს პფიქრობდეს კაცი ვარდ-ბულბულის გამოისობით? თუმცა პირ-და-პირ ისინი კი არ გამომისახავს, მაგრამ ნამდვილათ-კი მათ შეეხებოდა.

— მაშ, ჩვენ მოგვიგია! — წამოიძახა ტაშის კვრით ერთმა კუდაბზიკა ახალგაზლამ. — ვარდი ელიკო იქნებოდა, ბულბულები კი ჩვენ! ხომა?

— თუმცა ხან-და-ხან კი შეუსტვენთ ხოლმე, მაგრამ ჯერ კიდევ ბულბულათ არ წარმომიდგენიხართ და თუ მაინც-და-მაინც გნებავთ, აგრე იყოს!.. სწორეთ ვარდ-ბულბულზე ვფიქრობდი და იცით რას? საზოგადო აზრია, ვითომეც ბულბულს ვარდი უყვარდეს, მისი ქშით თვრებოდეს და თავს ევლებოდეს.

— განა ტყუილია?

— რასაკვირველია!.. ვარდმა ჭიალუას დახვევა იცის გულზე, დილის ნამსაც ფურცლებზედ იჩერებს და იმისათვის დაჭვეთქენ თავს ბულბულები, თორემ...

— კი, მაგრამ როცა ვარდი დაკნება და ფურცლები დასცვივა, მაშინ რომ აღარ იცდის ბულბული? — იკითხა ერთმა ახალგაზლათაგანმა.

— მეტს მეტ არას ვამბობ! თავს ხომ არ იკლავს? ერთი ვარდიდან ვეორეზე გადადის და მეორედან — მესამეზე. მისთვის ყველა ვარდი ერთია, ოლონდ-კი საკენკი არ გამოელიოს.

— ნუ თუ ყველა ბულბულები მაგისთან ები არიან? —

ნალვლიანათ იკითხა ელიკომ და თვალი გადაავლო
მთელ კრებას.

- მხოლოთ ბარათაშვილის ბულბულია სხვა გვარი.
- ბარათაშვილისა?
- დიახ, ის ბულბული, რომელიც ვარდს ამას ეუ-
ბნება:

„გარდო, გარდო, მტანჯ ჩემთ!
გვედრებ გულით მტკინავი,
შაღირსე, თუ როგორ არს
გაშდა შენი მდიმავი?“

ის ბულბული, რომელიც მარტო ვარდის შვენებით არ
არის დაკმაყოფილებული, გონების თვალითაც უმზერს
და მიზეზს იკვლევს, თუ როგორ გაიშალა, აქცვავდა და
და ან როგორ დასცვივდა შემდეგში ფურცლები მის
ვარდს!..

ამ სიტყვებზე ელიკოს მწუხარე ლიმილი მოერია, წარბები შეიკრა და ცოტა სიჩუმის შემდეგ ნალვლიანათ
მითხრა: „დღევანდელ ჩვენი სიხარულის ვარდს სწო-
რეთ ჭია-მყრალა დაუსვა გულზე თქვენმა სიტყვებმაო!“
თქვა სევდიანათ, გატრიალდა და მომშორდა.

შემდეგ ამისა დიდ-ხანს არსად მინახავს, ისე გაირბინა
რამდენმამე თვემ. რასაც ვფიქრობდი, გამართლდა: სა-
ზოგადო თავ-გადასავალი ველარც ელიკომ აიცდინა!..
გაიტაცეს ჩიტირეკიებმა, ჩადგა საქარაფშუტო წრეში;
მით დღითი-დღე გონებას საზრდოს აკლებდა და გრძნო-
ბას კი აქარბებდა. კეკლუპობა ძვალ-რბილში გაუჯდა
და მოტრფიალეთა გუნდს იმრავლებდა. აღრინდელი შე-
ფერებული თამამობა თავხედურ შეუპოვრობათ გადაექ-
ცა. ქვეყანა მისი საფეხთამტვერო ეგონა. აიყოლია გუ-
ლმა, ხშირათ ნახავდენ ხოლმე ხან აქ, ხან იქ ყმაწვი-

ლების კრებაში სულ მარტოთ-მარტოს. არავის ერიდე-ბოდა, არაფერს ეკრძალებოდა; ყოველთვის და ყოველ-გან თამამად ჰქონდა გული! საზოგადო ჩვეულების და-რღვევა და წესის შეუპოვრობა ბევრს, რასაკვირველია, არ მოსწონდა. თან-და-თან შურს და სიხარბეს ნიადაგი ემზადებოდა: მისი ტოლები ქვეშ-ქვეშობით ორმოს უთ-ხრიდენ, მათი დედებიც ცბიერათ თავს აქნევდენ ხოლ-მე და ფარისევლურათ სიბრალულის ცრემლებსა ჰლვრი-დენ ელიკოს ხსენებაზე. ამით ბევრი არა წაუხდებოდა-რა ელიკოს, თუ კი კაცებთან მაინც ჰქონოდა საქმე რი-გიანათ დაჭრილი, მაგრამ ვერც ისინი ჰყავდა მომად-ლიერებული: ბევრ მოტრფიალეს დასწყვიტა გული მო-ულოდნელი გაყიცხვით... ბარე ორ საქმროთ გამზა-დებულებს ამოსცხო ნიშადური და მათი სიყვარულისი-ძულვილათ გადაიკეთა. ცხოვრების ღელვისაგან გატა-ცებული, ის თან-და-თან მიექანებოდა უფსკრულისაკენ და ვერ ატყობდა, რომ მზათ იყვენ დედამიწასთან გაე-სწორებიათ ურჩი ქმნილება, მაგრამ ჯერ მეთაურს ელო-დენ, რამე ნიშანს უცდიდენ და ისიც მალე აუსრულ-დათ.

ერთხელ ჩვეულებრივათ ქალაქს გარეთ გავიდა ცხენ და-ცხენ ელიკო და ერთი ვინშეკუდა ბზიკა ახალგაზდაც თან იახლა. როგორლაც გზა დაბნევოდათ და თითქმის განთიადისას შემობრუნდენ ქალაქში. ეს ამბავი ყველამ გაიგო და ჩაიცინეს გუნებაში. მეორე დღეს ახალგაზდა კუდა-ბზიკას შემოერტყენ გარს ყმაწვილები და დაუწყეს ლაპარაკი გადაკვრით. კუდა-ბზიკას გულით უნდოდა, რომ შეეფერებია, რასაც ეწამებოდენ, მაგრამ სინიდის-მა კიდევ აღარ მიიყვანა იქამდე, რომ პირ-და-პირ დაე-წყო ტრაბახი და დიდი ფიცით დადგა უარზე, მაგრამ.

ისეთ გვარათ კი ჰუფიცავდა, რომ ის მისი უარი დასტუ-
რჩედაც უარესი გამოდიოდა. შეიქნა ერთი ჩურჩული,
ასტყდა ყაყანი, გაიმართა მითქმა-მოთქმა, დააბეს ფერ-
ხული და იმ დღიდან ყბალ-აღებული ელიკოს ლეხაქმა
უკულმა შეიფრიალა. მისი სიტყვა-პასუხი, მიხრა-მოხ-
რა, სიცილი, მოწყენა თუ მოლხენა, ერთი სიტყვით,
ყოველ გვარი მისი მოქმედება სულ სხვა გვარათ ეჩვე-
ნებოდათ. მაშინ-კი დაფიქრდა ელიკო. ჩაიხედა გულ-
ში, გამოფხიზლდა ცოტათი და პირველათ შენიშნა ვარდ
ქვეშ ეყალი. იკბინა ნეკზე და გაიმაგრა გული. იმ ხა-
ნებში ერთგან წვეულება იყო. სხვათა შორის ელიკოც
იქ დაესწრო. გუნებაზე ვეღარ იყო, მაგრამ, სხვების და-
სანახავათ, თავისას მაინც არ იშლიდა და საზოგადოების
მასთან ცალ-ყბათ მოქცევას ვითომც ვერც კი ამჩნევდა.
სადილზე ერთმა მეჭორე ქალბატონმა ტყემლის საწებე-
ლი მიაწოდა ღიმილით და სხვებს კი აქეთ-იქით თვა-
ლით ანიშნა. ელიკომ ზღილობიანათ ჩამოართვა მოსა-
კითხი და გადადგა განზე. პირის-სახე აენთო, თვალები
აუბრიალდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდენ, აღელვე-
ბა დაეტყო, მაგრამ შეიმაგრა თავი და სიცილით ჟა-
სუხა: რატომ თქვენ კი აღარ მიირთმევთ? კბილები ხომ
არ მოგკვეთიათო?“ — და მეზობელს დაუწყობაასი. ცო-
ტა ხნის შემდეგ მიუბრუნდა ისევ ის ქალბატონი: „ქა-
ლო, რატო მაგრე დაგვარგვიათ მაღა? სხვას ხომ არას
გააყოლეთ? ეგება მავნემ შეგაშინათ საღმე ტყეში და
თვალ-ნაკრავი ხართ? შეალოცვინეთ!“ ელიკომ ზიზღით
შეხედა და ხმა-მალლა უთხრა: „არა, ჩემო ბატონო, თქვენ,
როგორც ძველი დროს ადამიანი, ძველ რამეებს იგონებთ!..
ამ ჩვენს დროში მავნეები, კუდიანები. და ქაჯები ტყეებში
აღარ ჰბუდობენ!.. ოჯახებში წცხოვრჭებენ, საზოგადოებაში

გამოდიან, მაგრამ შიშით-კი ველარავის აშინებენ, მხოლოდ გესლს ანთხევენ და ქვეყანას ამყრალებენო!“ ამ სიტყვების შემდეგ მეჭორე ქალბატონს სახე წამოუწითლდა, კავების სწორებით რაღაცის ბუტბუტი დაიწყო, მაგრამ ელიკოს ყურადღება აღარ მიუქცევია: მეზობელთან გაერთო საუბარში.

ეს იყო პირველი უსიამოენება. ამას თუმცა ადვილათ გადარჩა, მაგრამ შემდეგშიაც კიდევ ბევრჯელ გაუმეორეს მისი მხრით ყოვლის უმიზეზოთ და მათი ატანა მით უფრო ძნელი იყო, რომ მომხრეთ და მოსარჩევთ ველარავის ჰქედავდა ელიკო. სადამდისაც შეიძლო, იბრძოლა მარტოთ-მარტომ და ბოლოს, რომ ველარ აიტანა ცხადი უსამართლობა, მოშორდა ქალაქს და გადავიდა ბიძასთან სოფლათ. ამით სულ უფრო გაიტეხა სახელი: მეჭორეებმა მოალოგინეს, ვაჟი შესძინეს და კიდევაც გაუბარეს ბიძასთან... აღელდა საზოგადოება, მაგრამ, ზღვისა არ იყოს, რომელიც, რაკი გამოპყრის ხოლმე ნაპირათ, რაც კი შუა გულში აქვს, სცხრება. საზოგადოებაც დაწყნარდა და ერთი თვის შემდეგ ელიკოს ხსენებაც აღარ ყოფილა... დაივიწყეს და მოისცენეს.

ერთხელ, როგორდაც ჩემდა უნებურათ, მასკარადში მოვხვდი. გაკვირვებული მასკები ზედი-ზედ ჩემთან სატიტინოთ მოდიოდენ, მაგრამ თვითო-ოროლა პასუხის შემდეგ კი უკმაყოფილოთ გარბოდენ. ერთი ვიღაც ამედევნა; არც მშორდებოდა და არც არას ამბობდა.— „ჩემო კარგო, რა გინდა-მეთქი?“— ვკითხე.

— შენი ყურის გდებაო! მიპასუხა.

მაში, მოდი დავსხდეთ და ვისაუბროთ.

— შენთან? არა! მირჩევნია, სხვას რომ ემუსაიფები, მაშინ გიგდო ყური.

— ეგ რაღა ჟინია?

— როცა სხვებთან საუბრობ, მიყვარს შენი ყურის-გდება და ჩემთან რომ ილაპარაკო, არა მსურს, მეძნელება!...

— გეძნელება?

— დიახ, ვაი თუ მეც ისე უგულოთა და აგდებით მიპასუხო რამ, როგორც სხვებს, და მით გული დამწყვიტო. უნდა იცოდე, რომ შენგან ცოტაც მეწყინება.

— რათა გგონია, რომ უთუოდ საცინლათ აგიგ-დებ?

— მაშ, ჩემთვის ხომ ვერ მოიშლი ჩვეულების?

— ვინ გაგაცნო მაგ გვარათ ჩემი თავი?

— შენვე. თუმცა ბევრჯელ არ მინახავხარ, მაგრამ კარგათ კი გიცნობ.

— ვინა ვარ?

— ის, ვინც ადრე მძულდა და ვგმობდი და ახლა კი მიყვარს და ვლოცავ.

— ოჯ, კარგათ შეგისწავლია სამასკარადო ხრიკები!..

— დამერწმუნე, რომ წმინდის გულით გეუბნები.

— მეც ხომ გიცნობ?

— გარეგნობით. და შინაგანათ-კი ვერა! რაცა გგონივარ, ის არა ვარ.

— მართლა?

— „ვინც კი კაცათ მიაჩნიათ, უყვარსო და პატივსა სცემენ, იმას არც ატყუებენო“—ეს შენგან მაქვს გაგონილი. მე შენ ვერ გეტყვი ტყუილს.

— კი, მაგრამ აქ ისეთი ადგილია, რომ...

— სხვებისათვის და არა ჩემთვის!.. მე მხოლოთ აქ ვიხდი ხოლმე პირ-ბადეს. საკვირველი გულის მოსაფენი ადგილია მასკარადი: რამდენს შეარცხვენ, რამდენს

გაამხნევებ, რამდენს ანუგეშებ და რამდენს შეაშინებ!..
პირში თქმა მიღებულია...

ამ დროს მოვიდა ჩემთან ერთი ჩემი ნაცნობი და
მითხრა: „აა! ახლა კი მიგხვდი! ეს ერთი ხანია ეგ
მასკა დაღის აქ; აქაურობა აურ-და ურია, ქვეყნის
საიდუმლო იცის და მასთანაც ენა-ბასრია: ზოგს დას-
ცინის, ზოგს არცხვენს, ზოგს აპირშავებს და უაზროთ
და უგანძრახვოთ კი არას ჩაღის. ცდილობენ, მაგრამ
აქაურათ ვერ უცვნიათ. ახლა-კი ცხადია მაგის უცხო-
ობა და აქაურ ამბებს შენი დარიგებით იმეორებსო“

— უკაცრავათ! შემცდარი ბძანდებით—უპასუხა მა-
სკამ.—მე იმ კაჭკაჭთაგანი არა ვარ, სხვის სიტყვებს რომ
იმეორებენ... გნებავს ისეთი რამ გამხილო, რომელიც ამან
არც კი იცის? ოთხშაბათ დილას, უფროსთან რომ ბრძა-
ნდებოდი, რად ესარჩლებოდი ბამბურიძეს? საკადრისია,
განა ქვეყნის ორგულის ქომაგობა? მაგრამ, ეჭ, ქუუიანი
კაცი ბძანდები და გინდა სხვისი ქება გაასესხო: კარგათ
იციან შენისთანა ჭაცებმა, რომ ფარისევლობას დიდი
სარგებელი მოაქს. ნურას უკაცრავათ, მშვიდობით!—
დაცინვით დაუკრა თავი და ჩაირბინა კიბე. ცოტა არ
იყოს, ჩემი ნაცნობი წამოწითლდა და თქვა: „ვიღარე-
რი მაიმუნი უნდა იყოსო!“ მაგრამ მე კი სულ სხვას
ვფიქრობდი. ბევრიც ვეცადე და ნაცნობათ ვერ წარმო-
ვიდგინე. იმ კვირაში კველა სახლობა ჩამოვიარე, ნაც-
ნობი არავინ დამრჩენია უნახავი; განძრახ ვებასებოდი
ხან ერთსა და ხან მეორეს, ვაკვირდებოდი მათი საუბრის
კილოს, მაგრამ იმ მასკისებური არა მესმოდა რა. სწორ-
ზე ისევ გავჩნდი მასკარადში. დიდ ხანს ველოდებოდი იმ
მასკას, მაგრამ აღარსად იყო. გულ-დაწყვეტილი შევედი
საწიგნეში და მიღუჯექი გაზეთებს. ფიქრისაგან შორს წა-

ლებულს, მხარზე მარაო დამკრეს; მოვიხედე და ვნახე, რომ ჩემი მასკა მაღვა თავზე.

— ვინ შენ და ვინ მასკარადები? კიდევ მოსულ-ხარ?.. რა ამბავია?.

— შენთვის მოვედი, შენ გელოდი!.. ასე რათ დაიგვიანე?

— მართლა? აბა ერთი შემომხედე! მინდა შეგატყო სახეზე: მართალს ამბობ, თუ საცინლათ მიგდებ? არა, სწორეთ მართალს ამბობ!.. მაშ, ახლა მეც გამოგიტყუ-დები, რომ საკუთრათ შენთვის მოვედი და დაგვიანებას პრანჭიაობათ ნუ ჩამომართმევ. ახალმა ღრამაშ „სამ-შობლომ“ შემიყოლია, სანამ არ გავათავე, ვეღარ და-განებე თავიო...

— მართლაც, ღრამა „სამშობლო“ მეტათ მოხვდა გულზე ჩვენს ხალხს. თეატრში ტევა აღარსად იყო. უმ-თავრესი აზრი თხზულებისა ისე მოსწონდათ, რომ წვრილმან ნაკლულევანებას ვეღარ ამჩნევდენ. მე მინდო-და, მასკის აზრიც შემეტყო და ვჰქითხე: როგორ მოგწონს „სამშობლო“, მეთქი?

— სიამოვნებით წავიკითხე, მაგრამ მოწონებისას-კი ბევრს ვერას ვიტყვიო, — მომიგო.

— თუ გესიამოვნა — მოგწონებია.

— არა, ეგ ღრამა მითია კარგი, რომ ბევრს ჩა-ხედებს გულში და დააფიქრებს ისეთ რამეზე, რომლებ-ზედაც მანამდის არ ეფიქროს, თორემ თავის-თავად ბევრი არა არის რა!.. ერთი რომ — ისტორიული სიმართ-ლე არ არი და ამას გარდაც დიდი ცილის-წამებაა ქართველ ქალებზე.

— როგორ თუ ცილის-წამება?

— მაშ, ის საზიზლარი ქეთევანიგანა საზოგადო სა-

ხეა ქართველი ქალისა? ახლანდელი ქალების მიხედულებით თუ ვიტყვით, მეტიც ითქმის, მაგრამ ჩვენი დედები კი სულ სხვა გვარათ სახსენებელნი არიან. რა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ გრძნობა დაეხშოს, სიყვარული მოეკლას და თავის პირადობა ქვეყნისთვის ემსხვერპლოს ქართველ ქალს!

— მარტო რჩეულებზე რათ მითითებ? საზოგადოთ რას იტყვი? ეგებ, ქეთევანი საზოგადო სახე იყოს ქალებისა? აკი ამბობს ქეთევანი, რომ „,მე ქალი ვარ და ჩემი სამშობლოც სიყვარულიაო?“

— სიყვარულიც არის და სიყვარულიც! ის გრძნობა, რომელიც ვერ აგვამაღლებს, განა სიყვარულია? წრფელი უნდა იყოს სული, რომ მიიზიდოს სიყვარული და გულიც წმინდა, რომ ის იტვირთოს, თორემ ნაორგულევი, შებდაბლული და დამდაბლებული გრძნობა რაღა სიყვარულია?

— ასე არ ამბობენ სხვები.

— ეგ მათი ნებაა, მაგრამ მე კი ასე მომიხსენებია და...

— როგორც წელანდელი შენი სიტყვიდან ჩანს, შენ უიმედო უნდა იყო ჩვენს ეხლანდელ ქალებზე!

— ვინ მოგახსენათ? დარწმუნდით, რომ დღევანდელი ქალებიც ისე მდიდარნი არიან ბუნებით, როგორიც ყოფილან ჩვენი დედები... მხოლოთ...

— მხოლოთ რა?

— ის, რომ ლიონიძეები და ხიმშიაშვილები ალარ-სად არიან!.. ეჭ, მართალია, უსიამოთ ილიმებით და აგდებით ლაპარაკობთ დღევანდელ ჩვენს ქალებზე, მაგრამ მეც საზიზღრათ მიმაჩნია დღევანდელი კაცებიო, — დაუ-მატა ნალვლიანათ და მიმატოვა.

იმ ღამეს ძილი გამიტყდა: სულ იმ მასკაზე ვფიქ-რობდი, მაგრამ ვერავის ვამსგავსე; დავრწმუნდი, რომ ის ჩემი ნაცნობთაგანი არ იყო და მიკვირდა. დიდ ხანს სახლიდან ფეხი აღარსად გამიღვამს, მხოლოთ მასკარადს არ ვაკლდებოდი; დღესასწაულივით ველოდებოდი ხოლ-მე... ჩემ მასკას ყოველთვის ვხედავდი და ისეც გამიტაცა, რომ უმისობა აღარ შემეძლო. მასთან საუბარი და მსჯე-ლობა სულ სხვა გუნებაზე მაყენებდა. არც ერთხელ ჩვენს კერძოობაზე არა გვითქვამს-რა; თავის ვინაობას მიმალავდა, მხოლოთ ერთხელ კი, უკანასკნელ მასკა-რადში, გამომიტყდა:

— ხალ-მოსული ვარ! არსად დავდივარ, გარდა მასკარადისა, და აქაც მხოლოთ შენი გულისთვის, რად-განაც მას შემდეგ, რაც შენი სიძულვილი სიყვარულათ შემეცვალა, შენ მიმაჩნიხარ ჩემ საყვარელ ძმათ და უკე-თეს მეგობრათ.

სიამოვნების ურუანტელმა დამიარა ტანში და აღ-შფოთებით ვკითხე:

— მითხარი მაინც: ან რამ შეგაძულა ჩემი თავი და ან მერე ვინ შეგაყვარა-მეთქი?

— მცირე რამ შემთხვევამ! — მიპასუხა წყნარათ და ისევ განაგრძო: — ამ რამდენისამე წლის წინათ... მაშინ მე სულ ყმაწვილი ვიყავ და მეტად თავ-გასული... სად-ლაც ფანტს ვთამაშობდით. მე უნდა მივსულიყავ და მყეითხა ყველასათვის: „რა გსურსთ ჩემთვის-მეთქი?“ და მათაც ყურში ჩამჩურჩულეს პასუხი. ყველამ სასიამოვ-ნო და გულ-საფხანი რამ მითხრა. მაშინ შენც იქ იყა-ვი; თუმცა შექცევაში არ ერეოდი, მაგრამ მე მაინც მოვედი და გკითხე: „რა გსურს ჩემთვის-მეთქი?“ შენ რაღაც სხვა ნაირათ შემომხედე და მკითხე: „შესაძლე-

ბელი, თუ შეუძლებელიო?“ შესაძლებელი-მეთქი!..

„მაშ—სიკვდილიო!“ მიპასუხე და მომშორდი. მე სულ სხვა პასუხს ველოდი და უნდა იცოდე, თუ როგორ მეტკინა გული!.. გაანჩხლებულმა წავიბუტბუტე: „თვითონ შენა-მეთქი!“ და დაგანებე თავი. იმ დღიდან შენზე უსაძაგლესი აღარავინ მეგონა ქვეყანაზე.

— მერე რაღამ შეგიცვალა გული?

— მცირე რამემ! ერთ დროს სევდისაგან გარე-მოცულს და გულ-დანალვლიანებულს, როგოსაც უფსკ-რულის კიდეზე ვიდექ და ნუგეშს აღარავისაგან ველო-დი, ახალი გაზეთი მომიტანეს, სადაც სამკურნალო რამ სიტყვები ეწერა. ის სიტყვები, მაშინ იმ გაზეთიდან ამოჭრილი, დღესაც ავგაროზათ მადევს გულზე...

— ნეტავი რა იყო მაგისთანა?

— აი რა! ამოილო გაზეთის ნაგლეჯი და მომცა. მეც ჩამოვართვი და დავიწყე კითხვა: „როცა ჯერ უმა-ნკო, ბუნებისაგან საიმედოთ და საქებრათ გაჩენილი ახალ-გაზდა შემხვდება ხოლმე ჩვენში, მე გულზე ნაღვე-ლი მენთხვევა და მის სიკვდილსა ვნატრობ, რადგანაც ვიცი, რომ ეს ჩვენი მონებითი საზოგადო ცხოვრება, უეჭველათ გააუკულმართებს მის ადამიანობას... და ნუ თუ სპეტაკათ საფლავში ჩასვლა არა სჯობია ცოცხ-ლათვე ზნეობითად მკედრობას!“ რომ გადავიკითხე, აღელვებით შევხედე მასკას.

— გაათავეო?—მკითხა. შენ ეგება სახუმროთაც და-სწერე, მაგრამ მე კი ბევრი ღამე გამათენებიეს უძილოთ მაგ სიტყვებმა...ჩამაფიქრეს... ღრმათ ჩამაფიქრეს!.. მა-შინ მომავრნდა ფანტის დროს შენი ჩემზე ნატვრა... მივხვდი და აღთქმა დავდევი, რომ გამემტყუნებიე!.. არ ვიცი, ავასრულე თუ არა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ

ის აღარა ვარ, რაც ვიყავი და ან რაც უნდა ვყოფილი-
ყავ უმისოთ!

მომეტებულმა სიამოვნებაშ თავ-ბრუ დამასხა...
ხმას ვეღარ ვიღებდი: ვგრძნობდი, რომ ჩემს მახლობ-
ლათ იდგა ის, ანუ ერთი იმათვანი, ვისზედაც მე მთელი
ჩემი სიცოცხლე ვფიქრობდი. ბოლოს, როგორც იქმნა,
ვუთხარი:

— თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშ, ეგ უჩინრო-
ბა რალა არის? განა ძმასა და მეგობარს ემალებიან?

— ეგებ შენ არ იყო ჩემი აზრისა, არ შეგვძლოს
ჩემი თანხმობა!.. და რათ გავიკიცხო თავი? რათ და-
ვიწყვიტო სამარადისოთ გული?

— მასკა! ღმერთია გულთა-მხილავი, რომ სცდები:
დიდი ხანია, რაც შენი მეგობრობა გადაიწყვიტა ჩემმა
გულმა. ვინც უნდა იყო—ერთია!.. ვეღარა შეშლის-
რა!!..

— ახლა კი მრწამს,—მითხრა მასკამ, ცალი ხელი
მე გამომიშვირა და მეორეთი იხხადა პირ-ბადე... ჩემ
წინ იდგა ელიკო; ის, რომელიც მე აღარც კი მახსოვ-
და... მაგრამ რას ვამბობ? ელიკო კი აღარა, დარბაისე-
ლი ელენე იყო: სახეს აღრინდულ უმანკოების წილ
ჭმუნვის ბეჭედი მიეღო, აღრე გაშლილი წარბები ახლა
მრისხანეთ შეეყარა, თვალები ძევლებურათვე უელვა-
რებდენ, მხოლოთ ცოტა ნაღვლიანობა კი ეტყობო-
დათ! შევაჩერდი და წარმომიდგა სხივ-მომფინარე, ხელ-
ში მახვილით, ძლიერი სამოთხის მცველი!..

რამდენიმე თვის ჩამოსული იყო ელენე სოფლი-
დან, მაგრამ ჯერ არსად გამოდიოდა და არავინ ეხლა...
მე-კი უოველ დღე ვხედავდი და მის სიახლოვეს რაღაც
გამოუთქმელ სიამოვნებასა ვგრძნობდი. აღრეც მყვარებია

დედა, და, მეგობარი და სიყვარელი, მაგრამ არც ერთ-ხელ ამისთანა არა გამომიცდია-რა! თითქოს ყოველ-გვარმა სიყვარულმა ერთად მოიყარა თავი ჩემ გულშიო!.. ერთმანეთს ისე შევეთვისეთ, რომ, თითქმის, ერთმანეთ-ში განხორციელდით და უერთმანეთოდ აღარა გვე-ხერხებოდა-რა. სამართალი მოითხოვდა, რომ ჩვენ ჩვენი მომავალი ერთმანეთან დაბოლოებით შეგვეკავშირე-ბია. მე არა ვფარავდი ამას, მაგრამ ელენე-კი როგორ-დაც შორს იჭირდა, თითქოს არ უნდაო. რამდენიმე თვემ ისე გაირჩინა ამ ყოფაში, რომ ვერც-კი შევნიშ-ნეთ; თვალსა და ხელს შუა გვეპარებოდა დრო. არა თუ საქმეს, გულის-თქმასაც აღარ ვუფარავდით ერთი მეორეს... ვიცოდით ჩვენ ჩვენი აწმუნ, შეტყობილი გვექნდა ჩვენი მომავალის ძრახვა-იმედები... მაგრამ წარსულზე კი ბევრი არა გვითქვამს-რა. ერთხელ ჩამო-ვაგდეთ სიტყვა ყმაწვილობაზე და მე ჩემი თავ-გადა-სავალი გავიხსენე: მოვიგონე თინათინის სიყვარული, მათიკოს ცბიერობა და სხ. და სხ... ელენე სიამოვნებით მიგ-დებდა ყურს და მერე ღიმილით მითხრა: „გამოცდილება, როგორც ცხოვრების გვირგვინი, ყველასთვის საჭიროა, როგორც კაცისათვის, ისე ქალისათვისაც, მაგრამ რისაგან არის, რომ ერთი და იგივე მოქმედება კაცებს ღირსებას გი-მატებსთ ქვეყნის თვალში და ქალებს-კი სახელს უტეხ-სო!

ერთხელვე ასე დაუწესებია ქვეყანას-მეთქი,—ვუპა-სუხე.

— მერე და სამართალია? შენ როგორ-და პფიქრობ? აი, მაგალითად, მაგოდენი რამეები გადაგხედია... ბე-ვრჯელ გყვარებია, მაგრამ აშითხ ჩემს თვალში შენ არა გაკლდება-რა!.. არცა მწყინს, იმიტომ, რომ წარსული სა-

ქმეა... ახლა კი, ეგ რომ მოგივიდეს, ვეღარ ავიტან, გული მეტკინება... მაგრამ რაც ყოფილა, რა მენაღვლება... და თქვენ კი, კაცები, სულ სხვა ხართ!.. მეც რომ მაგ გეარი რამეები გადამხდრდა, რას იტყოდი? არ აჰყებოდი ქვეყნის ხმას?

— ქვეყნის ჩვეულება, მართალია, იგივე სჯულია, მაგრამ, გვიცები, ელენე, რომ ვერაფერი თავ-გადასავალი შენ ვერ დაგამცირებდა ჩემს თვალში!.. შენს ლირსებას მითი არა დააკლდებოდა რა! მე იმას არ მოვისენიებდი!..

— როგორ? სულ-გრძელობით დაივიწყებდი?

— არა, მე მაგას არ ვამბობ!.. პირადათ ჩემთვის უმნიშვნელო იქნებოდა.

— მართლა? მაშ, აღარ დაგიფარავ ჩემს წარსულს და გეტუვი ჩემს თავ-გადასავალსაც. მომკიდა ხელი, შემომაჩერდა თვალებში და ლიმილით მითხრა: „ხომ გაგიგონია ჩემი ამბავი და ჩემი თავ-გადასავალიო?“

— კი, მაგრამ მე ის არ შემეხება... და მით ჩემი თავ-მოყვარება არ დაჩაგრულა! ვუთხარი მე.

— კეთილი! ისიც ხომ გაგიგონია, რომ შეილი მყავს?

— მერე რაო?

— ის შეილიც ხომ უნდა სახლში შემოგვარო, რომ დაგეთანხმო ცოლობაზე!.. ის ხომ შენთვის უცხო იქნება?

— არა! იმას მომგვრი, როგორც ჩემს ნამდვილ შეილს.

— მერე შენი სისხლი და ხორცი რომ არ იქნება?

— მამობა განა მარტო სისხლისა და ხორცის გადაცემაა? ამას ხომ პირუტყვებიც ახერხებენ? ნუ თუ მეტი

აღარა დარჩენილა-რა? ვისაც ჩემს გრძნობა-გონებას გა-
უზიარებ, ჩემს სურვილებს და ძრახვებს გადავცემ, ვი-
საც იმედებს ვანდობ და ისე გამოვზღი, ნუ თუ შვილი
არ იქნება ჩემი? ელენე, რამ გაფიქრებია, რომ შენი
შვილი ჩემთვის უცხო იქნებოდა?!

ამ სიტყვებზე ელენეს ცრემლები მოერია; ღიმი-
ლი კი მაინც არ მოუშლია. ხელი გამომიშვირა და მი-
თხრა:

— ახლა კი დროა, გამოგიტყდე და თამამათ გით-
ხრა, რომ ყველაფერი ტყუილია და მხოლოთ შენი გა-
მოცდა მინდოდა! მე არავისი სიყვარული არ გამომიც-
დია და პირველი შენა ხარო! მითხრა აღტაცებით და
მომაღვა გულზე თავი. ამ სიტყვებმა ისე ამიტაცეს, რომ
თავი ვეღარ დავიჭირე და მოვხვივ ხელი. ავთრთოლდი,
გონება გრძნობათ გადამექუა, თვალები დამიბნელდა!..
მეგონა, თუ ნათლის სვეტი შემოგვებურა და ყოველი-
ვე დაპუარა-მეთქი!.. ყურებმა წივილი დამიწყო და მაღ-
ლით ტკბილი ხმა მესმოდა: „და იყონ იგინი ერთ სულ
და ერთ ხორცო!“



სპრინტი (ამირანი).

(აფხაზური ლეგენდა, ჩაწერილი. ნიკ. ჯანაშიასაგან)

ქველ დროში აფხაზეთში ცხოვრებდა შვენიერი ქალი, სახელოვანი და მდიდარი ოჯიხის ასული, რომელმაც პატარაობიდანვე მისცა აღთქმა ღმერთს, რომ ქალწულათ დაყრჩებით. მშობლებს ძლიერ გაუხარდათ, რომ მათმა ქალიშვილმა ღვთის მსახურებას და ვედრებას თავი შესწირა. რამოდენიმე წლის შემდეგ ეს ქალწული დაორსულდა. მშობლებს არ სწყენიათ ეს გარემოება, რადგანაც დარწმუნებული იყვენ, რომ მათი ქალი ზეგარდმო ძალით იყო ორსულათ. ქალს ეშვა ვაჟი. ეს ვაჟი ძალიან ჩქარა იზრდებოდა. ათი წლის რომ გახდა, ნამდვილი ვაჟკაცი იყო სახითაც, ღონითაც, მამაცობითაც და გულადობითაც. ამ ვაჟს სახელით დარქვეს აბრსკილ. აბრსკილმა ჩქარა მოიპოვა სახელი მთელს აფხაზეთში თავისი გულადობით და ვაჟკაცობითა, ქვრივ-ობოლოთ და დაჩაგრულოთ მფარველობით. მისი ღიდების ამბავი მთელ ქვეყანას მოეფინა და ვერც ერთი მტერი აფხაზეთისა აბრსკილის შიშით ველარ გაბედავდა აფხაზეთის მთა და გორი გადაელასა თავისი ფეხით. აბრსკილის დროს აფხაზეთის მტერთა მახვილნი თავისსავე ქარქაშებში იუანგებოდა, ვერავინ ბედავდა აფხაზეთის წინააღმდეგ მათს მოხმარას. ამიტომაც ყოველი აფხაზი—დიდი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, ქალი თუ კაცი, თვალი, აზნაური თუ გლეხი აბრსკილთან დაახლოებას, დანათესავებას ეძებდა, რათა მისი მტერთათვის შემზარავი სახელის ღიდების ქვეშ მყუდროებაში ეცხოვრა! აბრსკილის დროს ტურფა აფხაზეთი მი-

სი ძლიერებით მტრების შემოსევა-დარბევისაგან დაფარულ-დაცული ჰყენავოდა და სიგრძე-სიგანით იზრდებოდა.

მისსავე დროს აფხაზები შინაურ მავნე კაცთა და მცენარეთაგანაც იყვენ დაფარულნი და დაცულნი. გმირი სადაც წააწყდებოდა ქერაჭრელ-თვალებიან კაცებს აღარ ტოვებდა ცოცხალს, რაღანაც ამათ შეეძლოთ თავისი ავი თვალებით ხალხის გაფუჭება (გათვალყვა). ამავე აზრით გრძნეულებით შემოსილ გვარებს — აშვბა და ქაცვბას — არ აყენებდა დედამიწაზე; აგრეთვე არც ერთს კაცისათვის მავნე მცენარეს არ ტოვებდა. მაგალითად, არ ახარებდა გვიმრას. მისს დალოცვილ დროში ძროხა და კამეჩი დღეში სამჯერ იწველებოდენ, თხა-კი დღეში ოთხ-ხუთ ჯერ, რაღანაც ყველა მინდვრები შეენიერი მობიბინე ბალახით იყო შემკული და არა გვიმრითა და საქონელისთვის ურგები ბალახებით.

მისი სახელი მოეფინა მთელს დედამიწას (ადუნეთ). მძლავრი მტრებიც მასთან დახახლოვებას და კავშირის დაჭერას ცდილობდენ. ყველა სცემდა მას თაყვანს. ამით გმირმა აბრსკილმა თავის თავი ღმერთის სწორათ მიიჩნია და ყოლიფერში ურჩიობა დაუწყო მას. ღმერთი მას მიიჩნდა ტოლათ და ამხანაგათ და არა უფროსათ. ასე გასინჯეთ, ორ ხეს შუა გახლართულ ვაზის ქვეშ არ გაიარდა აბრსკილი, თუ თავდაუხრელათ მას ქვეშ შეუძლებელი იყო გასვლა. თავი რო დავხარო, იტყოდა გმირი, ღმერთს ეგონება თაყვანს მცემსო! ამიტომ ამისთანა ვაზს, სადაც ნახავდა, ჩეხდა.

ბევრი ღონისძიება იხმარა ღმერთმა, რომ აბრსკილი გონზე მოეყვანა და თავისთვინ თაყვანი ეცემინებია, მაგრამ ამაოთ. მაშინ ურჩ გმირზე განრისხებულმა შემოქმედმა უბრძანა თავის ანგელოზთ დაეჭირათ აბრსკილი,

შებოქვილ-შეკოქვილი ჩაეგდოთ ქვესკნელში და საშინლათ ეტანჯათ მანამ, სანამ გონს მოვიდოდა და ღმერთს თა- ყვანს არ სცემდა.

ანგელოზებიც შეუდგენ ღვთის ბრძანების აღსრუ- ლებას.

გაიგო თუ არა აბრსკილმა ეს, მაშინვე აირჩია თრი უშიშარი ბინა: ერთი მთა ერუახუს მწვერვალზე და მეორეც შავი ზღვის პირათ. ამ ალაგთაგან ერთ- ერთზე ისვენებდა თვითონ გმირი და თავის რაშ- საც ასვენებდა, სანამ მისი დამჭირავი ანგელოზები მიუ- ახლოვდებოდენ მას. მაშინ ის შესკუპდებოდა თავის ერთგულ რაშზე, რომელიც ერთი გადახტომით გაჩნ- დებოდა მეორე ბინაზე. აქ ისევე ისვენებდა ანგე- ლოზების მოსვლამდის. როცა კი ეს უკანასკნელ- ნი მცუახლოვდებოდნენ, ისევ ისე გაჩნდებოდა პირველ ადგილზე. *)

დიდათ შეწურებულმა ანგელოზებმა, რომ უფლის პრძანება ვეღარ შეასრულეს, მიმართეს საშეელათ ერთს გრძნეულ დედაბერს, რომლის რჩევითაც ერთ-ერთს აბრსკილის არჩეულ ადგილზე ქონ წაცხებული ხარის ტყავები დააფინეს. თვითონ ორ დასათ განიყვენ, ერ- თი ამ ტყავების ახლოს ტყეში მიიმალა, მეორე გუნდი კი გაექანა აბრსკილისაკენ. როცა პირველ გუნდისაგან

*) მეორე ვარიანტი: აბრსკილს ერთი ყავარჯერი ჰქონდაო, რო- მლის შემწეობით ერთი გადახტომით მთის მწვერვალიდან შავი- ზღვის პირათ გაჩნდებოდა და აკედან მთის მწვერვალზეო. გრძნეულმა დედაბერმა (იხ. ქვემოთ) ანგელოზთ მისუა ერთი მატლი. რომელ- მაც გადაუხრა აბრსკილს ყავარჯერი (ალაბაზა). გმირმა კი არ იცო- და, დაუყრდნო ალაბაზას და გადახტომა მოინდომა — ყავარჯერი შეაზე გადატყდა, აბრსკილ დაუცა და დაპერილ იქმნა.

შეშინებულმა აბრსკილმა გაახტუნა თავისი რაში და და-
სკუპდა გაქონილ ხარის ტყავზე—რაშს ფეხი წასცდა,
დაეცა და დასცა თვისი მხედარიც. მაშინვე ანგელოზი
მოცვინდენ და აბრსკილ შეკოჭეს; შეკოჭეს გმირი,
რომლის მზგავის ცასქვეშეთს არ მოვლენია.

დიდმა მწუხარებამ მოიცავა მთელი აფხაზეთი თავის
საყვარელი და მისი კეთილდღეობის ერთგული დარა-
ჯის დაჭერის გამო; დიდათ დალონდა, მაგრამ რას იზა-
მდა! თავისს მწუხარება-ვარამს მჩქეფარე ცრემლებში-
ლა ადნობდა, მარტო ტირილში-ლა იშვებდა ცოტას მა-
ინც. ტიროდა ყველა, ტიროდა და ცხვირ-პირს იხო-
ცდა, იკაწრავდა და მოსთქვამდა: „ვინ გაუწევს საწ-
ყალს აფხაზეთს აბრსკილობას და ვინ დაიცავს გამხე-
ცებულ მტერთაგანო.“ რა ღონისძიება არ იხმარეს აბ-
რსკილის გამოსახსნელათ, მაგრამ ამაოთ!.. ღმერთს წინ
ვინ ალუდგებოდა!

ყველა იყო დამწუხარებული აბრსკილს დაჭერით,
გარდა აშვბა და ქაცებასი და ქერა ცისფერ თვალები-
ან კაცებისა. მთელი ბუნება ტიროდა გმირის დაკარ-
გვას, გარდა გვიმრისა და მავნე მცენარეთა!

ანგელოზებმა, იმავე დედაბერის რჩევით, რაში
დაამწყნდიეს ძალიან ღრმა მღვიმეში. ამ მღვი-
მეში უშველებელი რკინის პალო ჩაარკვეს მიწაში,
რომელზედაც აფხაზეთის გმირია ვეება ჯაპვებით
მიბმული. აქვე მას გვერდო გდია დიდი ურო
(ჩაქუჩი). ამ მღვიმეშივეა დაბმული აბრსკილს რაში,
რომელსაც ღვთისაგან საჭმელათ მიჩნეული იქვს ფო-
ლადი. უფალმა აბრსკილს მცველათ მიუყენა ერთი. პა-

ტარა ჩიტი — „ადარგანწუხვა“*). როცა დასჯილი გმირი იმოდენათ დაასუსტებს პალოს, რომ ერთი-ღა ამოწევაა საჭირო, რომ პალო მიწიდან ამოაგდოს, მაშინ ეს ჩიტი პალოს თავზე დააფრინდება და ძალზე დაღლილ გმირს გული მოუდის ხოლმე და რაც ძალი და ღონე აქვს — უროს ჩიტს მოუქნევს, მოკულავო; ჩიტი თვალ-და ხელ-შუა გაძვრება. ურო-კი ეცემა პალოს, რომელიც ისევე ჩაერკობა მძლავრათ მიწაში. ისე და ამ რიგათ დღესაც იტანჯება აბრსკილ იმ მღვიმეში. **)

აბრსკილს დღეს თავისი პირადი მწუხარება ისე არ აწუხებს, როგორც უბედური მდგომარეობა აფხაზეთისა.

ერთხელ აბრსკილის პატივისმცემელნი წავიდენ მის დასახსნელათ. თან წაასხეს თორმეტი ვირი, სან-თლებით დატვირთული, რომლითაც მღვიმეში გზას ინა-თებდენ. ამ სანთლების შემწეობით ეს თავდადებულნი აფხაზი იმდენათ მიუახლოვდენ, რომ მისი ხმა ესმოდათ. ამ დროს სანთლებიც შემოელიათ. თავისი გარე-მოება აბრსკილს შესჩივლეს. მან აუხსნა აფხაზთ, რომ მასთან მისვლა ყოვლათ შეუძლებელია, რაღვანაც, ღვთის ბრძანებით, იმდენათ გშორდებით, რამდენათაც. თქვენ მიახლოვდებითო; ამიტომ ურჩია შინ დაბრუნებულნიყვენ.

— „ჩვენ სანთლები არა გვაქვს, როგორ და რი-თი დავბრუნდეთ უკანო? გზას ველარ გავიკვლევთო!“

*) ადარგანწუხა პატარა მოტიალო ნაცრის ფერი ჩიტია. ეს ჩიტი, როცა დედამიწაზე დადის სულ მუდამ კუდს აქნევს. ეს ვარიანტი იმერეთშიაც არის და ამ ჩიტს ჰქონია ბოლოქანქალა (მაბზაკუნა).

შესჩივლეს. მაშინ აბრსკილმა ურჩია, ვირები დაებრუნებით უკან და მათ გაჰყოლოდენ.

გმირს გულმა არ მოუკმინა და გამოჰკითხა მათ მდგომარეობა აფხაზეთისა. ჰკითხა: „ისევ გამრავლდენ აშვბა და ქაცვბა, ქერა ცისფერ-თვალებიანი აღამიანი? გვიმრა მავნე და უსარგებლო ბალახები ისევ გამრავლდენ და არ აძლევენ სასარგებლო მცენარეს ზრდასო? ისევ დღეში სამ ჯერ იწველება ძროხა და კამეჩიო და თხა ოთხ-ხუთჯერო? გარეშე მტერი ისევ აწუხებს აფხაზეთს, როგორც ჩემს დაბადებამდის აწუხებდაო?“ როცა აფხაზთა აწინდელი უნუგეში მდგომარეობა აფხაზეთის უამბეს აბრსკილს, მან მწარეთ წამოიძახა: „ნუ მეტყვით ჩემის საყვარელი აფხაზეთის შესახებ მეტსო? აღარ შემიძლია მეტის მოსმენა და ატანაო!“ გმირმა საუკუნოთ თავი დაღუნა და მწუხარებას მიეცა, რომ მას შეველა აფხაზეთისათვის არ შეეძლო.

ვირებმა ეს აფხაზნი მშვიდობით გამოიყვანეს სინათლეში.

**) მეორე ვარაანტი: ღმერთმა ამ მღვიმეში აბრსკილის თვალყურის გდება უბრძანა იმავე დედაბერს, რომელსაც ამასთანავე უბრძანა გმირისთვის არ ეჭმია საჭმელი, სანამ ის არ შეანინიებდა თავის დანაშაულს და ღმერთს შენდობას არ თხოვდა. ბებერს შეეციდა აბრსკილი, ლვთის ბრძანება გასტეხა და საჭმელი აჭამა გმირს, რისთვისაც უფალმან ლეკვათ გადააჭირა. აბრსკილს პალო რაშის ტკეროს მამო როცა გადაიჭირევა ძალის ოდენათ და მისი გადატეხა შესაძლებელ იქნება, ამ ღროს ეს ლეკვი საჭმელს პაში (მინამდი აღკრძალული აქვს პაში) და გამოძლება თუ არა, პალო ისევ უწინდელის სიმხოთ იჭტევა. გმირსაც ეკარგება იმედი ახლო განთავისუფლებისა-

სალეზრი ლექსები

(შეგრებილი სისიკო მერგვილაძისაგან)

თვის ანგარიშს მოგახსენებ
დამდგომ გიორგობისთვესო,
თოვლი დიდი ჩამოყარა,
ტოტი სულ ამტვრია ხესო.

ქრისტეშობისთვე რო დადგა,
ქარიშხალი აუდგესო,
სულ გაყინა წისქვილები,
კეტით ვეღარ ააგდესო.

იანვარი ამას ამბობს:
„მე მოვიყვან კაი მზესო,
გამობკვებავ ჯანდაგებსა,
შუაღლისას უთბობ წელსო.“

თებერვალი ეუბნება:
„მეც შენ მოგიმართავ ხელსო,
მეშეშეები მოდიან,
კარ-კარ აჭენებენ ცხენსო,
სახლებში ჩაგვიდგებიან,
გამოგვიცლის ქერს და ბზესო,
არ გაუშვებენ ქათამსა
შავსა, თეთრსა, არცა ჭრელსო.“

თვეები შექუჩებულან,
უძახიან ერთმანეთსო,

მარტის თვე უკან დამრჩალა,
მოდის და მოიქნევს ხელსო:

„ხომ იცით ჩემი ამბავი,—
ავდრით დავივარცხნი წვერსო,
მე რომ უკან გეგულებით,
უჩემოთ ვინ აწერთ ხელსო?
ქალაქის გზაზე შევდგები,
ცოდვას დავაბრუნებ ბევრსო,
ზოგსა მინდორში დავღუპავ,
ჯანდგას გზაზე მოვწყვეტ წელსო.“.

აპრილი ეუბნებოდა:
„ნუ იქ, მამიშენის მზესა!
მოდი, კაი კაცობა ჰქენ,
ყველა ქებას ვიტყვით შენსა,
თორებ გიჩივლებ, მეცა გთხოვ
უწინდელსა ჩემსა სესხსა“.

— მე სესხისა არა ვიცი,
წალი, თხოვე დედა ჩემსა.

მოვიდა და მოახსენა:
„შვილი შერება ბევრს ავებსო,
ხალხი სულ გააღარიბა,
ველარ კვებენ ჯანდაგებსა.“
— რა ფინთი საქმე უქნია
ჩემ შვილს, ი არ გასაზდელსა,
საღამოზე შინ ხომ მოვა,
სულ ცემით მოვსწყვეტავ წელსა.

აპრილი ამას ამბობდა:

„მე გავაშრობ ტყეს და ველსა,
ძველ ბალახს კი არ შევარჩენ,
მალ-მალ დაუნამავ წელსო.“

„მაისსა, ღმერთო, დამასწარ—
ხარი უძახოდა ღმერთსო—
მე მანამდინ ვერ გავდღები,
მაშინ ამოვივსებ ფერდსო,
შევფრინდები ვითამაშებ,
პატრიონს იამება ჩემსო“.

თიბათვე მოჩანჩალობდა,
მოიქნევდა ნამგალ-ცელსო:
„ამ ცელით ბალახს გავთიბავ,
ამ ნამგლით მოვხიხნი ქერსო“.

მკათათვეს მამითადი ჰყავს,
უკივიან ერთმანეთსო,
ზოგიერთი კარგი მუშა
ოფლსა ხელით მოიწმენდსო,
ზოგიერთი ცუდი მუშა
ღლეტით გაატარებს დღესო,
საბარო ურემს შეაბამს
შიგ ჩააგებს ფოთელს ბევრსო,
იმის კარავს გააკეთებს,
იქ დაემალება მზესო,
სალამოზე შინ რომ მოვა,
ქათამს დაუკლავენ კრელსო,
ძალიან თბილათ დახურვენ,

ოფლში არ გაგვიცივდესო,
ძალიან გაირჯებოდა,
ოფლს გამოუშვებდა ბევრსო,
იმისი ნამუშავარი
სამი ათეული თქვესო.

—
მარიამობის თვე დაღგა,
კოხებს*) უპირავენ კევრსო,
პურსა ორმოში ჩაჰყრიან,
საბძელში შეჰყრიან ბზესო.

—
ენკენისთვე რო დადგება,
ვაზებს გადაუსმენ ხელსო,
მოწყვეტენ და შეინახვენ,
ზოგით გაიტკბობენ ყელსო.

—
ლვინობისთვე რო დადგება,
ბევრი გოგო დათხოვდესო,
მაყრიონიც მხიარულათ
ქვევრებს მოულერენ ყელსო;
ხურდება ცეკვა-თამაში
სიმღერას იტყვიან ბევრსო,
მკვდრებსაც მაშინ შეუნდობენ,
აღლეგრძელენ მთას და ბარსო,
მოიგონენ სოფლის მუშებს,
ვინც ქვეყნისთვინ დებენ თავსო.

*) კაშებს



უწყლოთ, უპუროთ, უღვინოთ,
უამი არტდეს იწირვის,
მცირე მერცხლისა კლანჭითა
არწივი არ დაიჭირვის,
თუ კაცსა ლმერთი არ სწყალობს,
ცუდია, რასაც იჭირვის.

—
ოდეს კაცსა ლმერთი სწყალობს,
ციდან მოუეა წესია:
ნაფუძეარივით მოუვა,
თუნდ კლდეზე დაუთესია.

—
თემის გამტეხსა ვაშკაცსა
ნუ დაელევა ჭირიო,
შეურცხვეს ჟველგან ულვაში
და გაუშავდეს პირიო!

—
ავი პატარძლის ყოლასა
სახადი გიჯობს სახლშია:
ჯამ-ჭურჭელს ჩხუბი მოსვლია
წუნწუხშია და ლაფუშია,
ქოთანი კარში მიტორავს,
ციცხვი კი იცემს თვეშია.

—
ვა, ცუდი ცხენის ყოლასა!
უი, სულ უცხენობასა!
ვა, ცუდი ცოლის ყოლასა!
უი, სულ უცოლობასა!

—
ლამის-ყანელი ხუცესი
შემომეპარა ყურძენში,
კალთები შემოებირბლა,
მერე იყრიდა უბეში.

ჯოჯოხეთის ამბავს გეტყვი,
სათქმელათ საზარელია!
მეტადრე ცოდვიანისა
სულის ამოხდა ძნელია;
დედ-მამის მაგინებელსა
ეხვევა ჭრელი გველია,
ამხანგის არ გამტანსა
ცეცხლს უდევს ენის წვერია,
მამულისა მოღალატეს
პირ უჯის მორიელია!..

—
ნუ დასდევ ჭრელსა პეპელსა,
გაგიფრინდება, წაგივა,
არცარა ხორცი გიხორცებს,
ტყავი სულ არათ გაგივა.

—
ს—ხსა რჯული ვინ მისცა,
წიგნი ვინ დაუწერაო,
შაბათი ღამე აჭამა,
კვირა არ გაუთენაო.

—
დავეხსნათ ჭირვეულობას,
სუფრას ნუ ავარევინებთ,
ნურც მეტსა ვეტყვით ერთმანეთს,
ნურც მეტსა დავალევინებთ.

—
ჩვენი გოგია გეშია
მოკაკულია წელშია,
თიაჭარი მოსწოლია
ცოტა მარჯვენა ცურშია.

რა გენალვლება იქროლოს
ზენა ქარმა და ქვენამა!
ეგებ ერთადა შეგვყაროს
ჩვენმა ბეღმა და წერამა!

—
ამ რაზმაძიანთ გაბუამ
მთაზე წაიღო ორხელი,
ცხენი ჯეჯილში გაუშვა,
სოფელი ნახა ოხერი!
ანანურიდან მორბოდენ
სამი ღამშეული მგელი,
ერთმანეთს ეუბნებიან:
„აგერ არის გაბოს ცხენი,
ორმა ტანი ვიწილადოთ,
ერთმა გავას გაეჭკრათ ხელი,
ძუა გაბოს შევუნახოთ,
საცერი აქვს მეტიათ თხელი“.

—
მე ხომ ხობელი არა ვარ,
ცერცუი გავფინო ბანზედა?
მე ბერშუელი არა ვარ,
ბატონი მოვკლა კარზედა?
მე ხომ კირბლელი არა ვარ,
კურდღელს მივდიო კვალზედა?
მე ხომ ზერტელი არა ვარ,
ნიორი მედგას კარზედა?
გახლავარ მეჯვრის-ხეველი
ნაქები გუთან-ხმალზედა!

თახვის წამალი ასწავლეს,—
არ იშოვება ჩვენშია;
ვანო ტყავაძეს ჰქონია
ცოტა, დიდ სკივრის გვერდშია;
ადგა გოგია წავიდა,
ფული არ ჰქონდა ხელშია,
მივიდა—თანაც სირცხვილით
იხლაკნებოდა წელშია,
მორიდათ უთხრა ივანეს:
— „ჩავვარდი გლახა დღეშია,
რავარც მე ვიყო ავათა,
გაგიხდა ისე მტერია,
არის დასკვნილი ორი თვე,
არ გამითბია კერია,
ქეც მეხათრება უფულოთ,
იმან დამისხა ფერია,
წამალს გთხოვ, მანდო ცოტა ხნით
ფული არ წამომყოლია“...
ამ სიტყვაზე შეიშმუშნა
ივანე გვერდზე მწოლია:
— „რა, ვუყო ჩემო გოგია,
ვერ მოგცემ გითხრა სწორია,
ფულის სიძვირე დავარდა,
ნუ გეგონება ჭორია,
გავყიდე, რაც რამ გამაჩნდა:
ქათამი თხა და ღორია!..
გოგიამ უთხრა: „რათა ხარ
აგრე გამოყრუებული,
რომ უსაშველო ავათმყოფს
მიშვებ სულ გაცრუებული;

რავარც ქე არ ხარ ყველასგან
გაქირდვით აბუებული,
თუ რამე მთხოვე, მეც შეგხვდე
მაგრე ყურ მოყრუებული
და უსაციქვლო გაგიშვა
შენ კუდამოძუებული.

—
გამხიარულდი, ბუხარო,
უშეშობას ნუ სწუხარო!
არ გამოგილევთ შეშასა,
ჩვენ ნუ გგონივართ უხარო,
დაიგვიზგვიზე ნაკვერცხლათ,
გულჩახვეული ნუ ხარო,
ნახდისხან ჩემ ძმას ეხვეწე,
სულ ჩემს ამარა ნუ ხარო.

—
სიკვდილმა ჩამოიარა,
ობოლი დახვდა წინაო,
— „სუკვდილო მე წამიყვანე
ობლობა მამეწყინაო“.
— „ახლა რომ შენ წაგიყვანო,
ვინდა დაგრჩება შინაო,
არც გაქვს სანთელ-საკმეველი,
არცა სულარი შინაო,
ერთი ნებერი დედა გყავს,
ისიც არა გყავს შინაო.
მინდა ქართლისკენ გადვიდე,
კაცი მიმიძღვის წინაო,
ცხრა ძმანი გამრავლებულან,
იმათი ნახვა მინდაო;

მინდა ისინი გავყარო,
ცალ-ცალკე მივცე ბინაო,
იქიდან რომ ჩამოვივლი,
მაშინ დამიხვდი შინაო.

—
ჟავჭაძემ დამპატიუა,
ღვინო შემასვა ტკბილია,
აშეარაზე წამოვედი,
იქ მომეკიდა ძილია,
სადაც კარგი ჩრდილი ვნახე,
იქით წამეყო ცხვირია;
იმ ძილში გამომაცალეს
ჩემი ქამანჩა სტვირია...
ჩემი სტვირის მომპარავსა
დაუსივდეს ცხვირ-პირია,
დღეის სწორამდინ მენახოს
იმისი ცოლი ქვრივია,
ჩემი ძმისთვის მომეყვანოს
და გამეწიოს ლხინია,
რომ მზითევში მოყოლოდეს
ის ჩემი ჭრელი სტვირია!..



სია იმ პირთა, რომელთავე ეგზავნება «კრემული»

დ. ახალ-ცენაპი

- 1 ქავთარაძე, ლევან მიხეილისძე (ძეგლ-სენაკში).
- 2 ჯორჯიკია ივანე (ს. ხობი).
- 3 თავართქილაძის წიგნის მაღაზია
- 4 ქოჩაქიძე, თარი ვლადიმერ მანუჩარისძე
- 5 ყიფიანი სამსონ
- 6 ქავთარაძე ბესარიონ
- 7 აღამია, ნიკო
- 8 ქავთარაძე, ლევან
- 9 დალიანისა, ქნ. კეკელა.
- 10 ძიმისტარიშვილი ს.
- 11 თუთბერიძე ნ.
- 12 მატარაძე ს.
- 13 ლიფონოვა, პახვალა როსტომის ძე.
- 14 კახიანისა, ნადეჟდა სერაფიონის ასული
- 15 ხოფერია, ივლიანე გამრიელის ძე
- 16 ხოხია, ლევან ბურტყუს ძე
- 17 დალიშქელიანისა, ქნ. ანეტა
- 18 გეგენავა, მურძაყან ეგნატეს ძე

ახალციხე

- 1 მღვდელი ივანე გვარამაძე
- 2 მეფისოვისა, მაგდალინა პეტრეს ასული
- 3 გამრეკელისა, მარიამ გრიგოლის ასული
- 4 ბურჭულაძე გრიგოლ
- 5 სახალხო ბიბლიოთეკა

სად. ალიკვნტი

1 კალანდარიშვილი, გიორგი დავითის ძე

დ. აბაშა

- 1 ავალიანისა, ანნა ლუკას ასული
- 2 ბაბილუა, ავქსენტი ისიდორეს ძე
- 3 ნარსია ანდრია
- 4 დოლიძე, ბაგრატ ივანეს ძე
- 5 კაჭარავა, სპირიდონ დიმიტრის ძე

სად. აჭხტაშა

- 1 კიკნაძე, ივანე სვიმონის ძე
- 2 ჯავახიშვილი, ვლადიმერ მიხეილის ძე
- 3 გორდაძე მიხეილ
- 4 ელიკაშვილი ალექსანდრე
- 5 აზარიაშვილი მიხეილ

სად. ალაბაშლი

- 1 ცხვედაძე, მიხეილ გრიგოლის ძე
- 2 ვაშაკიძე, რაფენ ანდრიას ძე
- 3 ჯავახიშვილი, მიხეილ დიმიტრის ძე

ალექსანდროპოლი

- 1 დუმბაძე, სამსონ ანტონის ძე
- 2 უორენლაძე, ლავრენტი არქიპოს ძე

სად. აჯიქაბული

- 1 დევდორიანი, პანტელეიმონ ისიდორეს ძე
- 2 გიორგობიანი, სერგეი გიორგის ძე
- 3 სილალაძე, სტეფანე სვიმონის ძე
- 4 გეგეშიძე, იასონ ლიმიტრის ძე
- 5 სარჩიმელია, დავით გიორგის ძე
- 6 მინდაძე, მიშო დავითის ძე
- 7 მელიგა, პროკოფი იესეს ძე
- 8 ნიკოლაიშვილი, პარმენ სიმონის ძე
- 9 გახელაძე, მიხეილ ანდრიას ძე

ახალ-ქალაზი

- 1 ალხაზიშვილი ილია
 - 2 შატბერაშვილი გიორგი
- 50 —

ასეაგადი

- 1 წერეთელი სამსონ
- 2 ბაბილუა ანტიპ

არგინო (უარსის თლექი)

- 1 მაღრაძე, დავით როსტომის ძე
- 2 ასათიანი, ნიკოლოზ გაბრიელის ძე

სად. ბელაგორი

- 1 ორჯონიქიძე, სიმონ გიორგის ძე
- 2 კიკნაძე დასკალ
- 3 ვეფხვაძე ერმალაოზ (ბლად. მღვდელი)

- 4 კიქნაძე, სპირდონ ანტონის ძე
- 5 კიქნაძე ალექსანდრე
- 6 კიქნაძე შელქისედექ
- 7 ღოღობერიძე, ივანე ზურაბის ძე

გორგოზი

- 1 ნიკოლაიშვილი, დიმიტრი თედორეს ძე
- 2 ბონიავა, ალექსი ბეკოს ძე
- 3 ფეიქრიძე, მურმან გიორგის ძე

გამო

- 1 შატათავა, ანდრია იაგორის ძე
- 2 ღოღობერიძე, დავით ბესარიონის ძე
- 3 წერეთელი, სეიმონ სამსონის ძე
- 4 ჯორგაძე, თადი დავით გიორგის ძე
- 5 კიქნაძე, ვლადიმერ სამსონის ძე
- 6 კახიანი, გარსევან როსტომის ძე
- 7 მიმინოშვილი, ერმალო კიმოთეს ძე
- 8 დადიანი, თადი იოსებ იულონის ძე
- 9 წერეთელი, თადი ალექსანდრე დიმიტრის ძე.

საღ. გარგუშვილი

- 1 სვანაძე, იოკიმე ალექსანდრეს ძე

გათოზი

- 1 ცეცხლაძე ნიკოლოზ
- 2 იმნაძე ანტონ
- 3 კაჭაუმაძე მოსე

- 4 იმნაძე, სერგეი ივანეს ძე
 - 5 მასხარაშვილი იაკინთე
 - 6 მიქელაიშვილი ალფესი
 - 7 კაკაბაძე ვასილ
 - 8 მუჯირი, ანტონ მაქსიმეს ძე
 - 9 კაკაბაძე, სარდიონ ალექსის ძე
 - 10 ანჯაფარიძე, თეოფილე კონსტანტინეს ძე
 - 11 ქურთოვი, იაკობ ივანეს ძე
 - 12 ვოლსკი, გრიგოლ იოსების ძე
 - 13 ელიავასი, მარიამ ივანეს ასული
 - 14 ნაკაშიძისა, კნ. სოფიო ნიკოლოზის ასული
 - 15 გურგენიძე, სპირიდონ ალექსანდრეს ძე
 - 16 კვანჭატირაძე, თომა გიორგის ძე
